

ლევან ჯყეშელაშვილი



იმეჩეთის მეფე სოლომონ მეტეხე  
სამოთხელისათვის თავდადებული



გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია

ლევან ტყეშელაშვილი

იმეჩეთის მეფე სოლომონ მეტეხე –  
სამუბღლოსათვის თავდადებული

ქუთაისი 2016

წიგნი ეძღვნება სოლომონ მეფის გარდაცვალებიდან მე-200 და  
ტრაპიზონიდან გადმოსვენების 25-ე წლისთავს

იბეჭდება ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტ  
პალისტრატის (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით

რედაქტორი: გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ბიორგი ვაჟაშვილი

ISBN 978-9941-429-86-6

© ლევან ტყეშელაშვილი

## სარჩევი

1. შესავალი .....	4
2. ეზზე მზრუნველი მონარქი .....	11
3. სოლომონ მეორის მოღვაწეობის დასაწყისი .....	21
4. ელაზნაურის ხელშეკრულება და ურთიერთობა რუსეთის იმპერიასთან .....	29
5. სოლომონ მეფის დამოკიდებულება საეკლესიო მოღვაწეებთან და მისი სულიერი მოძღვარი ილაზონ ყანჩაგელი .....	39
6. სოლომონ მეფის შეპყრობა (1810 წ.) .....	49
7. სოლომონ მეფე და სახლთუხუცესი ზუკაბ წერეთელი ..	61
8. 1810 წლის უთანასწორო ბრძოლები .....	70
9. სოლომონ მეფის გაზდაცვალება (1815 წ.) .....	79
10. იმერეთის უკანასკნელი დედოფალი მარია მ დადიანი .....	90
11. სოლომონ მეფის ნეშტის გადმოსვენება ტრაპიზონიდან ..	102
12. ბრძოლა იმერეთის სამეფოს აღდგენისათვის; 1819-1820 წლის აჯანყება .....	107
13. ტეზიუმე ინგლისურ ენაზე .....	115
14. დანართი .....	117

## შესავალი

XIX საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენები დღეისათვის განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს, რომელთა შორის უნდა გამოვყთ იმერეთის სამეფოს უთანასწორო ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე გაგრძელდა და მისი ინიციატორი იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე იყო. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის განმათავისუფლებელ მოძრაობას 1819–1820 წლებში სათავეში ჩაუდგა სოლომონ პირველის (1752–1784) შვილიშვილი ივანე აბაშიძე და მიტრობოლიტები: დოსითეოს წერეთელი, ექვთიმე გაენათელი და ხონელი მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე. 1820 წელს რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებები შეწყდა როგორც იმერეთში, ასევე დასავლეთ საქართველოს ყველა მხარეში. რუსეთის იმპერიამ ასრულა თავისი დიდი ხნის ოცნება, დააპყრო საქართველო, მან უდიდესი მსხვერპლის ფასად გატეხა შეუპოვარი ქართველების სიმტკიცე და ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლები სისხლში ჩაახრჩო.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სოლომონ მეფის (1789–1810) შესახებ არაერთი სტატია, მოგონება და გადმოცემა შემოჩნდა. XX საუკუნის განმავლობაში, 1902, 1911, 1989–1992 წლებში, სოლომონ მეფეს ნაშრომები მიუძღვნეს თ. ხუსკივაძემ („იმერეთის მეფე სოლომონ II“, ქუთ. 1902), ალ. ხახანაშვილმა („იმერეთის მეფე სოლომონ მეორე“, ტფ. 1911) და მ. რეხვიანიშვილმა („იმერთა მეფენი–სოლომონ პირველი და სოლომონ მეორე“, ქუთ. 1992). უნდა შევნიშნოთ, რომ სოლომონ მეფის შესახებ ცნობები დაკუთვლია რუს ავტორთა შრომებში, რომელთა უმეტესობა ტენდენციურობით გამოირჩევა და სოლომონი გამოყვანილი ჰყავთ სამიშ, თრგულ, თრჭოფ და მოლაღაჭე პიროვნებად. სინამდვილეში კი სოლომონ მეფე იყო ის ადამიანი, რომელიც მიჰხვდა რუსეთის მესვეურთა ბოროტ

ზრახვებს, მიუხედავად იმისა, რომ სოლომონი მრავალ დათმობაზე წავიდა, რუსთა მთავარი მოთხოვნა მაინც მისი მეფობიდან განდევნა იყო. სოლომონ მეფემ ღირსეულად მოინადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე, იგი 1810 წლის თავის მოწოდებაში იმერეთის მოსახლეობის მიმართ ბრძანებდა: „იმერეთის გულისათვის ჩემი სიცოცხლე უნდა დავასრულო“, შესრულა კიდევ თავისი დანაპირები ახალგაზრდა ბაგრატიონმა, საკუთარ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა მეფემ ყველაფერი გაწირა ქვეყნის საკეთილდღეოდ. მისი სახით ჩვენ წინაშეა ღრმადმოწმუნე მონარქი, რომელიც კარგად ფლობდა იმ დროისათვის ქვეყნის მართვის ყველა აუცილებელ მოთხოვნას და, რაც მთავარია, იგი განსაკუთრებით ზრუნავდა საკუთარი ხალხის მიმართ. იმავე მოწოდებაში სოლომონი აღნიშნავდა ამის შესახებ: „თქვენის პატივისა და სიყვარულისაგან ჩემი გული არ გამძღარა“, ყოველივე ამის გამო აუცილებელია, თანამედროვე ქართველობამ იცოდეს ამ ღირსეული ქართველი მეფის დამსახურება და განსაკუთრებული სიყვარული თავისი ხალხის მიმართ, რაც სათანადოდ არ იყო წარმოჩენილი არცერთ ნაშრომში. თუმცა სოლომონ მეფის მოღვაწეობის შესახებ კვლევა-ძიება მომავალშიც უნდა გაგრძელდეს და სრულყოფილების პრეტენზია ამ ნაშრომსაც ვერ ექნება. მაგამა ერთს შევნიშნავთ: მეოცე საუკუნის განმავლობაში ერთგული და რელიგიური თვალსაზრისით კვლევა-ძიება შეზღუდული იყო და ამ მიმართულებით თანამედროვე ეჭაპზე ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საბოლოოდ კი სავსებით ახალგაზრდა მრავალტანჯული მეფე, სამშობლოდან დევნილი, ოსმალეთში გარდაიცვალა. სოლომონ მეფის ღვაწლზე მართებულად აყალიბებდა აზრს 1911 წელს ალ. ხახანაშვილი: „ნდობა და სიყვარული, რომელიც მოპოვებული ჰქონდა მას ხალხში, ამტკიცებს, რომ, იგი არ იყო ჩვეულებრივი ბატონი, კერძო ინტერესით აღსავსე, მას ხელმძღვანელობდა იმერეთის კეთილდღეობა, და თავის ძალ-ღონით, შეგნებითა და მოუდრეკელობით ემსახურა მას

სიკოტჯხლის უკანასკნელ დღემდის. დედა-ზრად მისის მოქმედებისა შეიქმნა სურვილი დამყარდეს ძლიერი შეერთებული სამეფო დსავლეთ საქართველოსა და შემდეგ განმტკიცებულის წეს-წყობილებით თავისი გავლენა გადაიტანოს აღმოსავლეთ ივერიანედ. სწორედ ეს იყო სოლომონ მეფის მიზანი, მას სურდა, დსავლეთ საქართველოში შეენარჩუნებინა ქართული სახელმწიფო და, თუკი ამას მოახერხებდა შემდეგ ეზრუნა აღმოსავლეთ საქართველოზეც, თუმცა სოლომონ მეფის გეგმებს წინ აღუდგა შინაუბრაცა და გარეშეც. სოლომონ მეფემ საერთო ერთგუნული საქმისათვის დარჩნა ქართველი საზოგადოება, მან ამ საქმეში საკუთარი ბიძები, ერეკლე მეფის მეძვედრეები, თავად-აზნაურთა, საეკლესიო იერარქია და რიგითი მამულიშვილებიც ჩააბა, დიპლომატიური ხერხებით კავშირი დაამყარა სპარსეთის, ოსმალეთისა და საფრანგეთის პირველ პირებთან, მაგრამ უძლიერეს მოწინააღმდეგესთან არაფერი გამოუვიდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ათასწლოვანი სამეფო დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელს ქედი არ მოუხრია და სახელოვნად იბრძოლა სამშობლოს დსაცავად.

ღვაწლმოსილი მეფის ამავს უკვალოდ არ ჩაუვლია. 1990 წლის ნოემბერში სოლომონ მეფე სამშობლოში გადმოსვენეს და გელათის წმინდა ნავთსაყუდელში, ქართველ მეფეთა საძვალეში დაკრძალეს, ხოლო 2005 წლის 27 ივნისს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა სოლომონ მეფე წმინდანად შერაცხა და მას სამშობლოსათვის თავდადებული უწოდა. 2015 წლის 20 თებერვალს სოლომონ მეფის გარდაცვალებიდან 200 წლისთავი შესრულდა, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ჩვენი ინტერესი და გადაწყვეტივით, სოლომონ მეფის შესახებ შეგვექმნა სპეციალური ნაშრომი, რომელშიც წარმოჩინდებოდა მეფის რეალური სახე, როგორც წმინდანისა და სამშობლოსათვის თავდადებული მეზობლისა, რაც, ჩვენი აზრით, დღემდე სრულად არცერთ ნაშრომში არ იყო წარმოჩენილი. ამასთანავე საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ სოლომონ

მეფის ცხთვრებასთან ერთად მოგვეთხროთ მისი თრი თანამედროვე მღვდელმთავრის–დოსითეოს ქუთათელისა (წერეთელი) და ექვთიმე გაენათელის (შარვაშიძე) მოწამებრივ ღვაწლზე, რომლებიც ასევე წმინდანად შეიბაცნენ 2005 წლის 27 ივნისს. სოლომონ მეფის გარდაცვალების შემდეგ სამშობლოსა და ეკლესიის უფლებების დაცვას ხელმძღვანელობდნენ მიტრობოლიტი დოსითეოსი, რომელიც ამავდროულად აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს უკანასკნელი გამგებელი იყო და მიტრობოლიტი ექვთიმე. ისინი მკაცრად იქნენ დასჯილნი. მღვდელმთავრების გადასახლებით დასრულდა მზაკვრული გეგმა, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების სრულ უგულებელყოფას ითვალისწინებდა. რუსეთის ხელისუფლებამ მღვდელმთავრების გადასახლება გასაიდუმლოებულ პირობებში მოაწყო. ქართველმა ხალხმა ძალიან დიდხანს არ იცოდა მიტრობოლიტების ბედის შესახებ. იმდროინდელ ქართულ წყაროებში ხშირად ნახავდით შემდეგ ცნობას: „1820 წლის მარტში ქუთათელი და გაენათელი რუსეთს წაიყვანეს და გადაკარგეს“.

წიგნში ნახვენებია ასევე სოლომონ მეორის სულიერი მოძღვრის ილარიონის (ყანჩაგელის) დამოკიდებულება და ზრუნვა მეფისადმი. ილარიონ ყანჩაგელმა სოლომონ მეფეს ბოლომდე უერთგულა და თავისი სულიერი შვილი მეფური პატივით დაკრძალა 1815 წელს ტრაპიზონში. საოცარია ამ თთხი ადამიანის ცხთვრება, თთხივე მათგანს მოუწია სამშობლოს დატოვება, სამი მათგანი უცხთეთში აღესრულა, დოსითეოსი კი წამებით მოკლეს სურამს და გორს შორის გზაზე. თთხივე მოღვაწე საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შებაცხა, სოლომონ მეფე 1990 წელს თურქეთიდან, ხოლო ექვთიმე გაენათელი 2005 წელს რუსეთიდან გადმოსვენეს გელათში. ტანჯულ მეფესა და მღვდელმთავარს სამშობლოში დაკრძალვის უფლებაც კი არ მიეცათ, მეფე ოსმალეთში, მღვდელმთავარი კი რუსეთში მიიცივალა, ისინი თითქმის ორასი წლის მანძილზე



უცხოეთის მიწაზე განისვენებდნენ, საბოლოოდ კი თბილემ გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის მთავარ ტაძარში ჰპოვა განსასვენებელი. 1820 წელს გაენათელმა მიტროპოლიტმა ექვთიმე ქართველი ერის გულისნადები განუცხადა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე ბიწველს. იგი არ მოერიდა იმპერატორს და პეტერბურგის სასახლეში მიღებისას მას „ახალი ნებონი“ უწოდა, იმ ქმედებებისათვის, რომელიც მან საქართველოში დაატრიალა. ექვთიმე გაენათელმა აღასრულა თავისი ვალი, რომელც მღვდელმთავარმა და რუსეთის იმპერატორი საკუთარი სასახლის კედლებში ამხილა, რისთვისაც იგი ალექსანდრე სვირელის სახელობის მონასტერში გამოკეტეს. უცხოებაში მყოფმა მღვდელმთავარმა დიდხანს ველარ იტოცნლა და 1822 წელს აღესრულა. მისი ვარდაცვალების შემდეგ კი სასწაულიც აღსრულდა.

უცხოებაში აღესრულა იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონის მეუღლე, მარიამ დედოფალი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე განიცდიდა სამშობლოდან უსამართლოდ გადასახლებას, მისი ტანჯული მეუღლის უდროოდ ვარდაცვალებასა და ტრაპიზონში დაკრძალვას. მიუხედავად მის მიერ რუსეთის უმაღლესი მთხლელების მიმართ არაერთგზის თხოვნისა, მარიამს არ მისცეს უფლება საკუთარი მეუღლის ტრაპიზონიდან გელათში ვადმოსვენებისა, სწორედ ეს იყო დედოფლის უკანასკნელი ნატვრა, რომელიც არ შეუსრულეს. იმერეთის უკანასკნელმა დედოფალმა მარიამ დადიანმა სამ ათეულ წელზე მეტი რუსეთში გაატარა და თავის სამშობლოზე ფიქრში, უცხოებაში დალია სული.

ასეთია ის მძიმე ხვედრი, რომელიც ამ ღიბსეულ ადამიანებს ჰხვდათ წილად, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მათ არაფერი დაიშურეს საკუთარი სამშობლოს საკეთილდღეოდ და ზეარაკად შეეწინნენ მას. მათთან ერთად იმ პერიოდში სამშობლოს უამრავმა პატრიოტმა გაწირა თავი და წინ აღუდგა იმპერიის ხელისუფლებას, მრავალი მათგანის სახელი და გვარი საერთოდ უცნობია, თუმცა

მათ საკუთარი ვალი მოიხადეს სამშობლოს წინაშე და საქართველოს გმირულ მატრიანეში ერთი ლამაზი ფურცელი შექმნეს. წიგნის ერთ-ერთ პარაგრაფში საუბარი გვაქვს, თუ როგორ უარყო სამშობლო და საკუთარი მეფე, სოლომონის უახლოესმა ადამიანმა სახლთუხუცესმა ზურაბ წერეთელმა, რომელმაც პირადი განდიდების მიზნით რუსეთის მხარე დაიჭირა. თუმცა საბოლოოდ იმპერიის მოხელეებმა იგი საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოიყენეს და, როცა აღარ დასჭირდათ, მისი უფლებებიც შელახეს. ზურაბ წერეთლის ქმედებათა ასახვით შევეცადეთ, წარმოგვეჩინა ტიპიური მოღალატის სახე, რომელმაც ყოველივე წმინდა უარყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ სოლომონ მეორის ბრძოლის დირსეული გამგძელებელი იყო 1819-1820 წლის აჯანყების გმირი ივანე აბაშიძე, სოლომონ პირველის შვილიშვილი (დარეჯან ბატონიშვილის ვაჟი). ივანე აბაშიძე უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა და მასაც მოუწია სამშობლოს დატოვება, ამასთანავე მტრის ხელი მასაც მისწვდა და ისევ ქართველის ხელით ახალგაზრდა მამულიშვილი წუთისთფელს გამოასალმეს.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერია რამდენიმე ფრთხვ იბრძოდა და მან საბოლოოდ წარმატებას მიაღწია საფრანგეთთან ბრძოლაში 1812 წელს, თსმალეთის იმპერიასთან ბრძოლაში 1812 წელს და წარმატებები ჰქონდა ასევე სპარსეთთან ბრძოლაში კავკასიის მიმართულებითაც. ბუნებრივია, ასეთ უძლიერეს იმპერიასთან ბრძოლაში პატარა იმერეთს შანსი არ გააჩნდა, მაგრამ უნდა აღვნიშნოს, რომ სოლომონ მეფემ დირსეულად დაიცვა თავისი სამეფო ამ უთანასწორო ბრძოლაში. რუსეთის იმპერიას რამდენიმე წელიწადი დასჭირდა, რათა უკანასკნელი ბაგრატიონი მონარქი სამშობლოდან გაეძეებინა. ამ დაპირისპირების დროს რუსეთმა თავისი ტრადიციული მეთოდებით გადაიბირა ქართველი მთავრები და დიდგვაროვნები, რათა ქართული სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი ერთეული საბოლოოდ გაუქმებულიყო. მიაღწია რა თავ-

ის საწადელს რუსეთმა, 1810 წლის სექტემბერში, კანონიერი მეფე სამშობლოდან გააძევა, თუმცა ამას არ დასჯერდა და იგი 1811 წლის ზაფხულში ახალციხეში მოწამლეს, მაგრამ სოლომონ მეფე სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. იმავე წელს თსმალეში მოულოდნელად გარდაიცვალა სოლომონ მეფის უახლოესი თანამებრძოლი სოლომონ ლითნიძე, ხოლო 1820 წელს ახალციხეში რუსული ხელისუფლების დავალებით სიცოცხლეს გამოასალმეს სოლომონ ბინველის შვილიშვილი ივანე აბაშიძე, 1819-1820 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ სოლომონ მეფის დაწყებული ბრძოლა დასრულდა და რუსეთის იმპერიამ ფაქტიურად დაასრულა იმერეთისა და დასავლეთ საქართველოს დაპყრობა.

წიგნზე მუშაობისას გამოვიყენეთ საქართველოს საისტორიო არქივის, ქუთაისის სახელმწიფო არქივის, ქუთაისის ისტორიული მუზეუმისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დოკუმენტები, რომელთა უმრავლესობა დღემდე უცნობი იყო ქართველი საზოგადოებისათვის. წიგნზე მუშაობისას სააქტივო დოკუმენტების გარდა გამოვიყენეთ შესაბამისი წყაროები და XIX საუკუნის პრესა, რომლებშიც გადმოტეულია სოლომონ მეფის რეალური სახე და მისი განსაკუთრებული მზრუნველობა საკუთარი ხალხის მიმართ.

ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი ერთგვარი პატივის მიგებაა ამ ღვაწლმთსილი ხალხის მიმართ. სამეცნიერო თუ მკითხველთა ფართე წრეები ბევრ საგულისხმოსა და შთამბეჭდავ ფაქტს გაეცნობა წიგნში დახასიათებულ თავდადებულ მამულიშვილთა შესახებ.

## ეჩხე შხრუხველი შონაჩქი

იმერეთის მეფე დავით აჩჩილის ძე, იგივე სოლომონ II, უკახსკნელი მონაჩქი იყო საქართველოს ისტორიამში. სოლომონი ბაგრატოვანთა თრი სამეფო სახლის წარმომადგენელი გახლდათ. მამამისი აჩჩილი იმერეთის გამოჩენილი მეფის სოლომონ პირველისა და აფხაზეთის (დასავლეთ სსქართველოს) კათალიკოს იოსებ ბაგრატონის ძმა იყო, დედა ელენე კი ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფის ერეკლე მეორის (1762-1798) ქალიშვილი. დავით აჩჩილის ძე ბიძის სოლომონ მეფის შემკვიდრედ იყო გამოცხადებული და სახელიც ბიძის-საბატოვცემოლოდ ეწოდა-სოლომონი. იმერეთის მომავალი მეფე აღმოსავლეთ სსქართველოში გაიზარდა პაპის ერეკლე მეორის კარზე. სოლომონს მამა ჯერ კიდევ მცირეწლოვანს გარდაეცვალა 1775 წელს და მისი აღზარდა დედამ იკისრა. სოლომონის გამეფებამში უმთავრესი როლი შესრულა ერეკლე მეორემ, რომელსაც უთქვამს: „დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილიშვილსა ჩემსა და ესრეთ კავშირითა თავით-თვისით იქმნება ერთობა იმერეთს ქართლსა თანა,“ ქართლ-კახეთის მეფე, სოლომონის იმერეთის ტახტზე ასვლით ხედავდა გამოსავალს, რადგან იგი მისი შვილიშვილი იყო. 1789 წელს, დასავლეთ სსქართველოდან ერეკლე მეფესთან ჩავიდა დელეგაცია, რომელიც შედიოდნენ: ექვთიმე გაენათელი, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი ქაინოსრო წერეთელი, სენია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე ავიანი, ქაინოსრო ჩიკვაძე, ფიცისკაცნი: ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვები. ერეკლე მეორეს (რომელსაც არ სურდა მეფე დავით მიმტაცებელი ტახტისა ინებოს იმერეთის ტახტზე) იმერეთის მიერთება სთხოვეს, სამწუხაროდ, არ შედგა სსქართველოს გაერთიანება და ქართლ-კახეთის მეფემ თავისი შვილიშვილი დაადგინა იმერეთის ტახტზე. ამისთვის ერეკლე მეფე შვილიშვილს სამხედრო ძალითაც დაემარა - „მასვე წელსა წარავლინეს ჯარი ქართველოთა 4000 და

თანა ჰყვა სარდლად მუხრანის ბატონი იოანე ქიზიყის მოურავი, ზაქარია ანდრონიკაშვილი, ჯარდან ჩოლოყაშვილი, ანდრონიკაშვილი რევან და მეფის ძე იულონ. გარდაგდეს მეფე დავით და განამეფეს სოლომონ მეორე ქუთაისს“ (ოსელოსანი.1936:18). ახალგაზრდა მეფეს ასეთ რთულ პირობებში მოუწია ტახტზე ასვლა, ამ საქმეში უმთავრესი როლი მისმა ბაბუამ ერეკლე მეფემ ითამაშა. ინტერესს იწვევს სოლომონ მეფის ერთ-ერთი პირველი ხელმოწერა ივერიელთა ერთობის ტრაქტატზე, რომელშიც ქართლ-კახეთის მეფემ, სოლომონ მეორემ, ოდიშის მთავარმა გრიგოლ დადიანმა და გურიის მთავარმა სვიმეონმა ერთგულება გამოუცხადეს ერთმანეთს. ივერიელთა ტრაქტატს სოლომონ მეფის შემდეგი წარწერა ამჟღავნებს: „უფლისა იესო ქრისტეს მონა, მეფე ყოვლისა საიმერეთისა შვილიშვილი თქვენი სოლომონ ქრისტეანებრითა აღთქმითა გარემუნებთ უმაღლესის მეფესა ქართლს-კახეთისა და სხვათა მეორესა ირაკლის, უგანათლებულესსა ძეთა თქვენთა, კეთილმობილთა და ერთა ზემოსა ივერიისათა“ (იქვე:20).

ტრაქტატის მეორე პირობე ხელს აწერს სოლომონ მეფე, დედოფალი ყოვლისა საიმერეთისა და ვიცე-კანცლერი სოლომონ ლიონიძე. ამ სტრიქონებში ამკარად იგონება დიდი პატივისცემა ერეკლე მეორისადმი, რადგან სოლომონი მის კარზე იყო აღზრდილი და სწორედ იქ შეისწავლა ის წეს-ჩვეულებები, რაც მომავალ მეფეს უნდა სცოდნოდა\*. 1790 წელს სოლომონ მეფე უკვე დაქორწინებული იყო მარიამ კაციას ასულ დადიანზე, რომელიც

\*მესხურ-იმერული დღიურები სოლომონის მამის აჩილის გარდაცვალების შესახებ გვაუწყებს: „აჩილ ბატონიშვილი იმერეთს კაცხს მოკვდა... აჩილი გელათს მიიტანეს დასაფლავად. მაგრამ არ დაფლეს, შეჩვენებულიათ“ (საქ. ისტ. ქრონიკები. 1980:271). სავარაუდოდ აჩილი გელათის მონასტრის გალავნის გარეთ უნდა იყოს დაკრძალული, ისე, როგორც სოლომონ პირველის ვაჟი, რომლის გარდაცვალების შემდეგაც ეკლესიამ გელათში დაკრძალვის უფლება არ მისცა.

იყო სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის და. მათი ქორწინება 1789 წელს შედგა და ამ დღის სოლომონი 17, ხოლო მარია 16 წლისა ყოფილა. ნიკო დადიანი ამ ქორწინების შესახებ გვაუწყებს: „მოიყვანეს საქართველოდამ დავით არჩილის ძე ბაგრატიონი, ძმისწული პიზველის სოლომონ მეფისა, რომელი ზემო ვახსენეთ, გარნა ესეცა ყრმა და მოიყვანეს ლეჩხუმს, სასახლესა მუხს და მისცეს მეუღლედ ასული დადიანისა კაციასი და დაიგრიგოლისი მარია და უკუბრუნეს გვირგვინი და ქმნეს ქორწილი“ (დადიანი.1962:184). ქორწილის შემდეგ „ესე თონი ყრმანი, მიმდობელნი ღმერთისანი“ ლეჩხუმიდან სამეგრელოში სოფელ ხუნწს წავიდნენ, სადაც გაიმართა ბრძოლა იმერეთის მეფე დავით გიორგის ძის ჯარსა და გრიგოლ დადიანს შორის, რომელშიც დავითი დამარცხდა. ამის შემდეგ გაამეფეს დავით არჩილის ძე ქუთაისში და ამ დროიდან ეწოდა მას ბიძის პატივისცემად სოლომონ მეორე. გელათის გულანი ზუსტ თარიღს გვაწვდის სოლომონის გამეფების შესახებ: „უთნ (1789) ამა ქკ–სა სრულიად იმერთა მეფედ იქმნა ძე არჩილისა მეორე სოლომონ, თვესა ივლისსა: ია (11) დღესა თონბათასა“ (ქობულაძე.1967:405). იმავეს ადასტურებს კარბელაშვილისა და ანთაძის ქრონიკები. სოლომონ მეორის გამეფებით იმერეთში, აღსრულდა მისი სახელოვანი ბიძის ანდერძი, რადგან 1784 წელს იმერეთის „სამეფო ტახტი მიიმძლავრა მისმა ბიძაშვილმა დავით გიორგის ძემ, ნამდვილი მეკვიდრე კი ერეკლეს ასულის ელენეს შვილი ათი წლის დავით არჩილის ძე, იმ ხანათ პაპასთან მყოფი“ (იქვე:404) აღმოსავლეთ საქართველოში იმყოფებოდა, ასე რომ სოლომონის გამეფება იმერეთის სამეფო ტახტზე ლეგიტიმური იყო.

სოლომონ მეფის შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომებში არ არის სათანადოდ წარმოჩენილი მეფის პირადი ღირსებები, მისი განსაკუთრებული მხრუნველობა რიგით ადამიანებზე, ქვრივ-თბლებსა და უბრალო ხალხზე. ფართო საზოგადოებისათვის არ არის ცნო-

ბილი მეფის ზუსტი ფიზიკური აღწერილობა და ა. შ. ზოგორც აღენიშნეთ, არაერთი ავტორი მიზანმიმართულად ცდილობდა, ყველა საშუალებით დაემცინებინათ სოლომონ მეფის პიროვნება და იგი წარმოეჩინათ სუსტი ნებისყოფის არასტაბილური მონარქად, რომელმაც არ იცოდა კრიტიკულ სიტუაციებში რა ნაბიჯი გადაედგა. არსებული წყაროებისა და ცნობების საფუძველზე, სოლომონ მეფე საგნებით განსხვავებულ პიროვნებად წარმოგვიდგება.

განსაკუთრებით ფასეულია პეტრე გნილთსაროვის ცნობები სოლომონ მეფის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა, „Кавказский календар“-ის 1859 წლის გამოცემაში. იგივე სტატია ქართულ ენაზე დაიბეჭდა ჟურნალ ცისკრის 1859-1860 წლის გამოცემებში. პეტრე გნილთსაროვი ვადმოგვცემს, თუ, ზოგორ იღებდა სოლომონი სტუმრებს სასახლეში. ქუთაისში მეფეს ორი სასახლე გააჩნდა: პირველი მდებარეობდა ჰისპიტალთან ცაჯნეების სიანლოვეს, რომელიც შედგებოდა ოცი ოთახისაგან. მეორე სასახლე მდებარეობდა ქალაქის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელსაც უწოდებდნენ ოქროს ჩაბდახს. იქვე მდებარეობდა მეფის კარის ეკლესია. სწორედ აქ განმარტოვდებოდა ხოლო მეფე... „მჭვრეტელს თვალიწინ წარმოუდგებოდა მშვენიერი შეხედულება შიშის მდებარეთა მთათა და ჩინის მინდორი, თავის ჭალაკებითა და ველებითა, რისთვისაც უყვარდა მეფეს აქ სადილის მიერთება და ლხინი, სადაც მიერთებდა საჯაფახოს ღვინოს და ეშუსაიფებოდა თავის მახლობელთა, სასახლე რომელშიც მარადის ცხოვრობდა მეფე სიძველისაგან დაიქცა და დარჩა მარტო საძირკველი, რომლის ნიშანზედ აღიქმდა გიმნაზიისთვის აბანო, ვარნა დამოთენილს საძირკველზედ ეტყობა, რომ ყოფილა ფრიალ დიდი. ბევრს აქ მაცხოვრებელს ახსოვთ ეს სასახლე“ (ცისკარი:1859:351).

სასახლე ნაშენი ყოფილა ორ ზიგად, ქვემო ზიგი ქვითკინის ყოფილა, რომელშიც ცხოვრობდნენ მსახურნი და მეფის კარისკაცი. სამწუხაროდ, დღეს ამ სასახლის არავითარი კვალი აღარ

ჩანს თქმის ჩარღახის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასახლის მეორე სართული ხის ყოფილა, რომელიმე იყო მეფისა და დედოფლის მოსასვენებელი ოთახები. ამ პერიოდში ქალაქის ცენტრში ე. წ. „პატარა ქუთაისში“ ხის სახლებთან ერთად ქვის შენობებიც ყოფილა, „მათ შორის – ქვის ეკლესიების ნანგრევებიც, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი ქალაქის საუფლისწულო ბაღის მეზღეს თავმჯდომარედ გამოუყენებია, ხოლო მეორე ქალაქის მმართველის ბინის სამზარეულოდ გადაუკეთებიათ“ (კეზევაძე, 2013: 266)\*. უძველესი ეკლესიები ქუთაისის ცენტრში სავარაუდოდ ოსმალთა შემოსევის შედეგად განადგურდა, საუფლისწულო ბაღი და სხვა ნაგებობები რუსული მმართველობის პერიოდში განადგურდა. ეს ადგილი 1833 წელს უნახავს წარმოშობით ფრანგ მოგზაურს დიებუა დე მონპერეს, რომლის დროსაც ამ შენობის არაფიქსირებული აღწერა იყო. სოლომონ მეფე ამის შესახებ ჯერ კიდევ 1810 წელს საყვედურთბდა რუსებს, რომლებსაც მეფის სასახლე დაუნგრევიათ. მათ ასევე რუსულ ეკლესიად გადაუკეთებიათ მეფის კარის ეკლესია, რომელიც დღესდღეობით აღარ აჩვენებს. სოლომონის რეზიდენციას ჩრდილოეთ მხარეს ჰქონია ასევე ალყაყაფის შესასვლელი კარები. მეფის ოთახში დაუბაჭიყებლად არავის შეეძლო შესვლა, მისი მოწოდების შემდეგ კი თავადნი და აზნაურნი: „შევიდოდნენ სასტუმრო ოთახში სრულიად შეიარაღებულნი და დადგებოდნენ გამოჭიმულნი, ვიდრე მეფე გამობრძანდებოდა თავის ოთახთაგან და

\*„სამეფო რეზიდენციის ტერიტორიაზე განთავსდა ასევე „სამხედრო ქალაქი“ ანუ „რუსული ქალაქი“ რომელიც „მდინარის პირას, თქმის ჩარღახის“ ჩრდილოეთით იყო განლაგებული, აქვე ჰქონდათ სამხედრო ჰოსპიტალი, ხოლო მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ყაზარმები“ (კეზევაძე, 2013: 266).

„თქმის ჩარღახი“ გაწმემოტყეპული ყოფილა გალავნით და მის გარშემო თხრილით, რომლის კვალი მეცნარაძეც საუკუნის დასაწყისისათვის აღარ ჩანდა. იქვე ყოფილა თადიანი აპარტამენტი, რომელსაც ზემოდან ხის შენობა ედგა, სასახლეს ირგვლივ ხშირი ტყე ეტყა.



მიესაღმებოდა მცირე თავის მოხრით, მაშინ ყველანი მის წინაშე მყოფნი ცაღის ხელით დაებჯინებოდნენ თოფზედ და მეორე ხელს მიიღებდნენ გულზედ, მოიყრიდნენ მუხლსა და რთმელთანაც ინებებდა მიბრძანებასა მეფე მისასაღმებლად, ან ვისაც დაუძახებდა, მოიხრებოდა იგი კალთაზე ან მუხლზე საკოცნელად. და ზადგან სოლომონ მეფე იყო ფრიად ალერსიანი, მოწყალე და კეთილმოტრწმუნე, ამისთვის თითქმის ყოველთვის თავისი ხელით შეაყენებდა მის წინ მუხლს მოდრეკილს“ (ცისკარი.1859:352).

ჩვენს თვალწინ ცოცხლდება 200 წლის წინანდელი სცენა, სადაც ალერსიანი და მოსიყვარულე მეფე ღებულთს თავის ქვეშევრდომებს და ქრისტიანული თავმდაბლობით პასუხობდა მის წინაშე მუხლმოდრეკილ პიროვნებას: „უნებრწულია, არ არის საჭირო, მუხლმოდრეკა საჭიროა მხოლოდ ღვთის წინაშე, მე კი ცოდვილი ადამიანი ვარ“ (Кавказский календар.1858:423). ამასთანავე სოლომონ მეფე ძალზე ღვთისმოსავე ყოფილა, მეფედ კურთხევის დროს მშვიდი, თავზიანი, სიტყვით მასიამოვნებელი, იგი ყველას უყვარდა, მან კარგად იცოდა წმინდა წერილი, უყვარდა სასულიერო წიგნების კითხვა, საუბრობდა ჭკვიანურად, ჰქონდა მშვიდი ხასიათი, იყო მზარელი და გაწინასწორებული. იგი აღზრდილი იყო თავის გამომჩენილი ბაბუის საქართველოს მეფე ირაკლის სასახლეში, სადაც მას შეუსწავლია ქართული წეს-ჩვეულებები (იქვე:423-424). პ. გნითოსართვი სოლომონ მეფის შესახებ ისეთ დეტალებს გვაუწყებს, რომლებიც მას მეფესთან ახლოს მყოფ პირთაგან უნდა ჰქონოდა მონათხრობი, თხრობაში კი მას ყურადღება გამახვილებული აქვს მეფის სულიერებასა და განათლებაზე. იგი საუბრობს ასევე სოლომონ მეფის ფიზიკურ აღნაგობასა და ჩაცმულობაზე: „სოლომონ მეფე ყოფილა საშუალოზე დაბალი, მრგვალი პირისახის, გადიმიება საამთო და მიმზიდველობით. თვითონ მარად ეცვა ქართული ტანსაცმელი, ახალუნის გარდა, რომლის ნაცვლად ეცუა იმერული ზუბუნი ყუთისა. მეფეს უყვარდა მდიდრული ტანისა-

მოსის შნთიანად ჩაცმა. ჩონას შეიკერავდა ევროპული მაუდის სონისა ანუ წაბლისფერს, გარშემო ბუნძენ შემოვლებულს, განიერ ლურჯ ოსმალურ შალგანს, ქართულ სამოგვის წალებს, მწვანე ქოშებით, წვერსა და თავს იპანსავდა და განუშორებლივ ენურა მაღალი ქართული ქუდი. გვერდზე წელზე ერტყა ვერცხლის ქამარი, ზედ ხანჯალი მდიდრათ მორთული, გულზე ატარებდა ყოველთვის თქრთს ძეწვეთ ძელი ჭემმარიჭის ხატს, რომელიც განსაკუთრებით პატივცემული იყო იმერეთში, ასე რომ მასზე დაფიცება დიდ პატივად ითვლებოდა იმერეთში. ზამთარში ჩონის ნაცულად ჩაიცვამდა დაბეწვილს ხავერდის „ტოლომას“, ხოლო თდეს გამოვილოდა სასახლიდან, მაშინ გადაივლებდა მარცხენა მხარეს ნაბაღს და შემოიბრტყამდა ლეკურს“ (ცისკარი.1860:70-71).

მეფე იღვიძებდა 7 ან 8 საათზე და მიდიოდა ეკლესიაში წინვის მოსასმენად. თუ იგრძნობდა ავადმყოფობის ნიშანს ან ცუდი ამინდი დაედრებოდა, მაშინ წავიდოდა დედოფლის ოთახში, სადაც ყოველთვის ლოცულობდა მოძღვარი კვირისა და უქმე დღის გარდა, ხოლო უქმე და კვირა დღეს დედოფალიც მიდიოდა წინვანზე თავის კარის ეკლესიაში, იმ ეკლესიაში, რომელიც იყო „ბატალიონის საყდრად და ამჟამად არის გიმნაზიის კარის ეკლესია. აქ ყოფილა პატარა ძველი სამრეკლო ნაშენი თლილი ქვით, რომელიც გიმნაზიის აშენების დროს უნდოდათ დაექციათ, თუმც განსვენებულმა ვორონცოვმა უარყო დაქცევა მისი. სადილს მიიზომევდა ყოველთვის თერთმეტ საათზე, ხან დედოფალთან, ხან მათ თავადანაურთან, რომელთაც მოიწვევდა თავის სასახლეში. ლოცვის თქმის შემდეგ მოაზომევდნენ ვერცხლის ტაშტს და პინსახოცს ხელის დასაბანად, შემდეგ კი მოაზომევდნენ საჭმელსა: ღმოს ვერცხლის სინით და სხვა საჭმელებს ბროლის თეფშებით (იქვე:71-72). აღდგომას, ქრისტეშობასა და ახალ წელს სოლომონი სადილზე იწვევდა მღვდელმთავარსა და სამეფო გვარის წარმომადგენლებს, რომლებიც იმ პერიოდში ძალიან ცოტანი იყვნენ. როგორც აღვნიშნეთ, დღეისათვის ამ ტერიტორიაზე აღარც ტაძარი და აღარც სამ-

რეკლო, თუმცა ამ ცნობით ვიგებთ, რომ XIX საუკუნის შუახანებში ჯერ კიდევ თრევე აზსებობდა. პ. გნილთსაზრთვის ცნობით, მეფე ზაფხულს ქუთაისში ატარებდა, საიდანაც დილით აღრე სანადიროდ დადიოდა საგორისსა და რინის მინდვრებში, სადაც მზავლად ყოფილა კურდღელი და ხონობი. ზამთარს კი მეფე ვაზცინეში ატარებდა.

XIX საუკუნის დასაწყისში სოლომონ მეფე მოუხანულებია რუს მონელეს ა. სოკოლოვის, რომელიც ამ შეხვედრის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის. ეს შეხვედრა უნდა გამართულიყთ 1802 წელს რაჭაში. „კარავი რომელიც მეფემ მიმიღო იყო უბრალო კარავი, ერთ კომპზე მიშენებული, გადახურული იყო სიმინდის ჩალით. ამ კარავში თრ-სამ ადგილას იყო ფიცრები მოფენილი ლოგინის, ანუ ტანტის მსგავსად. ერთზედ იყო გადაფარებული აბრეშუმის ხალიჩა, რომელიც დიგინის მაგივრად იყო. მისი აღმატებულიების ტანისამოსი იყო უბრალო. ქუდი ეხურა ქართული (ბონონი), ჩონა ქართული მწვანე მაუდისა, გარშემო თქრო-მკედის სირმით შემკობილი. ჩონის საჩრული იყო აბრეშუმისა. ტანზე ეცვა კიდევ წითელი მაუდის ახალუნი, თათრული შალვარი, მაგრამ არ ძლიერ ფართე. არ-აბული წაღები წითელი სამუგვის. აბრეშუმის სარტყელზედ ეკიდა სატევარი, თქროთი მოჭედილი“ (შრომა.1882.№49:3). სოკოლოვის მონათხრობი თითქმის ემთხვევა პ. გნილთსაზრთვის მიერ სოლომონ მეფის აღწერილობას.

სოლომონ მეფის მიერ ეზზე მზრუნველობის ბრწყინვალე ნიმუშია 1808 წლის 20 მაისს გამოტყეპული განწესება, რომელიც გამოსცა „მეფემან სრულიად იმერეთისა და ერთობით ყოვლად სამღვდელთა და თავადთა იმერეთისათა“. განწესების გამოტყეყნების მიზანი იყო „კეთილმზრუნველობა ერისათვის სამეფოსა ჩვენისა“, ვინაიდან იმ პერიოდში ადგილი ჰქონია ვაჭართა მიერ სწავდასწვა პროდუქტებსა და ნივთებზე განსაკუთრებულად მაღალი ფასების დაწესებას, რასაც მრავალი პობტლემა გამოუწვევია. „მოუნ არს გამწარება ქვრივთა, თბოლთა და გლახაკთა, რომლისთვისაც

თვინიერ სჯულთა მეფობრივთა, ითხვის სჯულიც ბუნებითი და უმეტესად სჯულთაცა ბუნებითაცა გვიბრძანებს სჯულისდება ქრისტიანებრი, რათა შეჭირვებულთა და გლახაკთა ერთა-თანა საზოგადოთა აქნდეს ნუგემისცემა ნიეთთა“ (დროება 1876, №132). ქვიფ-თბლებზე და გაჭირვებულებზე ზრუნვა როგორც მეფის, ასევე ქრისტიანთა უპირველესი მოვალეობა იყო. ამის გამო „განმსყიდველებს და მსყიდველებს“ მეფემ კონკრეტულად განუსაზღვრა ფასი სახვადასხვა პროდუქტებზე. მაგ. საპანე ღვინო – სამ მარჩილად, ლობით და ცერცვი თრი ბათმანი – თხუთმეტ ფარად, ჭილთფი ათ ფარად, ხარი სრული და მსუქანი – თც მარჩილად, ძროხა მსუქანი დიდი – თთრმეტ მარჩილად, ცხვარი თრი წლის დიდი მსუქანი – ას ფარად და ა. შ. საბუთს ჰქონია სოლომონ მეფის, მანამ დედოფლისა და ექვთიმე განათელის ბეჭდები და, როგორც ჩანს, იგი გამოქვეყნდა და ყველას აუწყებდა „ამა ზემოთ წერილს ნივთებზედ განწესებულს ფასზედ, რომელიც მეტად გაჰყიდის, როგორც მეფისა და ქვეყნის თრგულს, ისე უნდა მოეკითხოს და ასი მარჩილი ჯარბიმა გადახდეს“. მიუხედავად იმისა, რომ სოლომონი ამ დროისათვის თავად იყო მძიმე მღვთმარებობაში და მას რუსების გამო ქუთაისში აღაბ ედგომებოდა, მაინც ხალხზე ზრუნვდა და ყველაფერს აკეთებდა, რათა უბრალო ადამიანებისათვის ცხთვრება შეემსუბუქებინა, ხოლო წესის დამრღვევი საკმაოდ დიდი სოლიდური თანხით ჯარბიდებოდა და მეფისა და ქვეყნის თრგულად ცხადდებოდა. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს საქართველთში სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ხალხზე ზრუნვის ამკარბ გამოხატულება, რაც მეფის უმთავრეს მიზანს შეადგენდა, სამწუხაროდ, რამდენიმე წელიწადში ხალხზე მზრუნველობისა და ყოველივე ეროვნული იდეოლოგიის ნიშნები იძულებით გაქრა საქართველთში და მთელი თრასი წლის მანძილზე ხალხზე მზრუნველობის ამგვარი შემთხვევა ხელისუფლებისათვის სრულიად უცხო იყო.

სოლომონ მეფის მიერ უბრალო ხალხზე მზრუნველობა მარ-

თლაც სამაგალითოა და თანამედროვე ეტაპზეც თითოეულ ქართველს გვანხენებს იმ მოვალეობას, რომელიც ასე უცნო იყო ჩვენთვის თბი საუკუნის მანძილზე. ერთნაირი იდეოლოგიის აშკარა შიმშილს განვიცდით დღესაც და სოლომონ მეფის მოღვაწეობის შესწავლა ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა, მრავალი საკითხი ახლებურ გაანხილვასა და შესწავლას საჭიროებს. სამწუხაროდ, ქართველ მეფეთა ღვაწლი ამგვარი მიმართულებით შეუსწავლელია.

სოლომონ მეფის შესახებ არსებული შეუსწავლელი საბუთები, რომლებიც მრავლად მოიპოვება საქართველოს არქივებსა და მუზეუმებში, შესაძლებლობას გვაძლევს რეალურად დავინახოთ საქართველოს უკანასკნელი გმირი მეფის სახე, რომელმაც სამშობლოს საკეთილდღეოდ მრავალი იღვაწა, იგი ყველა საშუალებით შეეცადა გადაეჩინა და თვითმყოფადობა შეენარჩუნებინა პაატას იმერეთისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მის წინააღმდეგ უდიდესი და უძლიერესი რუსეთის იმპერიამ იბრძოდა. მისი ცხოვრება სამშობლოს სიყვარულისა და თავდადების ბრწყინვალე მაგალითია. ამ ეპოქამ უამრავ გმირთან ერთად, სამშობლოს მრავალი მოღვაწეც შეა, რომლებმაც პირადი კეთილდღეობისა თუ თქმის მონგეჟის სურვილით სამშობლო უარყვეს და პირველივე შემთხვევისას რუსეთის სამსახურში ჩადგნენ, თუმცა ისტორიამ ყველას თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინა, მათ შორის შეიძლება გამოვყთ სოლომონის უახლოესი ადამიანი, იმერეთის მეფის სახლთურხუცესი ზურაბ წერეთელი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა უღალატა მეფეს. ვფიქრობთ, აღნიშნულმა ეპოქამ ბევრ რამეზე უნდა დაგვაფიქროს და თანამედროვე ეტაპზეც სწორად განვსაჯოთ მოვლენები, რომლებიც საქართველოს მომავალს უკავშირდებიან. გმირი მეფე სოლომონის ცხოვრება კი ყველასთვის მაგალითი უნდა იყოს (ტყეშელაშვილი. 2015:108).

## სოლომონ მეორის პოლიტიკის დასაწყისი

სოლომონ მეფესა და მარიაშ დედოფალს შემკვიდრე არ ჰყავდათ და, ბუნებრივია, ამას განიცდიდნენ. ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული საბუთებით ირკვევა, რომ სოლომონის სამეფოში ცნობილია კონსტანტინე ბატონიშვილი (დავით ვითრის ძის შემკვიდრე) და იგი, როგორც უფლისწული გასცემდა სიგელებს. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ კონსტანტინე ბატონიშვილი სოლომონის შემკვიდრედ მოიხსენიებოდა. ამის დასტურია 1799 წლის 23 თებერვალს გაცემული წყალობის სიგელი: „ქ. ნებითა და წყალობითა ღვთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბანკრატთანმან, სრულიად ლიხთ-იმერთა უფლისწულმან ბატონიშვილმან კონსტანტინე წყალობის წიგნი დავიწერეთ, ჩემს საყვარელს სიძეს ცინისთავს სარდალ ქეშიკთუხუცეს აგიაშვილს დავითს და ჩემს საყვარელს დას ბატონიშვილს ანასტასიას და თქვენთა შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, (სწორავს ფორჩხიძეებს, ნიკოლაძეებს) თავის ცოლ-შვილით, მამულით“ (ქმ.986). სიგელის ბოლოს მოხსენებული არიან: ბატონიშვილი როსტომ, აბაშიძე ივანე და მოურავი საჩინო ბარათაშვილი. კონსტანტინე ბატონიშვილი სიგელში ბავრატოვანთა სამეფო სახლის სრულუფლებიან წევრად მიიჩნევა თავს და სიგელს ამტკიცებს ასევე თავისი ბეჭდით. კონსტანტინე ბატონიშვილის დაზე ზრუნავდა ასევე სოლომონ მეფე და მარიაშ დედოფალი, რაც მათ ღირსებაზე მეტყველებს. ცნობილია, რომ დავით მეფესა და სოლომონს შორის არ იყო კარგი დამოკიდებულება. მიუხედავად ამისა 1792 წელს, სოლომონ მეფე დავით მეფის ქალიშვილს წყალობისა და სამზითვო წიგნს აძლევს: „დავითის ასულს ანასტასიას შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა... როდესაც მამაშენმან აგიაშვილს დავითს მივათხოვა იმჟამად აღარ დასცალდა შენთვის სამზითვოთ გლეხის და მამულის მოტემა და გარდაიცვალა და მას მერმეთ ჩვენ გვევდრეთ და თქვენ მიერ ვედრება ვისმინე

და წყალობა გიყავ და მამამშენის სამკვიდრო კაცები ჩხარს გიბოძე და გამზითვეთ“ (ქიმ.978).

სოლომონი მეუღლესთან ერთად იღვწოდა, რათა თავისი სახელთგანი ბიძის-სოლომონ პირველის სახელი აზ ყოფილიყო დაგიწყებულნი, რადგან სოლომონ პირველს განსაკუთრებული დამსახურება ჰქონდა სამშობლოს მიმართ, მან გააძევა თსმალეები დასავლეთ საქართველოდან: „უშჯულოთა მაჰმადიანთა ძირითურთა ღმრთივერგელი და ქრისტიანთის მრავალგზის სისხლდათხეული იმერთა მეორე აღმამენებელი ბატონი ბიძაჩემი მეფე სოლომონ გარდაიცვალა და ვითარცა სურვილი იყო საფარველსა შენსა ეგრეთ მიემთხვა და მრავალმოღვაწე გვამი მისი დაიდვა წმინდა დიდებულსა ტაძარსა შენსა და მეცა ვინებე კინი ოდენის მსახურებისა აღსრულება დიდ სახელთგნისა მის მეფისა რათა წმინდა ტაძარსა შინა უკუნისამდე სახელი მისი დაუვიწყებლად იხსენებოდეს და შევსწირე წმინდა შენსა ეკლესიას გელათს მთავარს საყდარს სამი მოსახლე ურია კუკასშვილები და ერთი მოსახლე სომეხი ანდრია მიქელასშვილი“ (კაკაბაძე. 1921. II:95-96). აღნიშნულ ვაჭრებს დაადეს ბეგარა, ხოლო ყოველ ვითრება დღეს თვითონ გაენათელს, თავისი კრებულითურთ მიტვალებული მეფის სოლომონისათვის ჟამის წიგვა უნდა აღესრულებინა.

სოლომონ მეფე განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს საკუთარი ბიძის მიმართ 1791 წელს დაწერილ სიგელში, რომელშიც იგი ასევე საკუთარ მამას აზრისაგა მოიხსენიებს: „მეფემან დიდმან სახელთგანმან სოლომონ, და ყოველსავე ჭირსა და ბრძოლასა შინა მყოფმან და თანა მბრძოლმან ძმამან მისმან სასურველმან ძლიერმან და ანთანმან საიმერეთეს უფლისწულმან ბატონიშვილმან აზრით დღეს ნებითა ღვთისათა... დასდევს სული თვისი, ვითარცა მწყემსმან კეთილმან სამწყსოთა თვისითათვის, და არა რიდა თავსა თვისსა“ (ქიმ.138). სოლომონ პირველმა განდევნა თავის ქვეყნიდან აგრიანთა ნათესავი, რომელთაც დაეპყრათ იმერეთი და მრავალი უბედურება შეამთხვიეს ხალხს-ქრისტიანებს ტყვეებად ყიდიდნენ, ამასთანავე მათ სხვა მრავალი უწესობით გარყვნიეს ქვეყანა და „ქუაბ ავანაკოთ“ სამყოფელად აქციეს, თუმცა სახელთგანმა მეფე

სოლომონმა და „საყუარტელმან ძმამან მისმან ახთანმან ბატონიშვილმან აჩიოლ, აღიღეს შუბი ვითა ფინებმან და განგმიძრეს გული მათი, მრავალგზის ურიცხუ ლამქართა წყობითა, და სისწლთა მათთა მიერ მოტწყეს ქვეყანა თვისი, და შემდგომად ცხენიცა მიუზუნეს და სრულიად იავარყვეს, და აღმოფხურეს მიზგითნი მათნი, და დაადუმეს მათ შორის ბილწისა მოჰამედისა ქადაგებანი“. მათ მიერ ასევე გამოხსნილი იქნა მრავალი ქრისტიანი და ეკლესია-მონასტრები განთავისუფლდნენ თსმალთა ზეგავლენისაგან. ბიძის გარდაცვალების შემდეგ სოლომონ მეფემ ორი მიზნის გამო საჭიროდ ჩათვალოა სოლომონ პირველის სულის სათხადებოუნა, პირველი – „ღუწისათვის ამის ქუეყანისა, ვინადგან ავანთანთა მონებისაგან გამოხსნა, და კვალად ამისთვის რომელ მამობისა აღვილი მან აღმოთავსო ჩემდა, ვითა პირმოთ ძე ეგრეთ მიწადა და შემოტკობ, და შრომით პოვნილი ტანტი მეფობისა თვისისა, ჩემთვის განასაკუთრა“. თავისი ბიძის მიმართ უზომოდ მაღლიერი მეფე სოლომონი როგორც კი ტანტზე ავიდა, მაშინვე დაიწყო – „ზრუნვად და მსახურებად პატიოსნისა სულისათვის მისისა“, რისთვისაც მან გამოაჩინა: „მღვდელი ვინმე პატიოსანი დავით მისვე მეფისა სოლომონისგან პატივცემული“ გვარად წერეთელი, რომელიც ჯერუჭის წმიდა გიორგის ეკლესიაში იმსახურებდა სოლომონ პირველის სულის სათხად. სიგელში სოლომონ მეფე ზედმიწევნით ჩამოთვლის სოლომონ პირველის ყველა დამსახურებას სამშობლოს მიმართ, რის გამოც თავის პასუხისმგებლობად მიიჩნევს, იზრუნოს სახელთვანი მეფის სულის სათხად, რომელმაც იგი თავის მეძვიდრედ გამოიჩინა. სოლომონ მეფე ასევე ზრუნავდა სოლომონ პირველის მეუღლე გულქანისადმი, რომელსაც უბრუნებს თავის ყმას გიორგი ალფაიძეს, ხოლო გულქან დედოფალის გარდაცვალების შემდეგ 1803 წელს სოლომონმა გელათის მონასტერს შესწირა ჭითავების თჯახი, გულქან დედოფალი კი გელათში დასაფლავების მხარეს კარბიბჭეში დაუკრძალავთ, ღვთისმშობლის ვედრების ხატის პირისპირ, ხოლო გულქან დედოფლის სულის სათხად სულიწმინდის მოსვლის ყოველ შაბათს წირვა უნდა აღსრულებულიყთ (კაკაბაძე. 1921. II: 140). საკუთარი ბიძის



განსაკუთრებულ დამსახურებაზე მეტყველებს ასევე 1792 წლის სიგელის მინაწიბი, რომელიც უშუალოდ სოლომონ მეორის მიერ უნდა იყოს შესრულებული: „ივერთა მეორესა აღმამენებელისა აგაზიანთა სისხლთა მრღვნელისა. ტომებით დავითნისა, უმაღლესისა მეფისა და მამებრ საწყალობლისა ჩემისა ბიძისა და ბატონისა სოლომონ ივერთა მპყრობელისასა აღწერილსა სიგელსა ამას ძე არჩილისა მეორე სოლომონ... ვამტკიცებ“ (ქიმ. 706).

სოლომონ მეფე ცდილობდა, თავისი სახელთგანი ბიძის სოლომონ ბირველის განკარგულებები ვინმეს არ დაეზღვია, რასაც მოწმობს მისი 1794 წლის 3 მარტის ბრძანება. „სრულიად იმერთა მეფემან ქემან არჩილისამან მეორემან სოლომონ დავითიან მან ესე ვიბრძანე ყოველთა მიხელეთა ჩემთა მოურზავთა, ხელთსანთა, ნაცუალთა, ხელთუფალთა, მამასახლისთა, რომ გელათს წმინდის მარინის ეკვდრისათვის და დედოფლის მარიაძის სასაფლათსთვის მათს დიდებულებს მეფეს სოლომონს გლენები, მამული და ვაჭრები შეუწირავს და მისი ბრძანების დავთარიცა ამას აცხადებს. მისის წინამძღვრის მეტს იმასთს მამულზედ, გლენებზედ და ვაჭრებზედ საქმე არ აქვს და მეც ეს მიბრძანებია ყოველს მიხელისათვის“ (ქიმ.106). მეფის ბრძანების მიხედვით სოლომონ ბირველის მეუღლის მარიაძის საძვალე გელათში, წმინდა მარინეს სახელობის ეკვდერში ყოფილა და ამ სასაფლათსთვის სოლომონ ბირველს მრავლად შეუწირავს გლენები, ვაჭრები და მამულები. ღირსეული ძმისწული კი ხელახალ ბრძანებას გამოსცემს და თავის მიხელეებს აფრთხილებს, რომ მისი ბიძის ბრძანება არ დაიზღვეს და წმინდა მარინეს ეკვდერის გლენებსა და მამულებს ვინმე არ შეეხოს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მანუჩარ დადიანის მიერ გაგზავნილი წიგნი იმერეთის მეფე სოლომონისადმი, სადაც ის იუწყება: „ჩვენს სამფლობელოში ოდიშს უკეთურის ეშმაკის საძრახი საქმით უმჯულოება და ღვთის განმარისხები ტყვის სყიდვა რამოდენისამე აღვილიდამ მოქმედებდა. აწ თქვენ ამისი ჩვენის ადგილიდამ გარდაგდება და სრულად აღმოფხვრა ინებეთ და როგორც თქვენს ღვთის მოშიშებას მუნდა ისრე საერთო ძმების სიყვარული იზრუნეთ, მისი სიმტკიცე ითხოვეთ ჩვენგან, რომ ჩუენს მამულში

ეს უღთობა და ღვთის განმარისნებელი უმიჯნულობა მოიმალოს“ (სჯსა.ფ.1448 ს.1464). ღვთისმთავრში მეფე სამეგრელოში ზოგიერთ ადგილზე შემორჩენილი საშინელი ცოდვის – ტყვეთა სყიდვის გაუქმებას ითხოვდა და ამისაკენ მოუწოდებდა ყველას, ვინც ამ უბედურებაში მონაწილეობდა.

1895 წელს სოლომონ მეფემ კრწანისის ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. 22 წლის ანალოგზრდა მეფეს საკუთარ აღმზრდელ ბაბუის მხარდამხარ მოუწია მტერთან ბრძოლა. სხვადასხვა ავტორმა კრწანისის ბრძოლის შემდეგ მიზანმიმართული ყაღბი ცნობა გააფრცხვლა იმერთა დალატისა და თბილისში შესაძლო ლაშქრობის შესახებ. როგორც ისტორიკოსმა მ. რენვიამვილიმა გამოატყვიას ეს ფაქტი არ დასტურდება და „ამერ–იმერის ერთიანობის მტრების მიერ მოგონილი ბრალდება იმის შესახებ, რომ იმერლებმა ერეკლე მეფეს უღალატეს კრწანისის ველზე, ქართული წყაროების შეჯერების შედეგად არ დასტურდება“ (რენვიამვილი.1989:324). განსაკუთრებით ცილისმწამებლური იყო რუსი ავტორის დუბროვინის შეთხზული ამბავი, თითქოს იმერლებს 10 000 კაცი გაეტაცოთ ქართლიდან და თსმალეთში გაეყიდოთ. ერეკლესა და სოლომონის უთანასწორო ბრძოლის შესახებ ერთი ძველი მინაწერი გვაუწყებს, რომელიც თანამედროვეებს გაუკეთებია 1785 წელს გამოცემულ ვანუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიაზე: „სექტემბრის ია (11) ყაჯარი ხოჯა მამადნან მოადგა ტფილისს. მეფე საქართველოსი ირაკლი და მეფე იმერთა სოლომონ შეებნენ სეიდაბათსა და კრწანისის ბალებთანა და ცოდვათა ჩვენთათვის იძლივნეს! თრნი ესე მეფენი ქართველი და კახი და იმერნი. მოჰყენენ სპარსნი და მასვე დღესა სამშაბათსა აღიღეს ტფილისი ქალაქი... თრნი ესე მეფენი განებნენ მშვიდობით“ (ხელნაწერთა აღწერილობა. VI. 1969:82). უთანასწორო ბრძოლა ქართველ მეფეთა დამარცხებით დასრულდა, წასაც თბილისის აღება მოჰყვა, მაგრამ ამ საქმეში იმერეთის მეფის დადანაშაულება ყოველად გაუმართლებელი საქმეა.

სოლომონ მეფის შესახებ არსებული გამოქვეყნებული, თუ გამოუქვეყნებელი დოკუმენტები ნათლად მოწმობს, როგორ ზრუნავდა მეფე ეკლესია-მონასტრებზე, როგორ ეხმარებოდა ქვრივ-

ობლებს. სოლომონი მრავალ შესაწირს უძღვნიდა ეკლესიებს, რომ მის სახელზე ჟამის წირვა აღესრულებინათ და მისი მოხსენიება არ შეწყვეტილიყო. იგი ასევე მამულებს სწირავდა, რათა მისი მშობლების მოხსენიება საუკუნოდ ყოფილიყო.

1792 წელს მარიამ დადიანი ერთ კომლ მოსახლეს სწირავს სხვაგვარს უდაბნოს, რისთვისაც 29 აგვისტოს იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღეს უდაბნოს მამას თავის კრებულის სამეფო თჯავისათვის ჟამის წირვა უნდა აღესრულებინა (ს.ც.ს.ა.ფ.1448 ს.4437). 1796 წელს სოლომონ მეფე შესაწირს სწირავს ტაბაკინის წმინდა ნიკოლოზის სახელობის მონასტერს, „ყოველ წელიწადს ჩემის მოხელის... თუ-თუ ურემი გარჩეული სიმინდი მოგერთმეოდის“ (ს.ც.ს.ა.ფ.1448.ს.4438). მომდევნო წელს სოლომონ მეფე და მარიამ დედოფალი ახლებენ გოგნის უდაბნოს შეწირულების სიგელს და ახალ მამულებს სწირავენ მას, გოგნის უდაბნო „კურთხეულს ბიძაჩემს მეფე სოლომონს და დედოფალ მარიამს როდესაც გოგნის უდაბნო ეშენებინა და მისთვის გლეხები და ადგილ-მამული და ვაჭრები შეეწირა“ (ს.ც.ს.ა.ფ.1448.ს.3161) აღნიშნულია სიგელში. 1794 წლის სიგელით სოლომონ მეფე თავის თანამეცხედრესთან ერთად მამულებს სწირავს კაცხის მაცხოვრის სახელობის ეკლესიას და ამის ეკლესიას: „მსახურთა წინამძღვართა დეკანოზთა და კრებულთა შაბათს ხორცთა აღებისასა ნეჭარად ხსენებისა მამის ჩემისა მეფის ალექსანდრის ძისა არჩილისათვის, დედისა ჩემისა ქართველთა და კანთა მეფის ასულისათვის ელენედ წოდებულისთვის ჟამს სწირავდნენ და კვირიაკესა თომასასა წინამძღვარ - დეკანოზ - კრებულთურთ ჩემთვის ჟამს სწირავდეს და ეკლესიას შენსა შთამომავალნი ყმანი ტაძრისა შენისანი ჩემთვის ლოცვას ყოფდეთ“ (ქიმ.N<sup>o</sup>104). როგორც ჩანს, დედოფალ მარიამს განსაკუთრებული სასიყვარულო გააჩნდა კაცხის მაცხოვრისადმი, რადგან 1797 წელს ტაძარს შეწირულობა განუახლა და თნივბრეული კომლი შესწირა ეკლესიას: „ქალწულისა მარიამისაგან ხორცითა შობილთ და გამოჩინებულთ მაცხოვარ კაცხისათ და მხსნელთ ბუნებისა ჩვენისათ, ყოველთა სიხსენებელთა ბუნებათ მიერ სატრფიალოდ და დუმილით თაყვანისმცემელი, ტკბილთ იესო

მჩრბლთა ბუნებათა შინა ცნობილთ... შენისა უსაზღვრთსა მოწყალებასა მონღობილი ყოვლისა საიმერეთოსა დედოფალი მარიაჲ დადიანის ასული, რომელმან ვინებუ ცათა მობაძავისა ეკლესიასა შენისა შეწინაშობისა განახლება და კვალად დამტკიცება ზათა შეურყვევლად ეგოს ვიდრე უკუნისამდე... რომელ დიდ მარხვის თრმეატში საუკუნოდ მაცხთვრის ეკლესიაზედ სოლომონის და ჩვენი მწირველნი უნდა იყვნენ და მარადის ჩვენი წარმართებისათვის ილოცვიდნენ“ (ქიმ.132). აღსანიშნავია, რომ სიგელის მოქმეტა შორის იხსენიება ყოვლად სამღვდელო დოსითეოსი, წულუკიძე გიორგი, რომელსაც მარიაჲ დედოფალი ბიძას უწოდებს და „ჩვენი მოძღვარი იშხელი სვიმონ“, ეს სვიმონი უნდა იყოს მარიაჲ დედოფლის მოძღვარი. საარქივო მასალებით დასტურდება, რომ სოლომონ მეფემ თავის მეუღლე მარიაჲმთან ერთად მრავალ ეკლესია-მონასტრებს შესწირა მამულები, განუახლა სიგელები. მათ შორის ილოტრის წმინდა გიორგის, ნიკოტწმინდის ტაძარს, გელათის მაცხთვრის ეკვდრს, ჩხარის წმინდა გიორგის და ღირსი მამა საბას ეკლესიას, ქუთაისის სობორთს, გელათის წმინდა გიორგის, სვირის წმინდა გიორგის და წმინდა მარინეს ეკლესიას. სოლომონ მეფის ბრძანებით აიკრძალა მოწამეთის მონასტრის მამულების ხელყოფა: „როგორც ძველად ყოფილა ძველს საფიცარშიდ, მონასტრის ადგილში ქუთათურმა ვაჭარმა სომეხი იყოს თუ ურია ან სხვა სჯული ვინმე ვაჭარი უკითხავათ არ დაეცილოს მონასტრის მიწა-წყალს, არ შემოიჭრას, არც თევზაობა იქმნას და არც ყანის ღობე მოიპაროს და არც ცხენის შემეება იქმნეს, თორემ ჩვენი მეფისა და დედოფლისაგან წიგნით ბრძანება გვაქვს“ (სჯსა.ფ.1448ს.2246). საქართველოს საისტორიო არქივში ინახება სოლომონ მეფის ბებრის დარეჯან დედოფლის წერილი სოლომონისადმი: „სოლომონს მის სიმაღლეს ჩვენს შეილიწვილს სრულიად იმერთა მეფეს. საქართველოს დედოფალ დარეჯან მრავალ თქვენ საკადრის მოკითხვას და უნებლად სუფევის წადილით ჩემს სასურველს პირს კოცნას მოვანხნებ. მერე ქრისტეს საფლავის ყმა ზაქარიაჲ ჩვენ არზი მოგვართოვა და მოგვანხნა, რადგან ქრისტეს საფლავის ყმა არის ამას ბაჟი არსად არ თონოვება და ვერავინ გამოართმევს. მანდ იმერეთს ბევრს ალაგას

ბაჟს იღებენ და ამასაცა თურმე რჯიან, ვითხოვთ თქვენის სიმაღლისაგან რადგან ქრისტეს საფლავის ყმა არის და არას ღრთს არ გამოთმევია არც ახლა გამოერთოს... თქვენი სადღეგობელით იქნება“ (სტა.ფ.1450ს.38). სოლომონ მეფე წინაპართა მიერ დადგენილი წესების აღდგენა-განახლებებზეც ზრუნავდა, რასაც ადასტურებს 1802 წლის სიგელი, რომლის მიხედვითაც გელათის მონასტერს ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ღრთიდან მრავალი ადგილ-მამული და ყმა ჰყავდა შეწირული ასევე „საწინამძღვროთ განწესა და მათთვის საძვალთო განწესათ და აგრეთვე შთამომავლობით ჩვენთა ძველთა პაპათა და მამათა ეს ეკლესია ედიდებით, მაგრამ უღრთობისაგან და ჟამთა ვითარებისაგან თავადებს უსამართლობით შენი ეკლესიის მამულები და ადგილები მიეტაცათ, განერყვნათ, დაეყიდნათ“ (კაკაბაძე.1921. II:121). სოლომონმა „ნატის მამული“ წინამძღვრები დაადგინა, ძველი დავთარი აღადგინა და გელათის მამულებში არგვეთში, თერბასა და ყველგან მოურავის დადგენა აკრძალა.

სოლომონ მეფეს საკმაოდ სოლიდური შემოსავალი ჰქონდა, რაც რუსი მთხლელებისათვის განსაკუთრებით ინტერესის სფერო გამხდარა. მეფის შემოსავლის ძირითად წყაროს შეადგენდა ბაჟები და სავაჭრო გადასახადები. მეფე იჯარით სტემდა საბაჟო შემოსავალს ადგილობრივი ბაზრებისაგან, სამღებროებისაგან, ქუთაისის დუქნებისაგან და სხვა. მას ყოველწლიურად 97 ქესა ფულს აძლევდა. ქესა – 500 მარჩილს, (თითო მარჩილში 52 ფარას ანგარიშობდნენ) ანუ 120 ვერცხლის მანეთი. იმერეთის სხვადასხვა სოფლებსა და ქუთაისში მეფე დაახლოებით 1500–მდე ყმას ფლობდა და მისი წლიური შემოსავალი, ნატურით და ფულით ერთად დაახლოებით 30–40 ათას მანეთამდე აღწევდა. საბეგრო შემოსავალი ფულზე გადაყვანით უდრიდა 20 896 მანეთს, ამას ემატებოდა სავაჭრო–საიჯარო შემოსავალი 14 080 მანეთი (გონიკიშვილი.1979:25). სოლომონ მეფე ამ შემოსავალს ქვეყნის განვითარებას, ეკლესია–მონასტრების მშენებლობასა და სხვა მნიშვნელოვან საქმეებს ახმარდა.

## ელჯანაშკის ხელშეკრულება და უკითხვითობა რუსეთის იმპერიასთან

სოლომონ მეფის მოღვაწეობის პიზველ პერიოდში (1789–1802), მას მოუწია სამთავროების წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ იმერეთის მეფის გაძლიერებას და ამისათვის ანაფერს არ ეზიდებოდნენ. XIX საუკუნის დასაწყისში კი ისინი რუსეთის ერთგულების გზას დაადგინენ, რათა სოლომონი კიდევ უფრო დაესუსტებინათ. ამ პერიოდში სოლომონ მეფის სურვილი იყო გაეერთიანებინა დასავლეთ საქართველო, საბოლოოდ დაემორჩილებინა გურია–სამეგრელო და აფხაზეთი, რათა მას შეძლებოდა დასავლეთ საქართველოდან თსმალები გაეძევაინა, თუმცა სოლომონის აღნიშნული გეგმები არ შედიოდა არც რუსეთის და არც თსმალების ინტერესებში, თრევე ეს იმპერია იმხანად ერთმანეთის მოკავშირე ვახდა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. „იმერეთის მეფის პოლიტიკურ გეგმების წარმატებას რუსეთის მთავრობა იმ მხრითაც ხელს უშლიდა, რომ მან მოშალა ქართლ–კახეთის სამეფო და ახლა ის იმერეთის სამინათო საქმეებშიაც ჩაერია“ (ბერძენიშვილი.196ნ:284). სოლომონს მოღვაწეობის მეორე პერიოდში მოუწია უთანასწორო ბრძოლა რუსეთის უძლიერეს იმპერიასთან, რომლის დროსაც მთავრებმა კვლავ არასწორი გზა აირჩიეს და რუსებთან კავშირით, შეეცადნენ სოლომონის განადგურებას, მათმა ამგვარმა პოზიციამ ბუნებრივია დააჩქარა იმერეთის და სავროთოდ დასავლეთ საქართველოს დაპყრობა რუსების მიერ. ბავრატონთა დინასტიის ყოფნა–არყოფნის საკითხი შეუმჩნეველი არ დაჩინებიათ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებს. შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად იმერეთის სამეფო კარის მესვეურებმა შემდეგი ღონისძიებები დასახეს: „დასავლეთ საქართველოში მთავრების დამორჩილებით უნდა დამყარებულიყო მეფის ძლიერი ხელისუფლება, აღმოსავლეთ საქართველოში იულონ

ბატონიშვილისათვის უნდა შეენახნენ უნებინათ ტახტის მემკვიდრეობა, რაც სოლომონის ფიქრით, იმერეთის სამეფოს დამოუკიდებელი ანსებობის გარანტია იქნებოდა“ (ჩენვიამვილი.1989:328). სოლომონ მეფის შთასვამიანი უდიდესი სახელმწიფოებრივი ნაბიჯები მიუღებელი იყო რუსეთის ხელისუფლებისათვის, რადგან სოლომონი იბრძოდა, როგორც საკუთარი ტახტის, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში ბაგრატიონთა სამეფო ტახტის აღდგენისათვის, თუკი სოლომონი მთავრებდა და აღმოსავლეთ საქართველოში მისი მკვიდრი ბიძა იულონი ტახტს დაეუფლებოდა, ამ შემთხვევაში იგივე განიშტკიცებდა ტახტს იმერეთში, ამასთანავე აუცილებელი იყო იმერეთის მეფეს დაქვემდებარებოდა დასავლეთ საქართველოს სამთავროები. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველაფერი გაკეთდა, რათა სოლომონის გეგმები არ განხორციელებულიყო.

მთავრების დადიანის და გურიელის უბასუნისმგებლო, ანტი-ერთგულმა მოქმედებამ მძიმე შედეგები მოიტანა, მათ საკუთარი მეფის ერთგულებას აჩრიეს უფრო ძლიერ და უცნო იმპერიასთან მკავშირეობა, რომელმაც შემდეგ სამთავროების მიმართაც მისთვის ჩვეული პოლიტიკა გაატარა. რუსეთმა კარგად გამოიყენა სოლომონისა და გრიგოლ დადიანის დაპირისპირება, რადგან გრიგოლ დადიანმა რუსეთის ხელისუფლებას 1802 წელს დახმარებისათვის მიმართა და 1803 წლის 4 დეკემბერს მან რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. ამ ფაქტმა სოლომონ მეფის პოზიციები კიდევ უფრო შეასუსტა. მარცხით დასრულდა ასევე სოლომონ ლიონიძის ელჩობა პეტერბურგში, რადგან იმერეთის მეფის პირთები რუსეთისთვის მიუღებელი იყო. ამას ახალი უბედურებაც დაემატა და სამწუხაროდ მთავრების ზვას იმერეთის ბევრი თავადიც დაადგა, რომლებიც პავლე ციციანოვის მიერ იქნენ მოსყიდულნი: „საჭიროდ ჩავთვალე იმერეთში შესვლის წინ იქ გამეზავნა თქვით-ვერცხლის ავანგარდი... თქვით „ავანგარდმა“ მართლაც გასჭრა- მეფის „ერთგული“ თავადები სწრაფად გადადიოდნენ ციციანოვის მხარეზე. გიორგი

აბაშიძემ ერთდროულად ათი ათასი მანეთი მიიღო მოლაღატყე-  
ბზე გასანაწილებლად“ (იქვე:340). ციციანოვს მართალია იმერეთში  
მეფის ხელისუფლების გაუქმება ჰქონდა დაგალებული, მაგრამ მან  
ძალების სიმცირის გამო, ნებაყოფლობითი ხელშეკრულების დადე-  
ბა ჩათვალა საჭიროდ.

ციციანოვმა სოლომონ მეფის გასატყენად მრავალგვარ საშუ-  
ალებას მიმართა. ჯერ იმპერატორის მოკითხვის წიგნი გაუგზავნა,  
სადაც ხელმოწევა „სიყვარულს“ და „მშვიდობას“ აუწყებდა გაეჭვი-  
ანებულ მეფეს, შემდეგ კი ქრთამი აამოქმედა. ბოლოს მან საკუ-  
თარი წარმომადგენელი გაგზავნა და მეფეს კონსტანტინე ბატონიშ-  
ვილის განთავისუფლება კატეგორულად მოსთხოვა. და სოლომონ  
მეფე, თონი თვის მოლაპარაკების შემდეგ, დაყვა ციციანოვის ნე-  
ბას, კონსტანტინე ბატონიშვილი გაათავისუფლა და თვითონ ხე-  
ლმოწიფის საფარველში შესვლაც ითხოვა (ბერძენიშვილი.1965:288).  
ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადებამდე რუსეთის ჯარი გენერალ  
ტუჩკოვისა და პოლკოვნიკ ერისთავის წინამძღოლობით იმერეთში  
შეიჭრა და ხალხს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ფიცის  
მიღება დააწყებინა. სოლომონ მეფე და პავლე ციციანოვი ერთ-  
მანეთს იმერეთის საზღვარზე სოფელ ელაზნაურში შეხვდნენ და  
1804 წლის 25 აპრილს სოლომონ მეფემ ხელი მოაწერა თხოვნას  
რუსეთის ქვეშევრდომად შესვლის შესახებ. ამ ხელშეკრულებით  
ძალზე იზღუდებოდა სოლომონ მეფის არაერთი უფლება, მათ შო-  
რის იგი ხელს იღებდა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის შეს-  
აძლებლობაზე, ხოლო სამინათ საქმეებიდან – სისხლის სამართლის  
საქმეთა წარმოებაზე. სადავოდ დარჩა ლეჩხუმის საკითხი, რადგან  
იგი დადიანს ჰქონდა მიტაცებული, გურია კი სოლომონის ქვეშევრ-  
დომობაში დარჩა. რაც ყველაზე მთავარი იყო სოლომონის მეფობა  
საუკუნოდ უმტკიცდებოდა, ხოლო შვილის აწყობის შემთხვევაში  
მის შემკვიდრედ კონსტანტინე ბატონიშვილი (დავით მეფის შვილი)  
ცხადდებოდა. სოლომონს ევალებოდა ასევე რუსული ჯარის სურ-



სათ-სანთავით უზრუნველყოფა. სოლომონ მეფისა და ციციანთვის შეხვედრის შესახებ ჟურნალ „დროების“ 1910 წლის ფურცლებზე ვკითხულობთ: „ელაზნაურის ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ, როცა მეფე და ციციანთვი ერთად დაჩნნენ – სოლომონი შეეხვეწა შეეფიცნა ჯვარზე და სახარებაზე, რომ აღნიშნულს პირობებს პიზნათლათ შეასრულებდა რუსეთის მთავრობა და სიკვდილამდის მეფედ დარჩებოდა. ციციანთვმა პირობა მისცა, რომ ყველაფერს პიზნათლად შეასრულებდა“ (დროება.1910:3). თუმცა პავლე ციციანთვს, თუ ნებისმიერ რუს მონღელს მხოლოდ იმპერიის გაფართოება ამოძრავებდა და ნაკლებად სწუხდნენ ფიცის დარღვევებზე, რომელთაც ისინი წმინდა სახარებასა თუ ჯვარზე დებდნენ, შემდგომშიც არაერთხელ დაარღვეის რუსმა მონღელებმა ამგვარი ფიცი, რაც მათთვის მხოლოდ მიზნის მიღწევის შესაძლებლობა იყო.

„რუსის მმართველი წრეები ტფილისში და მათი წარმომადგენლები ქუთაისში იმდენად აგრესიულ გზას ადგნენ, რომ არავითარ ნდობას იმერთ შორის არ იწვევდნენ. თდიშზე უარის თქმა და მეფის ფაქტიურად დადიანთან გათანასწოება დიდი შეურაცხყოფა იყო იმ საუკუნეებით შემუშავებულ უფლებრივ შეგნებისა, რომელიც ახასიათებდა იმერეთის მეფეთა სახელმწიფოებრივ შემეცნებას“ (კაკაბაძე.1920:172). ელაზნაურის ხელშეკრულებით, ბუნებრივია, ირღვეოდა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული წესები და ბაგრატიონთა სახელმწიფოს მართვის ტრადიციები და ამჯერად ეს ქრისტიანული იმპერიის უშუალო ჩარევით და ძალდატანებით განხორციელდა. „სოლომონ მეორე თავიდანვე ხედებოდა, რომ ეს გარანტიები მყარი არ იყო, ამიტომ უარს ამბობდა იმერეთის „გაბედნიერებისათვის“ მადლობის მოსახსენებლად იმპერატორის კარზე დელეგაციის გაგზავნაზე, რასაც მისგან დაჟინებით მოითხოვდნენ. რუსეთს ეს მსოფლიოს თვალში თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად და კიდევ იმისათვის სჭირდებოდა, რომ თუნდაც საუკუ-

ნების გასვლის შემდეგ, ყველაფერი ქართველ მეფეებს დაბრალე-  
ბოდათ... საკუთარ სამეფოში ლტოლვილად ქცეული ქართველი  
მეფე წლობით ტყვეს აფარებდა თავს“ (ხომეროკი.2010:3). სოლომონ  
მეფის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა რუსულ მხარესთან  
იმერეთში რუსეთის საგანგებო მონხელის პეტრე ლიტივინოვის ჩას-  
ვლის შემდეგ. თუძცა აღსანიშნავია, რომ სოლომონისადმი ძლი-  
ერ კრიტიკულად განწყობილი სამეფო ჩინოვნიკი ლიტივინოვი და  
ბოლკოვნიკი სიმონოვიჩიკ ალიაბებდნენ, რომ „ხელისუფლების ერ-  
თიანობა და გატყვეული წესრიგი აჩსებობს იმერეთში“, რომ მეფე აქ  
უფრო ახლოს დგას ხალხთან, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში  
(Пирцхалаიшвили. 1942:35). რუსმა მონხელემ თავისი ქმედებე-  
ბით, სწორედ ამ წესრიგისა და ურთიერთობების დასარღვევად  
ყველაფერი გააკეთა. მისი აზრით „იმერეთში იგივე მმართველობა  
უნდა დამყარებულიყო, როგორც იყო ქართლ-კახეთში, მეფე კი  
რალაც მიზნით გაწვეული ყოფილიყო რუსეთში, რათა იმერეთში  
სიმშვიდე დამყარებულიყო“ (Акты,IV:4). ლიტივინოვი შეეცადა იმ-  
ერეთის მეფე და სამეგრელოს მთავარი მთერეგებინა, იმ მიზნით,  
რომ რუსეთს უფრო იოლად განებტრცილებინა თავისი მიზნები  
დასავლეთ საქართველოში და დაეკავებინა ფოთის ციხე, რომელიც  
ოსმალებს ეკავა. სინამდვილეში რუსები ატც ერთს არ ენდობოდნენ  
და ხელმეკრულებები რომლებიც იმერეთის მეფესა და სამეგრელოს  
მთავართან დადეს მათი მიზნების ნაწილი იყო, რათა მომავალში  
მათი პოლიტიკა უფრო იოლად გაეტრებინათ. სიტუაცია დაიძაბა  
დადიანის მიერ ლენჩუმიში ჭყვიშის ციხის აღებისა და დევირის  
ციხის ალყაში მოქცევის შემდეგ. რუსმა მონხლეებმა სოლომონის  
წინააღმდეგ განაწყვეს ასევე გურიის მთავრის სახლის წევრები და  
თვით კონსტანტინე ბატონიშვილიც, რომელმაც სწორად შეაფასა  
მოვლენები და 1804 წლის 12 ივნისს იგი თბილისიდან გაიქცა და  
სოლომონ მეფესთან მივიდა. ბუნებრივია ამ ყველაფრის შემდეგ  
სოლომონი დაწმუნდა, რომ რუსების ნდობა არ შეიძლებოდა

და იმერეთში რუსული ჯარების შემოსვლის შემდეგ მან ქუთაისი დატოვა.

ხელაგდა რა აღმოსავლეთ საქართველოს მავალით, სოლომონ მეორეს იმედი არ ჰქონდა მეფის ხელისუფლების დიდი ხნით შენარჩუნებისა და ის საიდუმლოდ გაიპარა ქუთაისიდან თავის ვარციხის სასახლეში, რომელიც უღრან ტყეებსა და ჭაობებს შორის მდებარეობდა (ხაჭაპურიძე, 1958:51). ელზნაურის ხელშეკრულებით სოლომონი იმერეთში 500 ჯარისკაცზე მეტს არ ელთდა, თუმცა რუსებმა ამჯერადაც მასთან შეუთანხმებელი ნაბიჯი გადადგეს. სოლომონ მეფემ უკანასკნელი ქართული სამეფოს გადასარჩინად დაიწყო მოქმედებები, მას ურთიერთობა დაუმყარებია სპარსეთის შაჰთან, ბაბა-ხანთან, ახალციხის ფაშა სელიმთან და იგი რამდენჯერმე შეხვედრია ალექსანდრე ბატონიშვილს. სოლომონ მეფემ იულონ და ფარნათზ ბატონიშვილთა რუსეთში გადასახლების შემდეგ, კავშირი დაამყარა სპარსეთში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომელიც უკანასკნელი იმედი იყო, რათა აღმოსავლეთ საქართველოში აღდგენილიყო ბაგრატიონთა ლეგიტიმური უფლება ტახტის მართვისა. მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთი და თსმალეთი ისტორიულად ქართული სამეფო-სამთავროების დაუძინებელი მტრები იყვნენ, მაგრამ განსაკუთრებული საფრთხის გამო სოლომონ მეფემ და ალექსანდრე ბატონიშვილმა საჭიროდ ჩათვალეს მათი დახმარებით, გადაერჩინათ თავიანთი მრავალტანჯული სამშობლო, რომელსაც ისეთი განსაცდელის დღეები დაუდგა, რომლის მსგავსიც წინად არასოდეს დამდგარა, თუმცა საქართველოს წარსულში არაერთი უბედურება უნახავს.

ფაქტია, რომ სოლომონ მეფეს გააჩნდა „დიპლომატიური ნიჭი, მას შეეძლო საქმის ვითარების მიხედვით სწრაფი ორიენტაცია... ჯერ კიდევ 1794 წლიდან იყო მჭიდრო კავშირში სოლომონი ერეკლე მეორის გამორჩეულ შვილთან ალექსანდრე ბატონიშვილთან, როცა იგი დაეხმარა სოლომონს ტახტის შენარჩუნებაში. ძნელია

დღეს იმის დადგენა რთობს იყო განაწილებული რთობები სოლომონსა და ალექსანდრეს შორის, მათ მიერ რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ თმში და საბოლოო დირექტივას რომელი იძლეოდა“ (Пирцхалаიშვილი.1942:36). სოლომონ მეფე და ალექსანდრე ბატონიშვილი იყვნენ იმ თავდადებულ ბაგრატიონთა შორის უკანასკნელნი, რომლებმაც ქედი არ მოუდრიკეს უძლიერეს იმპერიას, რომელმაც ერთი ხელის მოსმით ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოში გააუქმა ქართული სამეფოები. სოლომონ მეფე კი ამ შემთხვევაში გვევლინება, როგორც ინიციატორი, ქართული სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი დამცველი მონარქი, რომელსაც ჯერ კიდევ ლტოლვილს, მაგრამ მაინც დაედგომებოდა თავის პატივს სამეფოში, რომელსაც გაუქმება ელოდებოდა. სოლომონ მეფემ რამდენიმე წელი ვანციხეში დაჰყო, თავის საზღვრულ რეზიდენციაში, საიდანაც მან ვერაფერი გააწყო იმპერიის მოხელეებთან, რომლებიც ძალადობით, მოტყუებით, მოსყიდვით, დამინებით და ათასი ცბიერებით ცდილობდნენ სოლომონის შევიწროებას და შეპყრობას.

ყველაფე ამის გამო სოლომონ მეფის უნდობლობა რუსეთის ხელისუფლების მიმართ სრულიად ბუნებრივი იყო. 1807 წელს სოლომონ მეფემ დახმარება არ გაუწია რუსის ჯარს, რომლებიც გენერალ რიკჰოფის მეთაურობით ფოთის ციხის ასაღებად გაემართა. როცა რუსმა გენერალმა მეფეს დახმარებისათვის მიმართა, მისგან უარი მიიღო, რადგან მათ მეფესთან დადებული ყველა ხელშეკრულება დაარღვიეს და ამასთანავე მას ლეჩხუმი არ გადასცეს. ამან რუსების უკმაყოფილება კიდევ უფრო გაზარდა და რუსული ნაწილების ჩათდინობა იმერეთში გაიზარდა. სოლომონ მეფის ქუთაისში მიტყუება ვერც გენერალმა დიმიტრი თრბელიანმა შეძლო, რომელიც რიკჰოფის გარდაცვალების შემდეგ დაინიშნა დასავლეთ საქართველოში რუსული ჯარების უფროსად. 1808 წელს მთავარმართებელ გუდოვიჩს რუსეთის იმპერატორისაგან

საიდუმლოდ უკვე დავალებული ჰქონდა სოლომონის რუსეთში გაყვანა. ამ დავალების შესრულება ახალმა მთავარმმართველმა ალექსანდრე ტომასოვმა იკისრა, რომელიც სოლომონისგან ითხოვდა რომ: 1) სასწრაფოდ ქუთაისში დაბრუნებულიყო, 2) დიდგვაროვანი თავადიშვილები მიჰყვოდნენ გაეგზავნა თბილისში და ბეტერბურგში მადლობის დებუტატაც უნდა გაეგზავნა, რომლის შემადგენლობაში ზურაბ წერეთელი უნდა ყოფილიყო. ამ მოთხოვნაზე სოლომონ მეფემ უარი განაცხადა, რადგან „იმისთვის ხომარ უნდა გაეგზავნო დებუტატია, რომ მოგახსენო ხელმწიფეს „გმადლობთ უმდაბლესად, დიდო იმპერატორო, ვინაიდან დამამდაბლე მეფე ერთმორწმუნე და დამაკლე სამფლობელოთა ჩემთა“ (ბერძენიშვილი.1965:372). სოლომონ მეფის ყველა ნაბიჯი ლოგიკური იყო აზრებულ სიტუაციასთან მიმართებაში, მან რამდენი დათმობაც გააკეთა, კიდევ უფრო მეტ დათმობებს ითხოვდნენ და რუსული ხელისუფლება მაინც არ დაკმაყოფილდებოდა, მისი უმთავრესი მიზანი სოლომონის რუსეთში გაყვანა იყო.

და ამ უსამართლობების გამო სოლომონ მეფე თავის ცნობილ წიგნილში აყალიბებს აზრს, სადაც ის მუხლობრივად ჩამოთვლის აღნიშნულ დარღვევებზე: „ბევრ ზნის განაცხადე წიგნილი თქვენდა მთავართ, რომ უწინარეს თქვენსა მყოფთა დახსნეს ფიცი, პირობა და შეკრულება, არა დაიცვეს წმინდად და უკეთუ დაიცვეს წმინდად, მუხლი 6. „ქუთაისს სამეფოსა სასახლესა და თვით საწოლსა შინა ჩემსა დაბალთა მხელებთა უსხდათ ხასები, წართმეულნი თავადთა ჩემთა მთავრნი“. 7. „წაგვართვეს ქალაქიცა ჩვენი ქუთაისი, სადაც არღარა არს მეფობა ჩვენი ესოდენტა წელიწადთა“. 8. „დაქციეს სამეფო სასახლე ჩემი ქუთაისს ვიდრე საფუძვლამდე“. 9. „და უკეთუ დაიცვეს წმინდად პირველი თავადი იმერეთისა წულუკიძე თვით სიძე ჩემი დავით, სალდათებმა ქუთაისს, ათონის, ვალახეს, თავი გაუტყნეს და სისხლითა შეღებილი წაწმოდნენ ჩვენიან. ვითრეთ მას ზედა სამართალი, რომელსა ზედა გვიპასუხეს: თავადს

წულუკიძეს თუმცა დანაშაული არა ჰქონია, მაგრამ სალდათებს ვერ ეცნათ, თორემ არ გავლანგდნენო“. 10. „ესოდენთა წელიწადთა სადგანან მხედრობანი რუსეთისანი სამეფოსა შინა ჩემსა, ვითარცა სახლსა შინა თვისსა და იზრდებიან შეშითა, სახლითა ჩვენ მიერ მიცემულით, პზოვანტით, ფურაჟითა, ხაზითა, ცხენითა უზმითა, სასმელითა და საზრდელითა, გარნა ნაცვლად მადლობისა გვაგინებენ და შეურაცხყოფენ თავადთა და კეთილშობილთა ჩვენთა“. 11. „მოწყალეთ ხალმწიფეე ჩემო! მიჰხედე ზემო აღწერილთა და მიბრძანეთ, სად არს დაცვა წმინდათ და უცვალებლად პირობისა და შეკრულობისა უწინარე თქვენსა მყოფთაგან! განა, მე ერთმოძრწმუნებისათვის და შიშისათვის ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისა ჩემისა აღწერე კვალად იფივე პუნქტნი, ციციანოვისგან აღწერილნი...“ (ხახანაშვილი.1911:40). სოლომონ მეფე რუსებს შეახსენებს იმ უმსგავსობებს, რომლებიც მათ ჩაიდინეს მასთან მიმართებაში. მათ დაუქცევიათ მეფის სასახლე, ხოლო მისი მოახლეები კი ხასებად დაუსვამთ. სოლომონ მეფე იმპერატორობის გაზანაღილ წერილში საერთოდ უარყოფს თავის ბრალეულობას „არა გვაქვს შეცოდება არცა ერთი, გარნა ვიმყოფებით დაუთმენელსა მას მწუნაბრებასა შინა რუსეთის უსარგებლოდ...“ (ისტ. დოკ. და არქ. II. 1953:65). სოლომონ მეფის უფლებები თითქმის ყველა მიმართულებით დაიზღვა: მას წაართვეს საკუთარი სამეფო ტერიტორცია ქუთაისში, სადაც საუკუნეების განმავლობაში ბაგრატიონი მეფეები ცხოვრობდნენ და საერთოდ აიძულეს სამუდამოდ დაეტოვებინა ქუთაისი. რუსებმა მიზანმიმართულად საფუძვლამდე დაანგრვიეს სოლომონის სასახლე სადაც შემდგომ ჰოსპიტალი და კაზარმები განათავსეს, რათა სოლომონს აღარასოდეს შეძლებოდა ქუთაისში დაბრუნება. რუსის ჯარისკაცებმა გალანეს და შეურაცხყოფა მიაცენეს სოლომონის თჯახის წევრს დავით წერეთელს რაზეც არანაირი რეაგირება არ მოახდინეს. ამასთანავე რუსული სამხედრო ნაწილები თავბედურად იქცეოდნენ სოლომონის სამეფოში და განუკითხავად მოიხმარდნენ

სურსათ-სანოვაგესა და ყველაფერს რაც ჯვარის შესანახად იყო საჭირო. ამას განგებ სჩადიოდნენ რუსი ჯვარისკაცები, რათა სოლ-  
ლომონი რაიმე მახეზე წამოეგოთ და იოლად გაეყვანათ იმერეთიდან.  
მიუხედავად იმისა, რომ სოლომონმა ბოლო რამდენიმე წელი და-  
ტოვა საერთოდ ქუთაისი და ვაზრცინეში გადავიდა საცხოვრებლად,  
რუსეთისთვის მეფე მაინც სამიში იყო და ამიტომ ყველაფერი  
გაკეთდა რათა სოლომონი როგორმე ქუთაისში მიეტყუებინათ და  
შეეპყროთ. „სოლომონ მეფე 1807 წლიდან მოყოლებული ძლიერ  
ფრთხილად იქცეოდა, მისი მეფობის ისტორია აზრის მხოლოდ  
უკანონობასთან ბრძოლა, ბრძოლა სუსტისა მძლავრ მოწინააღმ-  
დეგესთან“ (ჭეიშვილი. 1919: 17) წერდა 1919 წელს ნ. ჭეიშვილი.  
სოლომონ მეფე მაქსიმალურად შეეცადა გაენახვრძლიებინა თავ-  
ისი მეფობა და ყველა საშუალება სცადა პრებლემის მოსაგვარე-  
ბლად, მაგრამ ძალთა თანაფარდობა საერთოდ შეუსაბამო იყო.  
სოლომონ მეფე დაუბრუნებდა იმპერიის უზარმაზარ მანქანას,  
რომელსაც გააჩნდა უდიდესი რესურსი და პატარა თუ დიდი  
სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება. სოლომონ  
მეფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას აზრ მოუღრეკია ქელი  
მასზე ძლიერი იმპერიის თავაშეგებულ მონელებთან და მან ღირ-  
სეულად დაიცვა თავისი წარმომავლობა და მსოფლიოში ერთ-  
ერთი უძველესი სამეფო დინასტიის ავტორიტეტი.

# სოლომონ მეფის დამოკიდებულება საეკლესიო მოღვაწეებთან და მისი სულიერი მოკვანი ოლაკიონ ყანჩაველი

წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სოლომონ მეფეს მჭიდროდ და ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა, იმ პერიოდის გამორჩეულ სასულიერო პირებთან. სოლომონ მეფისა და მისი სულიერი მოძღვრის იესე დეკანოზის ბებობაში ილარიონ ყანჩაველის ურთიერთობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. იმერეთის მეფის კაზნე აზსებულ საბჭოში კი ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი და გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე იყვნენ წარმოდგენილი. ძალზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ბატონიშვილი თავის თხზულებაში, თუ როგორ მივიდა სოლომონ მეფე დაყოფილ ბერ ზაქარია ჯაფარიძესთან 1802 წელს: „ამის სათაყვანოდ მივიდა მეფე სოლომონ, აზრილის ძე და მიუთხროს რა ბებმან მან მას: მეფეთ ვინილე ჩვენაბა ესე: მოვიდა ვემაპი დიდი, წითელი, რომელმანცა შთანგეთა შენ, და გინდა ოდენ ფეზნნი“. და განუძარტა მანვე: „ესე აზს ხილვა ესე, რომელ აღდგების მეფობა შენი და მიეცევი მწუხარებასა დიდსა და განსაცდელსა და გამართებს მისვლამ სინანულად და ვედრებად ღვთისა, რათა განერთ ამ განსაცდელისაგან და მოერიდეცა ჟამ რათდენიმე. ხოლო ხალხნი სამეფოსა შენისანი იქმნებიან დიდსა ჭირსა და ვაებასა შინა, მით რომელ აღდგების მომსერელი სენი და ფრიად სიყმილი“ (ბატონიშვილი.1941:101).

უკანასკნელ ბაგრატიონ მეფეს ბერის ეს წინასწარმეტყველება სიტყვა-სიტყვით აუხდა, ხოლო მეფის დამარცხების შემდეგ დასავლეთ საქართველოში მართლაც გაჩნდა სამინელი ჭირი, რომელიც რუს ჯარისკაცებს შემთხვევით ახალციხეში ლაშქრობის შემდეგ, ამ სენმა უამრავი ადამიანი შეიწირა. ბატონიშვილი ბატონიშვილი ზაქარია ბერზე იქვე შენიშნავს, რომ იგი კათალიკოს



მაქსიმეს ახლდა კიევში, და კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნებულა საქართველოში, კერძოდ რაჭაში, და იქ დაუწყო მოღვაწეობა. „ესე იყო ფრიად წმიდა და მლოცავ, რომელ კვირასა მიიღოს საზრდო“. აბქიმანდრიტი ამბროსი ხელაია (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი) თავის ნაშრომში „მოგზაურობა რაჭა-ლენხუმში“ გვაუწყებს, რომ ზაქარია ბერი ცნოვრობდა ჭელიშის მონასტრიდან თბი-სამი ვერსის მოშორებით, სადაც მდინარე შათრი სამი ვერსის მიწის ქვეშ დინების შემდეგ ხელახლა გამოდის შარაულის სახელით, მაღალი ქვის ნაპრაღზე გაკეთებულ გამოქვაბულში, მოღვაწეობდა ეს საოცარი მოღვაწე. „მოგვიტორობენ, რომ აქ ცნოვრობდა და მოღვაწეობდა თავისი სიწმინდით განთქმული ბერი ზაქარია ჯაფარიძე. ის დღისით და ღამითაც ყოველ ღამეს ესწრებოდა. ამისთვის თავის თითქმის მიუგვალ სადგომ ადგილიდან ჩამოდიოდა მონასტრის ეკლესიაში და წირვა-ლოცვის შემდეგ ბრუნდებოდა თავის დასაყუდებელში. ძმებთან და სხვებთანაც ბასის ერიდებოდა და მუდამ მღუმიანე იყო. ამბობენ, რომ ბერი ზაქარია აკეთებდა სხვა და სხვა თჯახში საჭირო ხის იარაღებს, დადებდა გზის პირად, ვისაც ესაჭიროებოდა წაიღებდა, სამაგიეროდ მიჰქონდა პური დაყუდებულთათვის, და მხოლოდ ამით ირჩენდა თავს.“ (ამბროსი ხელაია, 2011:171).

წმიდა გაბრიელ ბერის – ათონელის მსგავსად ბერ ზაქარიას მკაცრი ასკეტური ღვაწლი უტვირთავს, მან სოლომონ მეფეს უწინასწარმეტყველა იმ განსაცდელის შესახებ, რომელიც შემდგომში მას ელთდა, რაც მთავარია, ზაქარია იყო უძველესი ქართული, ბერძენაზნუნური სკოლის ერთ-ერთი დიდი სული წარმომადგენელი, რომელიც მკაცრი, ასკეტური ცნოვრობით ცნოვრობდა, რაც ქართული ბერ-მონაზვნებისთვის იყო დამახასიათებელი.

სოლომონ მეფესთან მოღვაწეობდა მღვდელი იოანე ქართველი-ვილი ბატონიშვილი იულონის მოძღვარი. იგი იმერეთში იმყოფებოდა გარკვეული პერიოდით, როცა 1801 წელს დევნილ ბატონიშვილს გამოჰყვა ქუთაისში. მღვდელი იოანე თავის მემუარებში

აღნიშნავდა: „ვიმყოფები აწ ქუთაისს, სამეფოს კარისა საყდრის ბჭეში“. ქუთაისში მყოფი განათლებული სასულიერო პირი წმინდად თან ახლდა მეფეს: „იმის უმაღლესობას მეფის სოლომონს წიგნების დასაწერათ დაგებარებიანე ცხრაწყაროს, ქუთაისიდან წაველ თქტომბზის 7, ერთი კვირა ვახლდი, კვალადვე ქუთაისს მოველ მეფის ძე იულონთან ამა თვის 14“ (იოანე ქართველიშვილი. 1952:89). მეფე სოლომონს იოანე მღვდელი კულაშისა და იმერეთის სნგადასახვა სოფელში ახლდა. 1802 წლის 10 მარტს იგი თბილისში ბრუნდება, შემდეგ კი იმერეთში დაბრუნების უფლება აღარ მისცეს. რუსული ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო ერეკლე II-ის მექვიდრეების იმერეთში ყოფნა და, შესაბამისად, იოანე ქართველიშვილს აუკრძალეს თავის სულიერ შვილთან იულონ ბატონიშვილთან წასვლა.

სოლომონ მეფეს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია იმ დროისათვის საქვეყნოდ ცნობილ წმიდა მღვდელმთავარ ანტონ ჭყონდიდელთან (დადიანი), მართალია, ჩვენთვის მეფისა და მღვდელმთავრის ურთიერთობის დეტალები უცნობია, მაგრამ აჩვენებს 1809 წლის 14 მარტის გენერალ-მაიორ თავად დიმიტრი თრბელიანის წერილი მთავარმართებელ გუდოვიჩისადმი, რომელიც მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის: „აქ გამორჩეულია სამი მღვდელმთავარი: გაენათელი, ქუთათელი და განსაკუთრებულად მეფესთან მცხოვრები მღვდელმთავარი, რომელიც არის დადიანთა სახლის წარმომადგენელი, იგი მთელი იმერეთის მოსახლეობას წმინდანად მიაჩნია და მის მიმართ უდიდესი პატივისცემა გააჩნიათ, მით უფრო, რაც მან მიაღწია უმაღლეს საეპისკოპოსო რანგს, მაგრამ მან დატოვა თავისი ეპარქია და დაიწყო მონაზვნური ცხოვრება, ის ყოველთვის იმყოფება მეფესთან და მისგან აღსარებებს იბარებს“ (კაკაბაძე.1956:336). მართალია, დიმიტრი თრბელიანი მღვდელმთავრის ვინაობას არ ასახელებს, მაგრამ გარკვევით აღნიშნავს, რომ იგი დადიანთა სახლის წარმომადგენელი და მღვდელმთავარია, რომელიც შემდეგ დაუტევა ეპისკოპოსობა და მონაზვნური ცხოვრება დაიწყო, აქე-

დან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს პიროვნე-  
 ბა ანტონ ჭყონდიდელი იყო, მღვდელმთავარი, რომელიც „ვერ  
 შეეგუა სამთავროს კარის ინტრიგებს და უწესრიგობას, უარი თქვა  
 მღვდელმთავრობის პატივზე, დატოვა ჭყონდიდის კათედრა და  
 უბრალო მონაზვნურ ცხოვრებას შეუდგა მის მიერვე აშენებულ  
 ნახარებათს მონასტერში“ (სირია. 2013:10). როგორც ჩანს, ანტონ  
 ჭყონდიდელმა 1809 წელს გატყვევული ღრითი დატოვა თავისი  
 მონასტერი, რომელშიც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა და  
 განსაზღვრულ მყოფ იმერეთის მეფესთან ვადავდა. ჩვენ არ  
 შეგვიძლია, ვიმსჯელოთ, რა ღრთ დაჰყო წმინდა მღვდელმთა-  
 ვარმა მეფესთან, მაგრამ ფაქტია, რომ სოლომონ მეფეს ურთ-  
 იერთობა ჰქონდა არაერთ გამორჩეულ მოღვაწესთან, რომლებიც  
 ჯერ კიდევ თანამედროვეებს თავიანთი წმიდა ცხოვრებით წმინ-  
 დანად მიაჩნდათ, ხოლო შემდგომში მრავალი მათგანი წმინდ-  
 ანთა დასში შეირატება, მათ შორის (წმინდა ანტონ ჭყონდიდელი,  
 ილარიონ ყანჩაველი, წმიდა მღვდელმთავარი დოსითეოსი და  
 წმიდა მღვდელმთავარი ექვთიმე გაენათელი). თბილესი ეს ღრთეული  
 ადამიანი – იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონი და ანტონ  
 ჭყონდიდელი 1815 წელს აღესრულნენ. საოცარია, რომ ამ  
 ეპოქამ ამდენი გამორჩეული ადამიანი შვა მარტო დასავლეთ  
 საქართველოში, ბევრი მოღვაწის ცხოვრება ჩვენთვის არ არის  
 ცნობილი, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ მათ წარუშლელი კვალი  
 დატოვეს ქართველი ერის ცხოვრებაში და სამშობლოსადმი თავ-  
 დადებისა და სიყვარულის გასათვარი მაგალითები გვიჩვენეს.

სოლომონ მეფესთან დაახლოებულ საეკლესიო მოღვაწე-  
 ბზე გვაწვდის ცნობებს ფიცის ტექსტი, რომელზეც რუსმა  
 მთხელეებმა იძულებით დააფიცეს მეფის ამაღლის წევრნი 1810  
 წლის აპრილში, რომელთა შორის მოხსენიებული არიან შემ-  
 დევი სასულიერო პირები: გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე,  
 ნიკოლათსწმინდელი სოფრონი, ჭელიშის წინამძღვარი დანიელი,  
 მეფის დეკანთნი იასე გრიგოლამეილი, მეფის მოძღვარი სვი-

მონ, მეფის კარის დიაკვანი იესე მესხი, იესე მღვდელი ყან-ჩაშვილი (კაკაბაძე.1956:488). იმ დროისათვის იესე მღვდელი ჯერ კიდევ არ იყო მეფის მოძღვრად. იასე გრიგოლაშვილი კი მეფესთან ძლიერ დაახლოებული სასულიერო პირი იყო, რომელიც მრავალ სიგელსა თუ საბუთში იხსენიება.

სოლომონ მეფის ერთგულ სასულიერო პირთა რიცხვში შედიოდა ასევე გელათის მონასტრის წინამძღვარიც. 1810 წლის თებერვალში განსაცდელში მყოფმა სოლომონ მეფემ ვარციხიდან არქიმანდრიტი დავით იოსელიანი გააგზავნა რუს პოლკოვნიკ სიმონოვიჩთან მისალაპარაკებლად. არქიმანდრიტი დავითი სოლომონ მეფის დავალებით შეწყალებას ითხოვდა რუსი მმართველებისაგან, რომ სოლომონი მზად იყო, შეესრულებინა ყველა მოთხოვნა, წასაც მას დაავალებდნენ, რაზეც რუს პოლკოვნიკს უპასუხია, რომ „სინანული უკვე დაგვიანებული იყო და სოლომონ მეფე უკვე ჩამოგდებული იყო ტახტიდან, ხოლო მისი ხელისუფლება სამუდამოდ დასრულებული იყო იმერეთში“ (Акти IV: 232). რთული იქნებოდა ქართველი სასულიერო პირისათვის ამ სიტყვების მოსმენა, სწორედ ამიტომ არქიმანდრიტი დავითი ქრისტეს სახელით სთხოვდა სიმონოვიჩს, ეჩვენებინა ზნა, რომლითაც სოლომონ მეფე თავს გადაიჩინდა, ამჟამ კი რუს პოლკოვნიკს უპასუხია, რომ სოლომონი ბედნიერი იქნება, თუკი თავის ბედს მიანდობს რუსეთის ხელისუფლებას და სუფთა სინდისით გაემგზავრება თბილისში (იქვე:232).

თავიანთი შოვინისტური მიზნების შესასრულებლად რუსი მთელეები არაფერს ერიდებოდნენ და მათთვის ქრისტიანული შეგონებები მიუღებელი იყო. ქართველი სასულიერო მოღვაწეები კი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებდნენ, რათა უკანასკნელ ბაგრატიონ ხელმწიფეს ტახტი შეენარჩუნებინა.

სოლომონ მეფეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა თავის სულიერ მოძღვარ ილარიონ ყანჩაველთან. მრავალტანჯულ, დევნილ და ყველასაგან მიტოვებულ სოლომონს არ

მოპკლებია რჩევა-დარიგებები და ქრისტიანული მზრუნველობა მოძღვრისაგან. მან ბოლომდე უერთგულა მეფეს, და გარდაცვალებაამდე მის გვერდით იყო. იესე დეკანოზი ბერობაში ილარიონ ყანჩაველი, რომელსაც ასევე რთული და მძიმე მისია აზღუნა ღმერთმა. მეფის და მოძღვრის ურთიერთობა უნიკალური შემთხვევაა და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. იესე ყანჩაველი 1776 წელს დაიბადა ლთსიათხევის შემადგენლობაში შემავალ სოფელ ალავერდში, ღვთისმოსავი აზნაურის ხანული და მარტამ ყანჩაველების თჯავში (ბუბულაშვილი.2014:55). პატარა იესე ექვსი წლიდან ტაბაკინის მონასტერში იზრდებოდა, ამის შემდეგ 12 წლის მანძილზე ბიძასთან ბერდიაკონ სტეფანესთან იზრდებოდა უდაბურ მთაზე. ასეთ სულიერ გარემოში აღიზარდა იესე, რამაც განაპირობა მისი შემდგომი ნაყოფიერი მოღვაწეობა. თბილისში წლის შემდეგ თავად წერეთელმა იესე მონასტრიდან მეფის სასახლეში წაიყვანა, სადაც მეფის ბრძანებით იგი სავანგოს მონაღვლე (ბრძანებათა მწერლად) განაწესა. აქ მან თრნახევარი წელი გაატარა, რომლის შედეგადაც სოლომონ მეფეს მისთვის ცოლის შერთვა და მღვდლობის ხარისხი შეუთავაზებია (წმ. ილარიონ ქართველი.2013:16). ამ დროისათვის, იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების გამო დიდი მღვდლები იყვნენ ჩამოვარდნილი მეფესთან დაახლოებულ პირთა და ქვეყნის დიდგვაროვნებს შორის. ჩვენთვის ზუსტად არ არის ცნობილი, იესეს როდის დაასხეს ხელი მღვდლად, თუმცა თუ ვივარაუდებთ, რომ იგი მონასტრიდან დაახლოებით 20 წლის ასაკში წამოიყვანეს, მეფესთან კი 4-5 წელი იმსახურა, მისი მღვდლად ხელდასმმა დაახლოებით 1796-1801 წლებში უნდა მომხდარიყო, ხოლო მისი მკურთხეველი მღვდელმთავარი, ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს წერეთელი უნდა ყოფილიყო, რადგან 1796-1801 წლებში სწორედ მას ეკავა ქუთათელი ეპისკოპოსის კათედრა.

ქუთაისის მუზეუმში დაცული ერთ-ერთი სიგელის საფუძველზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ 1801 წელს იესე უკვე მღვდ-

ლის ხაზისხში იყო, ამავე სიგელით ვგებულობთ: „ქ. ნებითა და წყალობითა ღვთისათა ჩვენ იესიან დავითიან, სოლომონიან პანკრატიანმან სრულიად იმერეთის მპყრობელმან მეფემან მეფეთამან მეორემან სოლომონ და თანა ერთხორცმან ჩემმან ღედუფალთ ღედუფალმან დადიანის ასულმან მარიაჲ ესე ამიერიდგან უკუნისამდე... უცვლელად და არასოდეს არ მოსამალი წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გობოქეთ შენ ჩვენს ერთგულს... მღვდელს ყანჩაგელს იესეს, მამამენს ხანუტას და ბიძამენს დათიკას და თქვენთა შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ესრეთ

\* მწყემსის 1884 წლის № 12-ე გამოცემა საინტერესო ცნობას გვაწვდის სოლომონ მეფის შესახებ, რომელიც 1791 წელს წიზვის მოსასმენად ჩასულა ზაზათის წმინდა კვირიკეს და ივლიტეს სახელობის ეკლესიაში, სადაც მოღვაწეობდნენ: „დეკანოზი იოანე ძოწინიძე, მისი ძენი მღვდელი სვიმონ და მთავარ-დიაკვანი მათე, მღვდელ-მონაზონი დანიელი და სხვა. მეფე დასწრებია მწუხრს და მას ძლიერ მოსწონებია მთავარ-დიაკვან მათეს მიერ წაკითხული წიგნები, მეორე ღღეს მეფეს წიზვის დასრულების შემდეგ შეუქია ახალგაზრდა სასულიერო პირი. ზაზეც დიაკვანს უთქვამს, რომ ვიდრე მუშები, რომლებიც ყანაში მუშაობდნენ სვერს თავამდე აიჭანდნენ „მე შემიძლია დავითნი ზეპირად თავით ბოლომდის ჩავიკითხო... სვერის აჭანას ცოტა უკლდა, რომ მათემ უკანასკნელი ფსალმუნი ჩააკარბაკა. ყველანი გაჭკვირდნენ და აქეს ზეპირი“. მეფე ძლიერ კმაყოფილი დარჩენილა და მისი დასაჩუქრება და სასახლეში წაყვანა გადაწყვეტია, შემდეგ კი დეკანოზ იოანესთვის ანატობის წიგნი უბოძებია მეფეს და „ჩემისა კარისაგან გამოსული არა საური, არა გაწვევა და მუშაობა და არცა სხვა“. ღვთისმომიშ მეფეს კარგად დაუსაჩუქრებია გამოჩენილი სასულიერო პირის თჯანი, რომლის შვილსაც მთავარ-დიაკვან მათეს ფსალმუნის წიგნი ზეპირად სცოდნია, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ავტოკეფალიის გაუქმებამდე საქართველოს ეკლესიაში განათლებული და განსწავლული სასულიერო პირები მრავლად იყვნენ. ეს შემთხვევა კი ნათელი დასტურია იმისა, რომ იმერთა უკანასკნელი მეფე ღვთისმსახურთა განსაკუთრებულად პატივისცემელი იყო.

და ესე ვითარად თქვენ წინაპართა ჩამოსულები ქართლით. თქვენ გვევედრეთ და მოგვახსენე და ჩვენც ვისმინეთ ვედრება და მოხსენება თქვენი. წყალობა ვიყავით და თქვენი წინაპარნი განვათავისუფლეთ. თუ თქვენ ჩვენი ერთგული და ბრძანების ჩვენის მორჩილი იქმნეთ აზრც თქვენ და აზრც თქვენ შვილს და მომავალს...“ (ქიმ. №1451).

სიგელი საკმაოდ დაზიანებულია, თუმცა მასში მაინც აზარბოთი მნიშვნელოვანი ცნობაა დატული. ესე ყანჩაგელის თჯახს, რომელიც წარმომობით ქართლიდან ყოფილა, სოლომონ მეფისათვის განთავისუფლება უთხოვიათ, როგორც წინათ იყვნენ განთავისუფლებულნი მისი წინაპარნი. სიგელში სოლომონ მეფე ესე დეკანოზს „ჩვენს ერთგულს უწოდებს“, თუმცა ამ დროს იგი ჯერ კიდევ არ იყო მისი სულიერი მოძღვარი. ამ ბრძანების მოწმედ დასახელებულნი არიან სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, გრიგოლ ერისთავიშვილი, სვიმეონ წერეთელი და როსტომ ნიჟარაძე. სიგელი დაწერილია სოლომონის კარის მღვდლის იასე გრიგოლაშვილის მიერ 1801 წლის 11 იანვარს. წყალობის სიგელი დამოწმებულია სამი ბეჭდით: 1. სოლომონ მეფის ბეჭედი, წარწერით „მეფე იმერთა სოლომონ“, 2. „დედოფალი მარიაში“. 3. სიგელის გვერდზე შემდეგი წარწერაა „ჩვენ ბატონმა ბატონიშვილმან მეფის დავითის ძემან კონსტანტინე ვამბაკიკებ.“ ბეჭედი „მეფის ძე კონსტანტინე.“

ესე დეკანოზს ცოლად ჰყავდა თავადის ასული მარიაში, ვისთან ერთადაც ცხოვრობდა ქუთაისში. ცნობილია, რომ მათ შვილი არ ჰყავდათ და აზრც მათი თანაცხოვრება გაგრძელებულა დიდხანს, რადგან მარიაში გარდაიცვალა. ერთი ცნობით მათი ცოლ-ქმნობა მხოლოდ ორი წელი გაგრძელდა (წმ. ილარიონ ქართველი. 2013:16).

უფრო საწმინდოთა გაბრძელებების ცნობები, რადგან ილარიონ ყანჩაგელმა გარდაცვალების წინ უამბო სოლომონ მეფეზე, სადაც საუბარია, როგორ ამხილა ესე მეფის წინააღმდეგ განწყობილი ზურაბ წერეთელი, სწორედ ამ დროს გარდაცვლია ესე

ცოლი. ზურაბ წერეთელმა „რამდენიმე ცდის შემდეგ ქართლს მთავარმართებელი დააჯერა, ზურაბის ამ ქმედებას წინ აღუდგა იესე დეკანოზი, მიხვდა ცხებულზე და მის ხალხზე ცუდის განზრახვა, წინ აღუდგა ზურაბს სრულის შურისძიებით, ამხილა იმას, რომ შენ ხარ მტერი და თრგული ქვეშევრდომი შენის მეფისა, შემთხვევისა მიხედვით და ყველა ამ დაუწყებლობაში, უთანხმოებაში და შინაურს ბრძოლაში დამნაშავე. შენ აღიდეგ სახელმწიფოში უთანხმოებას, ჩვენი ქვეყანა შენ საკუთრებად, შენად და არა საზოგადო საკუთრებად მიგაჩნიათ.“ ამგვარი მხილებით დეკანოზმა იესემ ისე შეუკრა პირი კარის კაცს, რომ სახლიდან შერცხვნილი გამოვიდა, მოიკითხა ცხენი და დამუქრებული წავიდა თავის სასახლეში დაბა საჩხერეში. ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში იესეს ცოლი გარდაიცვალა (კრებული.1872:9).

ეს ამბები 1808-1810 წლის მოვლენებს უფრო ჰგავს და, თუკი ამ დრომდე იცოცხლა იესეს მეუღლე, გამოდის, რომ მათი თანაცხოვრება 10-12 წლის მანძილზე გაგრძელებულა, რაც, სავაჩაუდოდ, სიძარტლე უნდა იყოს. ახალგაზრდა სასულიერო პირზე ეს ტრაგედია ცუდად იმოქმედებდა, თუმცა მას ჯერ კიდევ წინ მზავალი განსაცდელი და გაჭირვება ელოდა. აღსანიშნავია, რომ დეკანოზი იესე სოლომონ მეფეს ყველგან თან ახლდა და თავის სულიერ შვილს ტრაპიზონში ღიბსეული დაკრძალვა მოუწყო, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

1815 წლის მაისში, სოლომონ მეფის გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ, მამა იესე სხვებთან ერთად იმერეთში დაბრუნდა და თავის მშობლების სახლში დასახლდა. შვიდი თვის შემდეგ კი დეკანოზი იესე მარიამ დედოფალმა მოსკოვში იხმო. იესეს დედოფლისთვის სოლომონ მეფის კუთვნილი მაცხოვრის ტხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი ჩაუტანია, რომელიც დედოფალს თავის კარის ეკლესიაში დაუსვენებია. (წმ. ილარიონ ქართველი, 2013:41). მოსკოვში გამეფებულმა გარყვნილებამ უარყოფითად იმოქმედა მამა იესეზე, იმ დროისათვის მაღალი წოდების წარმომადგენლებისთვის



ეს ფაქტთა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. საბოლოოდ დეკანოზმა იესემ მაინც დატოვა სასახლე, რადგან „ქალებისგან“ თავის დაღწევის სხვა საშუალებას ვერ ნახულობდა (მამა იესე გამოიჩინებდა გარეგნული სილამაზით: მაღალი, მნარბეჭიანი, ტანადი, კარგი კაცი იყო). მან დატოვა რუსეთი, იგი ჯერ თელავში წავიდა, იქედან კონსტანტინეპოლში, ბოლოს კი 1819 წელს ათონის მთაზე გაემგზავრა (იქვე:43). აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ, თუკი დეკანოზი იესე რუსეთში 1817 წლის ბოლოს გაემგზავრა, მას რუსეთში დაახლოებით წელიწადნახევარი გაუტარებია და 1819 წლისათვის დაუტოვებია რუსეთი მაშინ, როცა თავის ტანჯულ ქვეყანაში სამშობლოს დამტკველები ახალ ბრძოლას იწყებდნენ ჩრდილოელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

1819 წლიდან დეკანოზ იესეს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ამ დროიდან მან 55 წლის მანძილზე მკაცრი ბერ-მონაზვნური ღვაწლი იტვირთა, რომლის დროსაც იგი ისევე გამოჩენილი იყო, როგორც საერთო ცხოვრებაში. ღრმად მონუცებული ღვაწლმოსილი სასულიერო მოღვაწე დეკანოზი იესე (ბერობაში ილარიონ ყანჩაველი) 1864 წლის 12 თებერვალს 88 წლის ასაკში გარდაიცვალა ათონის მთაზე. მამა ილარიონი მისი სახელოვანი, სულიერი შვილის მსგავსად თებერვლის თვეში აღესრულა. სოლომონის გარდაცვალებიდან თითქმის 50 წლის შემდეგ, 1867 წლის 25 მაისს, მაცხოვრის ამალეების წინა საღამოს, მონაზვნებმა მამა ილარიონის ნაწილები ამოასვენეს, საფლავის გათხრისას მათ საკვირველი კეთილსუნუნელება იგრძნეს, რომელიც მთელი გზა გაჰყვავთ წმიდა ანას მცირე სკიპამდე. საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა, საქართველოს უკანასკნელი მონარქის სულიერი მოძღვარი ილარიონ ყანჩაველი 2002 წლის 17 თქტომბერს წმინდანთა დასში შეტაცა.

## სოლომონ მეფის უმჯავრობა 1810 წ.

ქუთაისიდან განდევნილი სოლომონ მეფე, რომელიც ვარციხეში იმყოფებოდა 1810 წლის თებერვალში რუსეთის ჯარებმა ალყაში მოაქციეს. მეფის შესაპყრობად რუსეთის სამხედროები დიდი ხანია ემზადებოდნენ, მათ კარგად შეისწავლეს ვარციხე და მისი შემოგარენი. ამას მოწმობს 1810 წლის 12 თებერვლის წერილი, პოლკოვნიკი მოვილევსკი მთავარმართებელ გენერალ ტორძასოვს ატყობინებს, რომ: „იმერეთი ეს აზის ერთი დიდი ტყე, რომელსაც ფარავს მთებისა და ხეობების რიგი, ასე რომ მთელს იმერეთში მხოლოდ ერთი ადგილია ქუთაისიდან ვარციხემდე 18 ვერსიანი ფართობი და ისიც დაფარულია ტყით. ტყეებში გაბნეულია ერთმანეთს დაშორებული მაცხოვრებელთა სახლები, რის გამოც მაცხოვრებლებს შეუძლიათ იოლად გაიქცნენ ტყეში და შიმის გამო დაიმალონ. ჯარების მცირე გადაადგილების შემთხვევაშიც კი სოლომონი მიიმალება, რადგან მას ყველგან დარბაჯები უყენია. თუკი შემთხვევითობის წყალობით მონებნდება მისი შეპყრობა, ესეც შეუძლებელია, რადგან უბრალო ხალხს და თავადზნაურებს უყვართ ახლანდელი ყოფა და მმართველობა, და ისინი უფროხიან რუსეთის წესრიგს, რაც აზის მთავარი მიზეზი, რის გამოც დღემდე არ გამოჩნდა ჩვენს მხარდამჭერებში არავინ ვინც დაიჭერდა მეფეს“ (Акты.IV:229).

სოლომონ მეფე, რომელიც თავის სამშობლოში კანონიერი უფლებების დაცვისათვის იბრძოდა, მოვილევსკი მას, როგორც დამნაშავეს ისე უყურებს, ხოლო ქართველი ხალხის მიერ მეფისადმი ერთგულებას და თვითმყოფადობისადმი მიდრეკილებას „უწესრიგო მმართველობას“, პაატარა იმერეთის იძულებით ანექსიას „რუსულ წესრიგს“ უწოდებს. მთავარი უკანონობა რაც მათ მოიმოქმედეს, ეს იყო სოლომონ მეფის მმართველობიდან გადაყენება, რომელიც სპეციალური პროკლამაციით გააფრცველეს 1810 წლის

20 თებერვალს და ქუთაისის ეკლესიებში ხალხი იძულებით დააფიცეს იმპერატორის ერთგულებასზე. ამასთან ერთად რუსულმა სამხედრო ნაწილებმა დაიწყეს მეფის გაწმენთ ზეგლის შეკვრა, მეფეს, რომელიც ვარციხეში იყო გამაგრებული 4000 მეომრით. რუსულმა ნაწილებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჯარების შემოსვლის დროს სოლომონ მეფეს დახმარება არ მიეღო არცერთი მხრიდან. დასაწყისია, რომ მტერს განსაკუთრებული დახმარება გაუწიეს, სამეგრელოდან, გურიიდან და ლეჩხუმიდან ჩამოსულმა ნაწილებმა, რამაც მეფის ერთგულთა რიგების შეთხელება განაპირობა, რის გამოც ის იძულებული გახდა ვარციხიდან ხანის ხეობაში გადასულიყო, თუმცა მტერმა იქაც შეუკრა გზა და არ მისცა საშუალება ახალციხეში გადასულიყო, სადაც მანამდე მან ახალციხის ფაშასთან მოსალაპარაკებლად გააგზავნა თავისი ერთგული თანამებრძოლები: სოლომონ ლიონიძე და მალხაზ ანდრონიკაშვილი, მაგრამ ესეც აღარ მოხერხდა. ალყაში მოქცეული მეფე იძულებული შეიქნა რუსების მიერ შეთავაზებული პირობები მიეღო. რუსებმა მიაღწიეს მიზანს, მათ მეფის წინააღმდეგ განაწყვეს მთავრები: გურიელი და დადიანი, რომლებიც მეფეს უნდა ამოდგომოდნენ მხარში, თუმცა პირიქით, მის წინააღმდეგ ამხედრდნენ, იქვე მოვიდა გელოვანიც, რომელმაც ლეჩხუმის ჯარი სოლომონ მეფის წინააღმდეგ გამოიყენა. „დადიანი და გურიელი ერთხელ კიდევ, და ეხლა უკვე უკანასკნელად გამოვიდნენ მოლაპარაკებად და საქართველოს პოლიტიკური თვითმყოფადობის დასასამარებლად“ ბრძანებდა აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი.

მეფეზე განსაკუთრებულად უმოქმედია მამია გურიელის დალაპარაკება, რაზეც 1810 წლის 13 აპრილს გენერალი ტომასოვი რუმინანცევს ატყობინებდა, რომ ამ ფაქტმა ძალზე მძიმედ იმოქმედა მეფეზე და იბერეთის მაცხოვრებელთა დიდ ნაწილს რუსეთის ერთგულება მიუღიათ. „მეფემ კი ჩემთან განუთავი მიტროპოლიტი და თავადი სენია წულუკიძე გამომიგზავნა და მას წერილებით დაუდასტურებია ჩემს მიერ აღრე შეთავაზებული წინადადებები“

(Акты, IV:248). ამით განხარებული გენერალთა ტომბასთა რუსეთის სამხედრო მინისტრ ბარკლაი დეკოლს იმავე დღეს ატყობინებდა: „მაქვს პატივი შეგატყობინო, სამხედრო მანევრები იმდენად წარმატებული იყო, რომ იმერეთის სამეფო, რომელშიც 40000 თჯახნი ცხოვრობს, ერთი თვის განმავლობაში მცირედი ღანაკარგის შემდეგ მთელმა საზოგადოებამ, თავადებმა და სამღვდელთებამ ფიცი მიიღეს რუსეთის იმპერიის ერთგულებაზე“ (იქვე:250).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსმა სამხედროებმა: პოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა და მოვილევსკიმ რუსული ჯარების თანდასწრებით 1810 წლის 12 მარტს ბაღდათის ზემოთ სალხინოს საყდაბოში სოლომონ მეფეს შეპფიცეს ჯვარსა და სახარებაზე, რომ მას არ დააბრუნებდნენ. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს იყო რუსთა მხრიდან მთლიანად ტყუილი და თვალთმაქცობა, რომ მათთვის ქრისტიანულ სწიშინდებებზე მაღლა იმპერიალისტური ზრახვები იყო. ჯერ კიდევ იმავე წლის 24 თებერვალს სიმონოვიჩი სწორდა გენერალ ტომბასოვს, რომ მასთან მისულა გელათელი არქიმანდრიტი დავითი, იმერეთის ყოფილი მეფის სოლომონის დავალებით, „რომელიც ითხოვს: შეწყალებას, რომ ის შეასრულებს ყველა მოთხოვნას, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ... რაზეც არქიმანდრიტმა მეფის სახელით დამიწყო თხოვნა ღვთის სახელით და ქრისტიანული სარწმუნოებით, ძალითაც სოლომონი თავს გადაიხრჩენს“ (Акты, IV:232). ამის შემდეგ სიმონოვიჩთან მოსალაპარაკებლად რუსეთის მიმართ კეთილგანწყობილი მიტროპოლიტი გაენათელი და თავადი სენია წულუკიძე მისულა, ამჯერად მათი მიზანი არა სოლომონის მეფედ დაბრუნებაზე, არამედ იმაზე, რომ ის „უაზრს იტყვის მეფობაზე და ამას ფორმალურად წერილობით დააფიქსირებს, თუკი მას დატოვებდნენ თავისი სიცოცხლის ბოლომდე იმერეთში და მისცემდნენ მას გარკვეულ სახსრებს“ (იქვე:235). აღნიშნულ თხოვნაზეც უარი მიიღეს რუსი სამხედროსავან, რუსეთის ერდათერთი მიზანი სოლომონის იმერეთიდან გაშვება იყო. სოლომონ მეფის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ საეკლესიო და

საერთო მოღვაწეები ყოველწინააზრად ცდილობდნენ ტახტი შეენაწიურებინათ სოლომონისათვის.

სოლომონ მეფის სულიერი მოძღვარი გადმოგვცემს, რომ მეფე ზურაბ წერეთლის რჩევით მიენდო რუსებს, როცა მან გადაწყვიტა სურამს წასვლა და „მხედართმთავრის ნახვა, რომ ამით ხალხის უბედურება და თვით უსიამოვნება აეცილებინა“ (კრებული, 1872:10). მეფე 400 კაცისა და ამალით ქართლს გამგზავრებულა, მას თან ახლდა ერთგული თავადები: ქაინოსრო, გიორგი და სოლომონ წერეთლები, რთსტომ ნიჟარბაძე, დავით და გვიგოლ ერისთავნი, დავით აბაშიძე და ბერი ლორთქიფანიძე (ხუსკივაძე. 1902:55). გენერალმა ტორმასთემა სურამის ნაცვლად მეფეს გოში შეხვედრა სთნევა, ამასთანავე რუსულმა სამხედრო ნაწილებმა მეფეს გაქცევის ყოველგვარი საშუალება მოუსპეს. ტორმასთევის საქციელით გაკვირვებულ მეფეს უთქვამს: „ნუთუ რუსეთის ხელმწიფისაგან მოსალოდნელია იმისთანა კაცების უფროსად დანშინა, რომელიც თავისი წოდების და მინდობის დინსნი არ არიან და დაიწყო გოდება, როგორც მამამ თავის დაკარგულ შვილებზედ...“ ამის შემდეგ ილარიონ ყანჩაველი გადმოგვცემს, რომ „მეფემ თავისი ბელი მიანდო ღვთის განგებას“. საბოლოოდ მეფე სოფელ ვარიანში შეხვედა ტორმასთეს 1810 წლის 28 მარტს, მეფის მხლებლებიდან 400 კაცს რუსეთის ერთგულებაზე ფიცი მიაღებინეს და იმერეთში დააბრუნეს. მეფე 100 კაცის თანხლებით თბილისში წაიყვანეს, ქალაქში შესვლისთანავე ეს 100 კაციც ჩამოაშორეს და მარტოდ დარჩენილი მეფე თავად სუმბათაშვილის სახლში დააბინავეს (რეზიანოვი. 1989:372). არსებობს დოკუმენტი, რომელიც 1810 წლის აპრილში არის შედგენილი, რომლის მიხედვითაც სოლომონ მეფის ამალის წევრებმა, (რომლებიც თბილისში წაჰყვინენ) შემდეგ ტექსტზე დაიფიცეს: „მე ქვემო სახელდებული აღვსთქვავე და ვფიცავ ყოვლისა შემძლებელთა ღმრთისა წინაშე წმიდისა სახარებისა მისისა მას შინა, ვითარმედ მნებავეს და თანამის მათის იმპერატორის დიდებულებისა ალექსანდრე პავლოვიჩისა თვითმპყრობელსა

ყოფლისა რუსეთისა... დასამტკიცებლად ფიცსა ამის ჩემისასა, ამბობს უყოფ სიტყვასა და ჯვარსა მაცხოვრისა ჩემისასა ამინ“ (კაკაბაძე.1956:488).

სოლომონ მეფის ამალის წევრთა: სიის სათავეში მოხსენიებულია, განათელი მიტროპოლიტი ექვთიმე, ნიკოლაოსწმინდელი არჩიერი სოფრონ, თავადები სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, დავით ერისთავი, დავით აბაშიძე, სვიმონ წერეთელი, სენიაა წულუკიძე, გიორგი წერეთელი, როსტომ ნიჟარაძე, ლევან წულუკიძე, მერაბ წულუკიძე და მრავალი სხვა. სასულიერო პირები: ჭელიშის წინამძღვარი დანიელი, მეფის დეკანოზი იასე გრიგოლშვილი, მეფის მოძღვარი სვიმონ, მეფის კარის დიაკვანი იესე მესხი, იესე მღვდელი ყანჩაშვილი, სულ 120 კაცი. უნდა შეენიშნოთ, რომ ამ დროისთვის მეფის მოძღვრად სვიმონია დასახელებული, თუმცა ამალის წევრებს შორის იესე მღვდელი იხსენიება, რომელიც სავარაუდოდ მეფის გაქცევის შემდეგ ხდება სოლომონის სულიერი მოძღვარი. სოლომონ მეფისა და მთავარმართებელ ტომრმასოვის შეხვედრის შესახებ საუბრობს ილაჩიონ ყანჩაველი: „მეფემ არ მისცა ნება იმას, რომ ლაპარაკი დაეწყო, როგორც უდიდეს კაცს, მიიღო ფეხზე მღვარმა და ჭკითხა თავის მხრით ვინ არის ან ვისი ჩამომავლობის არის, ან როგორ მიიღო ამისთანა სამხედრო თანაბლებობა“? მთავარმართებელმა აუხსნა მეფეს თავისი წარმომავლობა, რომ ძველი აზნაურის შვილია, რაზეც მეფემ უბასუხა-„შენ რომ მიგეღო ეს ხარისხი პატიოსნებით, ანუ შენი ჩამომავალი ძველებური აზნაურობის შთამომავალი ყოფილიყო, მაშინ შენი მოქმედება არ იქნებოდა ეგრე უპატიოსნო და შენ არ შემაწუხებდი მაგისთანა უპატიოსნო მოქცევით“ (კრებული.1872:14). სუმბათაშვილის სახლში მისულა მეფესთან შენდობის სათხოვნელად ზურაბ წერეთლის შვილი სიმონი და მეფისაგან შენდობა უთხოვია, თავისი მამისა და ოჯახის წევრების დალატის გამო, რასაც ქვემოთ შევეხებით. სუმბათაშვილის სახლი თბილისში მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ავლაბრის ხიდის ახლოს მდებარეობდა და მალალი გალავანი ერტყა.

რვა თთახნიდან მეფეს თთხი თთახნი ეკავა და ძლიერ დაცვა დაზა-  
ჯობდა (რენგიაშვილი.1989:374). მეფესთან მუდმივად იმყოფებოდა  
ერთი თფიცერი, ხოლო მზის ჩასვლის შემდეგ ჭიშკართან უნდა  
მდგარიყო სამი პოლიციელი, რომლებიც მიუთითებდნენ ყაზაულს  
ვინ შეეშვა და ვინ არა. ზედამხედველობა იყო დაწესებული მე-  
ფისა და მისი ამაღლის ცხენებზეც, რომლებიც ქალაქის რემასთან  
ერთად მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ჰყავდათ მოთავსებული  
და პოლიცმაისტერის მიწერილობის გარეშე მათი წამოყვანა არ  
შეიძლებოდა (თრჯონიკიძე.1992:71).

ტორმასოეს საკმაოდ კარგად ჰქონდა თრგანიზებული მეფის  
დაცვა, თუმცა სოლომონ მეფემ როდესაც შეიჭყო, რომ მას  
სამშობლო სამუდამოდ უნდა დაეტოვებინა და პეტერბურგში  
უნდა გადასულიყო საცხოვრებლად, როგორც ჩანს დაიწყო ფიქრი  
სასახლიდან გაქცევაზე. მეფეს ტორმასოეის პირით შეატყობინეს,  
რომ იმპერატორის ბრძანებით პეტერბურგში მეფისა და მის მხ-  
ლებელთათვის გამზადებულია სასახლე და ყველანაირი პირობა  
საცხოვრებლად. სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ მეფეს  
ტორმასოეისთვის შეუთვლია: „იმერეთი არის ღვთის სამთხე და  
ერთი დიდი სასახლე მეფისათვის. მეფეს არაფრად გაჰკვირს ს.  
პეტერბურგის სასახლეები. ყოველდღე ზომიერი სადილ-ვანშამი,  
შემკობილი იმერეთის ქვეშევრდომების ძღვენითა... იმისთანა დიდი  
ხარჯი, რომელიც ხელმწიფეს იმისათვის დაუნიშნავს, ნამეტანია და  
ხელმწიფე ნუ დაამძიმებს მისთვის დააჩსებული ხარჯით სახელმ-  
წიფო ხაზინას, რაც შეეხება ჩემს მომზადებას ღვთის განგებისათვის  
მიმინდვია. ღენერალმა ეს იცოდეს და წინ და წინ არ შეწუხდეს  
იმის მომზადებისათვის. ამ თრთავეს მე ვსწირავ ლოცვას, ღვთი-  
სადმი, რადგან მივდივარ უცხო ქვეყანასთ“ (კრებული.1872:16).

ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ მეფეს ჯერ კიდევ არ  
ჰქონდა გადაწყვეტილი რუსეთში წასვლა და ამ საქმეს ღვთის  
განგებას მიანდობდა, სწორედ ამიტომ დაიწყო გულმოდგინე ლოც-

ვა, რომლის დასრულების შემდეგ მან ყველას დაუძახა და მათ საოცრად თბილი სიტყვებით მიმართა: „თქვენ ყველანი ჩემი ძმები ხართ, ზოგნი ჩემნი გაზრდილნი, ზოგნი თან შეზრდილნი, რომელნი ენლაგ აზიან ჩემს სამეფოში... ახლანდელი დრო სტეფლის ჩვენ უწინდელ ცხოვრებას და ჩვენ ამიერიეთგან სიკვდილამდე უნდა გავმორღეთ ჩვენს საყვარელ მამულს და ვიცხოვროთ უცხო ქვეყანაში. და ამასთანავე მსურს გკითხოთ, ვინ არის ჩემი განსაკუთრებული ამ უკანასკნელს მდგომარეობაში? ახლანდელი საქმე არ არის უბრალო და ადვილი. ვის სურს ჩემ თანა მონაწირობა?“ ნათელია, რომ მეფემ ბევრი ლოცვისა და ფიქრის შემდეგ მიმართა იმ უახლოეს ადამიანებს, რომლებსაც ბოლომდე ენდობოდა, თუმცა ყველას მისცა არჩევანის თავისუფლება და მათ საყვარელ სამშობლოს სამუდამოდ განშორების საფრთხეზე მიუთითა. ეს შთამბეჭდავი სცენა დასრულდა იმით, რომ ყველამ ერთგულებით შეჰფიცა მეფეს – „მის მწუხარებასა და სინარულში ისურვეს ყოფნა იმასთან განუშორებლათ უკანასკნელ წამამდის“. ამის დასამტკიცებლად სოლომონ მეფეს მოსთხოვეს ჯვარი, რომლის წინაშეც მას შეჰფიცეს ერთგულება. ეს იყო მეფის გულსაკიდი ჯვარი, რომელშიც უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი იყო ჩაბრძანებული. ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ სოლომონ მეფეს საუბარი ჰქონია საზღვალ ქაინოსრო წერეთელთან, ამ საუბარში იკვეთება, რომ მეფეს უკვე მყარად ჰქონდა გადაწყვეტილება მიღებული რუსეთში წასვლასთან დაკავშირებით, რადგან; „შენ თითონ იფიქრე, რა იქნება ჩემი იქ მისვლა იმ დროს, როცა იქ ხელმწიფეები თავს იყრიან? ეს იქნება დაუფიქრარი სასიზღვრო საქმე და სასიკვდილო და უკანასკნელობა ჩემთვის. უმჯობესია მოვკვდე, ვიდრე ამნაირათ გავაუპატიურო ჩემი გვარტომობა, რომელიც არის ჩამომავალი დავით წინასწარმეტყველისა...“ (იქვე:18). მეფისთვის რუსეთში წასვლა უდიდესი სიზღვრე იქნებოდა, რადგან ამით შეუზარაცყოფა მიაღებოდა თავისი გვარის ბიბლიურ წარმომავლობას, ვინაიდან



ბაგრატიონთა სამეფო დინასტია, რუსეთის სამეფო დინასტიაზე ბევრად უფრო ძველი წარმომავლობის იყო, დინასტია 1810 წლისათვის თავისი მმართველობის ათას წელს ითვლიდა, ამ პერიოდში ბაგრატიონები უწყვეტად მართავდნენ საქართველოს და ბუნებრივია ამ დინასტიის უკანასკნელი მონარქისათვის რუსეთში გადასახლება და საპატიო ტყვეობა სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ბოლოს მეფემ ქაინოსრო წერეთელს გაანდო თავისი სურვილი თსმალეთში გადასვლის შესახებ – „და თუ რაიმე შემთხვევა მექნა, შევდგე ბერთ და იქ გადავიტანო ყოველი უბედურება, ვინემ რუსთ ხელმწიფეს მივცე მიზეზი რომ თავის თავს უწოდდეს მეფეთ-მეფეს“. სოლომონ მეფის სურვილი საფესებით ცხადი იყო, თუკი გაქცევისას, რაიმე ინციდენტი მოხდებოდა, იგი მონაზნობის ღვაწლს იტვირთავდა, ამ შემთხვევაშიც მეფის სურვილი მისი ღმრთა საწმინდოებრივი ნორმებიდანაა ნაკარნახევი. მეორე დღეს ქაინოსრო წერეთელმა ერთ-ერთ ახალგაზრდა აზნაურს, რომელიც მეფის თვალწინ ყოფილა გაზრდილი დანმარება სთხოვა, რათა გამოეჩინა ერთგულება და თავი გაწირა მეფისათვის, რაზეც ახალგაზრდა აზნაურს უპასუხია – „გმადლობ, შენ უფალო, რომ ღმრთს მყავ მე მეფისათვის თავის გაწირვად. ჩემს სულს ეს დიდი ხანია მსურდა და სანატრელი ბოლო ახლა მოიპოვა“ (იქვე:22).

სამწუხაროდ, არც ბაგრატი ბატონიშვილი და არც ილარიონ ყანჩაველი ამ თავდადებული მამულიშვილის გინაობას არ ასახელებენ. მხოლოდ რუსი სამხედრო მთხელე პოტო და ალექსანდრე ხანანაშვილი გვაუწყებს მის გინაობას. 10 მაისის დამეს აზნაურმა თაბუკაშვილმა თავისი კაბა გაინადა და სოლომონ მეფეს გადასცა, თვითონ კი ფარდებ ჩამოშვებულ მეფის საწოლში დაწვა. როცა დადამდა მეფემ სახე ნაცრით მოსვარა, ხელში თუნგი დაიჭირა, თან რამდენიმე თავადი იახლა და თითქოს აბანთში გაემართა. დავით ბატონიშვილის მიხედვით კი სოლომონმა დაზავლს უპასუხა, რომ იგი მეფის დაზავლია და მტკვარზე მიდის წყლის მოსატანად.

გაღვაწის გარეშე მეფეს ელოდა მისი ერთგული ამალის წევრები ქაინთსრო წერეთლის მეთაურობით. სოლომონ მეფე ახალციხეში იმყოფებოდა უკვე 19 მაისს, ხოლო 20 ივნისს იგი უკვე იმერეთისაკენ გაემგზავრა ჯარით (საქ. ისტ. ქრონიკები.1980:324). მეფის გაქცევის დროს თბილისში არ იმყოფებოდა მთავარმართებელი ტომბასთვი, რომელმაც თბილისში დაბრუნების შემდეგ სასტიკი ზომები მიიღო. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით – „შეიპყრეს პოლიცემასტერი დავით ვოსტამაბიშვილი და ეგრეთვე უბრალო სულნი დესეტიანი პენტელასშვილი მაქსიმე იოვანეს ძე, გოგია იმერელი და გორელი სომეხი იოვანე. ესე თხზნი დესეტიანი, ერთი იყო ამათვანი იმერთა აზნაური გოგია ფაღვანდისშვილი თთფითა დახვრიტა განუხანგელად ტფილისს, ავლაბრის რიყესა ზედა, ხოლო დაფლულ არიან ავლაბანშივე მელიქის საყდრის გარდასწვრივ მინდორზე, რომელთაცა საფლავსა ზედა მათა დაედგათ ნათელი ზეგარდამო, და შეიბაცხნენ წმინდანთა შორის“ (ბაგრატ ბატონიშვილი.1941:106). ბაგრატ ბატონიშვილი მეტად საინტერესო ცნობებს გვაწოდის, მეფისათვის თავდადებული მამულიშვილები უსამართლოდ დასაჯდნენ სასტიკი მთავარმართებლის მიერ, თუმცა დემეტრე მათი დეაწლი განადიდა და მათ საფლავებს ზეგარდამო ნათელი დაადგათ, ხოლო თანამედროვეებს ისინი წმინდანთა დასში შეურაცხავთ. მათ დასჯას ადასტურებს ასევე დავით ბატონიშვილიც – „სცნა რა ლტოლვანი მეფისა ტომამაზთვმან, განძვინდა ფრიად, ვინათვან კაცო იყო მძვინვარე, ამპარტავანი და უწყალო. ამან დახვრეტინა თთფითა თთხნი კერკეტონნი, კაცნი უბრალონი, ამაღ რომელ ქუჩათა შინა, რომელიცა დაედგა მათ ბრალად, რომელ თანამდებობაი იყო მათი ჭკრეტაცა მეფისა. კვალად მთაშით რათდენნიმე უბრალონი თესნი...თათარნი კაცნი უბრალონი, რომელთა შესწამეს არამართლად ქურდობაი. კვალად შეიპყრა ჯავახისშვილები და თარხნისშვილები და წარგზავნა ჰყრობილად რთისასა შინა (დავით ბატონიშვილი.1941:34). პო-

ტოს მიხედვით რუსეთში გადასახლეს მეფის მოახლე თაბუკაშვილი და დალაქი სალარიძე (Потто. II. 1902: 108). იგივეს ადასტურებს ალექსანდრე ხახანაშვილიც, რომლის მიხედვითაც მეფის მსახურ თაბუკაშვილსა და დალაქ სალარიძეს ჩამოხრჩობა ტომასოვმა ციმბირში გაგზავნა შეუცვალა (ხახანაშვილი. 1911: 62). ტომასოვთან დასაჯელად წარდგენილ სალარიძეს უღიარებია თავისი ბრალი და მთავარმართებლისთვის უთქვამს: „მე თქვენი ყმობა ჯერ აზ მიმიღია, ხოლო როდესაც მივიღებ თქვენი ერთგულებაც ისეთივე მექნება, როგორც დღეს ჩემს ბუნებითს მეფისა მატყვს“ (ჟორდანიას. 1899: 7).

საქართველოს საისტორიო არქივში შემთხვევითად, სოლომონ მეფის დის მარიაშის თხოვნის წერილი, რომელშიც იგი მთავარმართებელს სთხოვს ბეჟან მურასოვის შეწყალებას, „ოდეს განსვენებული ძმა ჩემი მეფე იმერეთისა სოლომონ ნებითა თვისითა გაიქცა ტფილისიდან, ზოგნი ვიეთნიმე გვამნი ქართველთანი დასჯილ იქმნენ, მაშინ მთავარმართებელ ტომასოვის მიერ, რომელნიც იყვნენ უბრალონი და აწ აზს ციმბირსა მხარესა დაკარგულ ტამბოვსა ქალაქსა შინა მოქალაქე ბეჟან მურასოვი... რათა განაცხადოთ იქ თქვენ სიმართლე და უბრალოება მისი“ (ს.ც.ს.ა. ფ. 1448. 9595). ჩვენთვის უცნობია გენერალმა ტომასოვმა რამდენი კაცი დახვრიტა მეფის გაქცევის გამო და რამდენი გადასახლდა რუსეთში, თუმცა ცნობილია, რომ აზნაური რომელიც მეფის მაგივრად ჩაწვა საწოლში, გადასახლებაში ქალაქ პერმში დაიდუბა. როგორც თქვამდა იოთამ ზედგენიძემ, ახალგაზრდა აზნაურმა თაბუკაშვილმაც თავი გასწირა საკუთარი მეფისა და სამშობლოსათვის.

ილარიონ ყანჩაველის ცნობით, სოლომონ მეფის გაქცევის ხელშეწყობისათვის თბილისის ბოქაულს თავად ბაზათაშვილს გადაუცია სოლომონ მეფისათვის ცხენი, რისთვისაც მისთვის თავადის წოდება ჩამოუხრთმევიათ და ჯარისკაცად გამოწესებიათ. ფალა-

ვანდიშვილს, რომელსაც ბრალდებოდა იმერთა ჯგუფიდან ცხენის გადმოყვანა მტკვრის გამოღმა, გამოძიებამ ვერ დაუმტკიცა დანაშაული და „ღმერთს მიანდო მისი საქმე“, ხოლო გენერალმა ტომბასოვმა სასამართლოს რეზოლუციას თავისი ხელით მოაწერა: „დაზვრიტეთ“ (ხახანაშვილი.1911:62). ასე სასტიკად მოეპყრო ხელმთვარეული გენერალი სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს, რომელთა დამსახურებითაც სოლომონ მეფემ თავის თანხმლებ პირობითან ერთად მშვიდობიანად მიაღწია ახალციხემდე. სოლომონ მეფემ თბილისიდან გაქცევისას თავის ოთახში დასტოვა ალექსანდრე ნეველის ორდენი, რომელიც მას 1804 წელს გადასცა რუსეთის მთავრობამ. „მეფის საქციელი ამტკიცებდა, მის მიერ ორეკც შეურაცხყოფას მონარქის წყალობისას. მეფეს ორდენები არ ხიბლავდა. მას ღრმად ჰქონდა გამოჯდარი გულში თავის სამშობლოსადმი სიყვარული, მზად იყო თავიც კი შეეწირა მის საკეთილდღეოდ“ (ჭეიშვილი. 1919:58). ტომბასოვის მიერ გატარებული ღონისძიებებმა შედეგი ვერ გამოიღო, სამაგიეროდ მათ შორი იძიეს მეფის ერთგული თავადების ოჯახის წევრებზე.

მიტროპოლიტობიდან გადაყენებულმა მღვდელმთავარმა აბსენმა სოლომონ მეფის გაქცევაში ხელშეწყობა დააბრალა კათალიკოს-პატრიარქ ანტონ მეორეს, აბსენმა მოისყიდა კათალიკოსის მნათე, ბერი სერაპიონი, რათა ამ უკანასკნელს საქართველოს მმართველთ. ანგრედოვისათვის მოეხსენებინა, რომ თითქოს ანტონ მეორემ ხელი შეუწყო თბილისში პატრიმრობაში მყოფ იმერეთის მეფის სოლომონ მეორის გაპარვას. ანგრედოვმა ყალბი ბრალდება მთავარმმართველ ტომბასოვს, მან კი იმპერატორ ალექსანდრე I-ს აცნობა. საბოლოოდ სოლომონ მეორის გაპარვაში ანტონ მეორის მონაწილეობა არ დადასტურდა (ბუბულაშვილი.2011:61). რუსული ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო, როგორც ქართველ ბაგრატიონთა ტახტზე ყოფნა, ასევე ავტოკეფალური ეკლესიის სათავეში ბაგრატიონი კათალიკოსის აბსენტობა, ამიტომ მათ ყველაფერი

გაკეთეს რათა საქართველოში უმაღლესი საერთო და საეკლესიო ხელისუფლება გაენადგურებინათ და საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად გადაექციათ. რაც საბოლოოდ განანთრციელეს, სოლომონ მეფის საქართველოდან განდევნის შემდეგ, სამშობლოდან იძულებით გაიყვანეს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე, შემდეგ კი ივერიის უძველესი ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმეს. ანალოგებში გადასულმა იმერეთის მეფემ, უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, სოლომონმა დაიწყო მზადება იმერეთში გადასვლისათვის. მისი მიზანი იყო თავისი ლეგიტიმური უფლებები აღედგინა და რაღაც აზრ უნდა დასჯდომოდა იმერეთის სამეფო ტახტი დაებრუნებინა.

## სოლომონ მეფე და სახლთუხუცესი ზურაბ წიკითელი

XIX საუკუნის დასაწყისში ბევრი ისეთი მოვლენა მოხდა, რომელიც დღესაც კი მოითხოვს მართებულ განსჯასა და ფიქრს. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ სოლომონ მეფისა და მისი ერთ-ერთი უახლოესი პირთაგანის სახლთუხუცესი ზურაბ წიკითელის ურთიერთობა. ზურაბ ქაიხოსროს ძე წიკითელი (1747-1823) თავისი დროის ერთ-ერთი გავლენიანი პირთაგანია იყო მეფის შემდეგ იმერეთსა და დასავლეთ საქართველოში, ადამიანი რომელსაც განსაკუთრებულად ენდობოდა სოლომონ მეფე, მაგრამ სწორედ მან უღალატა. ზურაბ წიკითელი დაიწყო თამაში, საიდანაც მეტ გამოსავალს მიიღებდა იქეთ იხრებოდა, მან ვერ განსაზღვრა სწორად თავისი ქმედებები, რომელმაც პირადად მას და ქვეყანასაც უზარყოთი შედეგები მოუტანა. ამანე მეტყველებს თანამედროვეთა თუ საკუთარი შვილების შეფასებები ზურაბ წიკითელის პირთაგანის მიმართ. სამწუხაროდ, ზურაბ წიკითელი არ იყო ერთადერთი ვინაც, სამშობლოს სამსახურს პირადი კეთილდღეობა ანაცვალა, ზურაბ წიკითელი მცდარი გზით სიარულს სოლომონ მეფის იმერეთიდან განდევნის შემდეგაც აგრძელებდა და მისი დამსახურებით რუსეთის იმპერიას გაცილებით გაუითლდა იმერეთის დამთრჩილება. ზურაბ წიკითელი სოლომონ მეორეს ხელი შეუწყო გამეფებაში, რისთვისაც თავით ერეკლე მეორემაც კი დაასაჩუქრა და ქართლში სოფელი აზადეთი უბოძა. ამის გარდა ზურაბს ბევრი ყმა-გლეხი ჰყავდა და მამული ჰქონდა იმერეთში, იგი ასევე ყმა-გლეხებსა და მამულებს იტაცებდა ეკლესიისა და აზნაურებისაგან. გაძლიერებულმა თავადმა იმერეთის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა 1792 წლიდან დაიწყო, რაც სოლომონ მეორემ ოდიშის მთავარს შეუტია იმერეთის სამეფოსთვის ლეჩხუმის შესაერთებლად. მან ლეჩხუმიდან მეფის წინააღმდეგ

შეთქმულებებში ბაკაკა ჩიქოვანიც ჩააბა. სოლომონმა საიდუმლოდ გამოარკვია წერეთლის დანაშაულებრივი მონაწილეობა ლენხუმის საქმეში. 1800-იანი წლებიდან კი, ზოცა სოლომონი რუსეთთან შეერთების წინააღმდეგი გამოვიდა, მეფისადმი მტრობამ თავადი წერეთელი შეერთების მომხრე გახადა და ამიტომაც იყო, რომ მან შხარი დაუჭირა 1804 წლის ისტორიულ აქტს (რისთვისაც მან რუსეთის იმპერატორისაგან ძვირფასი საჩუქარი მიიღო) (ბურჯანაძე. 1959:183). ამ ერთგულების სანაცვლოდ ზურაბ წერეთელს რუსეთის იმპერატორისაგან ბრილიანტებით შემკული თქრის სათუთუნე მიუღია, შემდეგ კი პოლკოვნიკის ჩინი, მომავალში კი იმერეთის მმართველობაში პირველ ადგილს, გენერალ-მაიორის ხარისხს და სხვა უხვ წყალობას პირდებოდნენ (სოსელია.1981:123).

ზურაბ წერეთელს ჰყვლია მოძღვარი, რომელსაც 1805 წელს წყალობის წიგნი გადასცა: „წყალობის წიგნი დავიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ ბატონმა სახლოთუხუცესმა წერეთელმან, ძმამან ჩემმან საზღაღ-მან წერეთელმან ქაისოსრომი, ძმამან ჩემმან მოუზავმა წერეთელმა ბერმა და ძემან ჩემთა სვიმონმა, გრიგოლმა და ძმისწულმა როს-ტომისამან და სხვამან, შენ ჩვენს ერთგულსა და ერთგულობით ნამსახურს ჩვენს მოძღვარს მღვდელს წერეთელს დავითს“(ქიმ.140). მიუხედავად მისი უარყოფითი საქმიანობისა, ზურაბ წერეთელი სულზეც ფიქრობდა.

ზურაბ წერეთელი ჯერ კიდევ 1802 წლიდან თანამშრომლობდა რუსებთან, რასაც მოწმობს მისი საიდუმლო შეხვედრები რუსეთის წარმომადგენელ ა. სოკოლოვთან, რაზეც თვითონ რუსი მხნელე საუბრობს: „პ1 ივლისს ჩემთან მოვიდა თავადი ზურაბ წერეთელი, სახლოთუხუცესი და დიდხანს ვილაპარაკეთ. მან მიაშბო, რომ მეფეს არ სურს, რომ ხელმწიფე იმპერატორის აზრი და სურვილი აღასრულოს. ეს, რასაკვირველია მას უგზურებით მოღის სთქვა წერეთელმა და არ ესმის, თუ რა ბოლო მოეღის და რა რისხვა იმპერატორისაგან ამ თხონის აღუსრულებლობით. მან მითხრა,

რომ მე გადმომცემს რამდენიმე მეფის საიდუმლო მოქმედებას და ამბებს თუ დავბირდები, რომ ყველა მისი ნაამბობი დამთება ჩემგან საიდუმლოდ და დავბირდი ერთგულებისთვის განსაკუთრებულ ყურადღებას“ (შრომა.1883:2). ზურაბ წერეთელი სამშობლოს გადარჩენისათვის მეფის ქმედებას უგუნურებას უწოდებს, თავად კი რუს მთხელეს თავის მამულში პატიჟებს, სადაც სოკოლოვი გავვირგებული დაბრუნდა, რადგან მას უნახავს ზურაბის ორი სასახლე-ერთი ევროპულად და მეორე აზიურად მოწყობილი, იგი 12 აგვისტოს დაბრუნდა სახლთუხუცესთან, რომელსაც მისთვის ბეჭდი საჭირო და სასიამოვნო ცნობა გადაუცია რუსი მთხელისათვის.

დაახლოებით 1802 წელს დიაკონი იონა ხელაშვილი იმერეთში ყოფნისას შეხვედრია სოლომონ მეფეს, რომელსაც დაუსაჩუქრებია ბერი, ხოლო შემდეგ იგი შეხვედრია სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელს. კალმასობის აგტორი გვაუწყებს ზურაბ წერეთლის აზრს სამშობლოსა და ერთგულებაზე. ზურაბ წერეთლის აზრით თუ ვინმე იქნება გაძევებული საკუთარი მეფისაგან მამულის ორგულობისათვის და ცუდ-კაცობისათვის და ვინმე ამ პიროვნებას შეიფარებს სანდო კარის-კაცად გაუმართლებელია, იგი საუბრობს, რომ „ესევეთართა მჩრეველთაგან ჩვენთვის საკიცხვეარი საქმე და ესეგვარმან უწესობამან და ფიცის მტყულობამან შობა განხეთქილება ურთიერთ შორის. და მე რათადენ ვეცადე განმართვად ამა უწესობათა საქმეებთა, ესოდენ აღიძრნენ სასიკვდილოდ ჩემდა“ (იონა ბატონიშვილი. 1948: 71). ცოტა გასაკვირია, რომ ზურაბ წერეთელი საუბრობს სამშობლოს ერთგულებაზე, მაგრამ ამ დიალოგიდან ჩანს, რომ ამ დროისათვის უკვე არსებობდა განხეთქილება იმერეთის სამეფოში, რომელშიც ზურაბ წერეთელიც იყო გარეული.

1809 წლის 31 მარტით დათარიღებული წერილით იზკვევა, რომ სახლთუხუცესი სოლომონ მეფის წარმომადგენელი იყო რუსებთან მოლაპარაკებისას და მას სოლომონ მეფე ჯერ კიდევ ენდობოდა:



„წარმოვაგვლინე თავადი ჩვენი სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, კაცო ჩემ მიერ საწრმუნთ, ერთგული ქრისტიანობისა, ხელმწიფისა და მეფობისა ჩემისაცა და მასთანა მეცნიერი საქმეთა ჩემთა, რომელცა განაცხადებს ყოველთა სიმართლეთა და მას თანა უმიზნოთა მწუხარებათა ჩემთა წინაშე თქვენსა...“ (კაკაბაძე.1956:387). სოლომონი წერილში საუბრობს საკუთარ უღანამაულობაზე რუსებთან მიმართებაში და უსჯულო კაცებს უწოდებს მის ცილისმწამებლებს, რომ აზრის საწრმუნთ მისთვის ბრალის დადება, „ვინაიდან ვაზ მეფე ქრისტიანი და მატქეს თავი ჩემი განკუთვნილი ქრისტიანედ“. სოლომონის ეს გულწრფელი აღიარება რუსი მონღოლებისათვის ცარიელი სიტყვები იყო, რადგან თვით ზურაბ წერეთელი აზრდობოდა მეფეს და იგი თრძაგ თამამს ეწეოდა. ამას მოწმობს იმავე წლის 30 ივლისს დათარიღებული წერილი, რომელშიც ზურაბ წერეთელი გენერალ ტორმასოვს ერთულებას ეფიცება – „სინაზულით გიტყდებით, რომ საკუთარი გადაწყვეტილებით ერთგული ვრჩები სახელთვანი ხელმწიფისა, რომლისთვისაც მზად ვარ ჩემი და ჩემი შვილების სხეულის თვითეული ნაწილის სისხლი დავღვატო... რთაცა თქვენი ძალები ჩემს ხელში იქნება, მაშინ ვიმტქმედებ ყველა მიმართულებით, მათ შორის ახალციხის მიმართულებითაც, როგორც საქმე მოითხვეს, ასევე გამომიგზავნეთ ერთი პოლკი ჯარი, რომელიც იმტქმედებს ისე, როგორც მე ვუბრძანებ, ამასთანავე, გამომიგზავნეთ ფული საქმის დადებითად გადასაწყვეტად, რაში მთიყვანეთ სურამში და მე თვითონ გადავიყვან იმერეთში“ (Акти. IV:206). ვფიქრობთ კომენტარი, ზედმეტია, რუსული ტქროთავის საქმეს ასრულებდა, გადაგვარებული სახლთუხუცესი სისხლის დასაღვრელადაც კი მზად იყო რუსი ხელმწიფისათვის და ამისათვის რუსის ჯარსა და ფულს ითხოვდა, რათა საკუთარი მეფე ტახტიდან ჩამოეგდო.

რუსი მონღოლები ბოლომდე მაინც აზრდობოდნენ წერეთელს და საიდუმლო მიწერ-მოწერაში მას „თრპირ პიროვნებას“,

„ძველ მზაკვანს“, „ყველაზე სწიშ ადამიანს“ ეძახდნენ. გარეგნულად კი იმერეთის ამ „პირველ კაცს“ დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ და მისგან ბევრ სასარგებლო ცნობებს ღებულობდნენ (სოსელია.1981:124). ზურაბის პიროვნებაზე ზუსტად შეუფასებიათ იმ ადამიანებს, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ, რათა იმერეთის თავად-აზნაურობა გადაეხრებინათ და კანონიერი მეფე კი სამეფოდან გაეძევებინათ.

როგორც კი იმერეთში რუსული სამხედრო ნაწილები შემოვიდნენ, ზურაბ წერეთელი აშკარა მოქმედებაზე გადავიდა. იგი გვერდით ამოუდგა რუსის სარდლებს და თავისი ყმები იმპერატორის ერთგულებაზე დააფიცა. 1810 წლის 22 თებერვალს იგი გენერალ ტომასოვს ატყობინებდა – „თუმცა აზა ისმინეთ ამა ჩემსა მონსენებულსა, ვხედამ ღრმად გაიარა და ვერ დაიჭერთ მეფეს და უფრო განხელდების. მე ვამბობ თქვენის ერთგულებისთვის, თორემ რაისათვის მენდომების მე ბედნიერება მისი, რადგან ჩამომართო ყოველი ძალი და ძლიერება, როდესაც მოვიდა საქართველთა შინა მხედრობა რუსეთისა და ნებათ კიდევ სიკვდილი ჩემი, კვლად მომეცით ნება მე მალიად, რომ მეფე სოლომონს თავის სიტყვებშიდ არ მიეღოს მეფობა თქვენის აღთქმით და მოვაწერინო ხელი შემდეგ მისა“ (კაკაბაძე.1956:455-456). მოლალატე თავადს ამ ღრთისათვის დაკარგული ჰქონდა სახლოთუხუცესობა, მეფეზე განაწყენებული წერეთელი ყველაფერს აკეთებს, რათა სოლომონმა თავისი კანონიერი ტახტი დაკარგოს.

სოლომონ მეფემ ზურაბ წერეთელს ჯერ 300 კომლი კაცი ჩამოართვა და კონსტანტინე ბატონიშვილს უბოძა, შემდეგ მეფემ იგი სახლოთუხუცესობიდან გადააყენა, რაც მას წლიურად 4000 მანეთამდე შემოსავალს აძლევდა. მან დაკარგა აგრეთვე სოფელი წინქვალაი, მოღინახეს ციხე და რაჭის მოურაობა, რომლებიც მეფემ ქაინთსრო წერეთელს გადასცა (ბურჯანაძე.1959:187). თავისი დალატის გამო ზურაბ წერეთელს საკმაოდ დიდი შემოსავალი და მამულები დაუკარგავს, რაც სავსებით ლოგიკური იყო. ზურაბ

წერეთელი თავად აღიარებდა მეფის დალატს და ამასთანავე, დიდი მონღოლებით ცდილობდა, სოლომონის ერთგული თავადებიც გადაეხდებინა – „უწინარეს ამის გამოვართვი კნიაზ დიმიტრის სამას თრმოცი ოქრო და სამის წილის ჩემის საკუთარის ზედა დართვისა მოკლესა დროსა შინა წარვაგე მოსყიდვისათვის რომელთაჲ მეფისა ვეწირთასა, რომელნიცა არიან დღეს ერთგულ ვითარცა მე“. „ჩამომართვეს ყოველი გამოსავალი ჩემი და სახლთუნუცესობა, რომელიც მარტო სახლთუნუცესობის კერძო თინას თუმნამდის შემომივიდოდის და საზოგადო შემოსავალნი სხვანი და ყოველთაგან კიდევან მყვეს“ (კაკაბაძე.1956:419).

მამის ამგვარ დალატს ძლიერ განიცდიდა ზურაბ წერეთლის ვაჟი სვიმონ წერეთელი, 1810 წლის გაზაფხულზე, იგი სოლომონ მეფეს ნახულბის თბილისში, სადაც იგი „დავარდა მუნღმოღრეკილი იმის წინ და ქედმონხილმა სამჯერ დაუკრა მეფეს ფეხბთქუემე და იხრბობდა ცრემლებით, სთქვა – მეფეო აგვადე ეგ წყევა ჩემგან და ჩემის ძმის დავით მიტროპოლიტისაგან, რადგან ჩვენ არა ვართ ამ საქმეში თანამგძნობელნი ჩვენის მამის და ძმის გზიგთლისა. მამინ მეფემ უთხრა იმას-ნუ გეშინიან ამ წყევის, რადგან ღვთის სამართალი სტანჯავს იმას, ვინც დამნაშავეა, და ვინც არ, იმას არ შეენება“ (კრებული.1872:15). სოლომონ მეფის წინაშე სვიმონ წერეთელს უღიარებია მამისა და ძმის დანაშაული და მისგან შენდობა და წყველის ახსნა უთხოვია. სვიმონი მეფის ერთგული და ღირსეული პიროვნება რომ იყო, ჩანს იმ წერილიდან, რომელიც მან მამას, ზურაბ წერეთელს მისწერა ახალციხიდან: „აბა რაღათ მინდა სიცოცხლე, ყოველი კაცი, ქართველი თუ კახელი, თათარი თუ სომეხი, ბერი, თუ ერი, ყმაწვილი თუ მონუცებული ვინც ვნახე ყველა მეუბნება, რა ქნა ეს მამაშენმათ, მეფე რომ გასცათ და ეს ხმა რა საძაგელია, ხომ იცით და მომისხენებია ნეჭამც თუცა წლით აღრე ამოწყვეტილიყავით სუყველა ქალებიან-კაცებიანათ და ეს ხმა ჩვენში არ შემოსულიყო. სჯობდა ჭემმაროტად. რას შეჩერებინართ, რას უყურებთ, შენც აქ ჩამოდი... ეცადე რამე ღვთის გუ-

ლისათვის თორემ ან ცოდვა ამოგვაგდებს ან სირცხვილი. თქვენი შვილი. იქნება გეწყინათ ეს წიგნი, მაგრამ თუნდ მომკალი უნდა მოგახსნოთ“ (ხელ.ეროვ. ცენტრი.ფ.ცდ.№3159). მამის საქციელით შერცხვენილი სვიმონი, მამას აყვედრის ჩადენილ საქციელს და საკუთარი ოჯახის გადაშენებანჯეც კი საუბრობს, რადგან ასეთი სირცხვილი არ ენახათ. უნდა შევნიშნოთ, რომ მეფის დავლაჯში ადანამაულებდა ზურაბ წერეთელს იესე დეკანოზი (ილარიონ ყახჩაველი) – იგი „წინა აღუდგა ზურაბს სრულის შურისძიებით, ამხილა იმას, რომ შენ ხარ მტერი და თრგული ქვეშევრდომი შენის მეფისა“ (კრებული.1872:8). ქვეყნის და მეფის ერთგული მამულიშვილი საკუთარ მამას იმ უდიდეს სირცხვილს ახსენებს, რომელიც მან სოლომონ მეფის გაცემის დროს ჩაიდინა. ახალციხეში გადასულ სიმონ წერეთელს ძმასთან გრიგოლ წერეთელთანაც ჰქონია მიწერ-მოწერა. გრიგოლისგან გაგზავნილ კაცს სვიმონისთვის მეტად მძიმე ამბავი უცნობებია, რაზეც მან ძმას უმკაცრესი წერილი მისწერა: „მითხრა, რომ დედოფალი იმან უნდა ჩაგვართს რუსებსო. თუ დასტურია ეს ვითხრეს და მაშინვე თავი არ მოიკალ, ფუ შენს კაცობას! დედოფალი! ჯერეთ ბატონი, მეტე შენი მშობლიურათ-მამლელი, გამზრდელი, შენი მაცოცხლებელი და მაცოლმვილიანებელი – მიათრემ და რუსებს აძლემ! რისთვის, რა გაჭირვებისთვის, ასე ვთქვათ? მოგკლან მოკვდი მაგისთვის, არაფერი იქნება. ვალი გაქ, ჭემმაროტად. ხუთჯერ, რომ მოკვდე, მაინც ვერ გადაიხდი, ნურც შენს კაცობას უზამ და ნურც მე მომკლამ ჯავრით, ესეც მითხრა, რომ შენი ცოლიც მიყავსოთ. მაგრამ არა მგონია დაანებო. ამან კი დამაფიქრა, რომ თუ დედოფალი დაანებე ვისმე, ჩემ ცოლს რაღას დაეძებ, ჩემი კი მიეცი არ დავეძებ, თონ დედოფალს ნურავის დაანებებ“ (ისტ. დოკ. და არქ. II. 1953:101). სვიმონ წერეთელი მძიმედ განიცდის ძმის საქციელს, რომელმაც უღალატა საკუთარ მეფეს და შემდეგ გადაწყვეტილი ჰქონდა მარბამ დედოფლისათვის ეღალატა. ზურაბ წერეთელს ჰყავდა ასევე მესამე შვილი მიტრობოლიტი დავით წერეთელი, რომელიც 1804 წელს აკურთხეს

ხინოს ებისკოპოსად, თუმიცა მამა ამ კურთხევის წინააღმდეგი ყოფილა. დავით მიტროპოლიტის ქობულეთის მხარეში ხინოში მოღვაწეობას მისითნებული დანიშნულება ჰქონდა, თუმიცა მან თავისი მოღვაწეობის ძირითადი ნაწილი ჯგერუჯის მონასტერში გაატარა (Кавказский Календар.1854:505). უცნობია თანაუგრძობდა თუ არა მღვდელმთავარი მამას, მაგრამ საგულისხმოა ერთი წერილი, რომელიც 1811 წლის 13 აგვისტოს გენერალ-მაიორი სიმონთეიჩი მთავარმართებელ ტომასოვს ატყობინებს, რომ იმერეთში ჯილდოების დარიგების დროს შეცდომით დაჯილდოვდა მიტროპოლიტი სოფრონ წულუკიძე ხინოწმინდელ მიტროპოლიტ დავითის ნაცვლად (კაკაბაძე.1956:494). უცნობია, რატომ დააჯილდოვეს დავით მიტროპოლიტი, იმიტომ, რომ ის ზურაბ წერეთლის შვილი იყო თუ სხვა დამსახურების გამო გაუგებარია.

სახეზე გვაქვს ორი ურთიერთსაპირისპირო ადამიანი, ერთი მზად არის პატივისა და პირობა კეთილდღეობის გამო გაჰყიდოს სამშობლო, უარყოს საკუთარი მეფე, დედოფალი, რომელსაც გრიგოლის წინაშე განსაკუთრებული დამსახურება ჰქონია და მასზე ანაგითარმა შეგონებებმა არ იმოქმედა და უარყო ყველაფერი რისი უარყოფაც შეიძლებოდა.

მეფისა და ქვეყნის ორგული თავადის მდგომარეობა რუსული მმართველობის პერიოდში ძლიერ შეიცვალა. მისი მოლოდინი არ გამართლდა. რუსეთის საზღვრების ტოტალურმა დონისძიებებმა სული შეუხუთეს თავამეებულ თავადს. ზურაბ წერეთელი ანალი რეჟიმის უკმაყოფილო გახდა. მისი პირობა მდგომარეობა ბევრად უკეთესი იყო მეფობის დროს, როცა იგი დამოუკიდებლად ცხოვრობდა, მრავალ ყმა-მამულს ფლობდა და უმაღლესი თანამდებობა ეჭირა სახელმწიფოში. მან მთავარსარდალ რეჟიმზეგთან იჩივლა და ნაღვლიანად წერდა: „რუსეთის მთავრობას მისთვის წაურთმევია ქუთაისელი ვაჭრები, სოფელი წირქვალის, სოფელი ჩხერი და მისი შემოსავალი, ასევე სტამბა და სტამბის ადგილი ქუთაისის და მრავალი სხვა“ (ბურჯანაძე.1959:189). ასეთი გზა გაუვლია სოლო-

მონ მეფის უახლოეს ადამიანს, თავად ზურაბ წერეთელს. სოლომონ მეფის ღრთს მრავალი მამულისა და შემოსავლის პატრონმა, ჯერ კიდევ სოლომონის სიცოცხლეში დაკარგა მრავალი წყალთბა და თანამდებობა, რუსულმა ხელისუფლებამ იგი გამოიყენა, შემდეგ კი მისი უფლებები შეზღუდა. ზურაბმა თითქოს „მეფეზე გაიმარჯვა, მაგრამ მეფესთან ერთად თვითონაც დამარცხდა“, ასეთია, სამშობლოს მოღალატის ხვედრი, იგი შეიძულეს თავისმა თანამედროვეებმა და შემდგომმა თაობებმა, მისი ცხოვრება კიდევ ერთი მაგალითია ყველასათვის, ვინც სამშობლოს წინააღმდეგ წავა. დამცირებული და უკვე ასაკში შესული თავადი წერეთელი 1823 წლის 28 იანვარს გარდაიცვალა. საინტერესოა განიკვირდეს თუ არა ყოფილი სახლთუხუცესი სინდისის ქენჯინას სიცოცხლის ბოლოს, რომელსაც ამდენი სინტხვილის შემდეგ თავის საგვარეულო ჯღრუჭის მონასტრის საძეალოში ელირსა დაკრძალვა, მამინ როცა მისგან უარყოფილი მრავალჯანჯული ჯერ კიდევ ახალგაზრდა სოლომონ მეფე ტრაპიზონის მიწაზე განისვენებდა.

## 1810 წლის უთანასწორო ბრძოლები

თბილისიდან გაქცევის შემდეგ სოლომონ მეფე შეეცადა გამოეყენებინა ყველა რუსუკისი და რუსეთთან ბრძოლაში განიზრახა ირან-ოსმალეთის და ლეკთა ძაზმების ჩართვა. იგი ამასთანავე დაუკავშირდა თავის სახელთვან ბიძას ალექსანდრე ბატონიშვილს და მასთან ერთად ახალციხეში სოფელ ქოთელში შეადგინა მოქმედების გეგმა. ალექსანდრე ბატონიშვილმა კი იმერეთის მოსახლეობას სოლომონ მეფის გაქცევა შეატყობინა (რეზიუმე.1989:376). ძალზე საგულისნმათა ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი, რომელიც იგი ბაგრატიონთან სახლის ბედნიერებაზე საუბრობს: „ღმერთმა მოგვხელა და ჩვენი სახლის ბედნიერება დაიწყო. დღეს 13 მაისს, მეფე სოლომონი გაქცა რუსებს თავისი თავადებით, რომელიც მასთან იყვნენ და მობრძანდა ქოთელში. ვიცით, რომ თქვენც ისურვებთ, დაჩქერო ბაგრატიონების სახლის ერთგულნი. ახლა დადგა ჟამი, გამოიჩინოთ თქვენი გმირობა, იმოქმედოთ, რითაც სამუდამოდ დავალებულს განდიო ჩვენს სახლს“. მოწოდებაში ალექსანდრე ბატონიშვილი იმერეთის მოსახლეობას მოუწოდებს, რათა ბრძოლით დაიკვან ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დიხსება, ბატონიშვილის მოწოდებამ მართლაც მიაღწია მიზანს, თუმცა „თავის მხრივ არც მთავარმართებელი ტომმასოვი იყო უსაქმოდ, მან რამდენიმე პრეტორიამაცია გააგრძელა რომლებშიც იგი ხალხს აფრთხილებდა, რომ სოლომონ მეფესთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ქონების კონფისკაციითა და ციხეში გადასახლებით ემუქრებოდა. მთავარმართებელი კარგად ხელავდა იმ საფრთხეს, რომელიც შიძლება სოლომონ მეფისა და ალექსანდრე ბატონიშვილის შეერთებით წარმოქმნილიყო, რადგან იმერეთში მეფობის შესაძლო აღდგენის შემდეგ ბუნებრივია ქართლ-კახეთში მეფობის აღდგენის საკითხიც დადგებოდა, რაც განსაკუთრებით ამფოთებდა ტომმასოვს, თუკი სოლომონი

სავარაუდოდ დახმარებას ოსმალეთიდან და სპარსეთიდან მიიღებდა საქართველოში მყოფ რუსულ სამხედრო ნაწილებს საფრთხე შეექმნებოდათ, თუმცა სოლომონ მეფე ხედავდა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს ქართველი ხალხი უფრო შინაურ საქმედ უყურებდა და საქართველო-ოსმალეთის ან საქართველო-სპარსეთის ურთიერთობისაგან მას აზრებითად ან-სხვაგვებდა. თავის პრეკლამაციებში იმერლებს აუწყებდა, რომ ის უცნო ჯვარებს არ შემოიყვანდა და მარტო შემთვლილდა, როცა იმერეთის ერთსულთვანი აჯანყების შესახებ გაიგებდა“ (ბერძენიშვილი.1965.II:386). 1810 წლის 17 მაისს სოლომონ მეფემ დიდი გრძობით აღსავსე წერილი მისწერა დოსითეოს ქუთათელ მიტროპოლიტს, წერილი ასევე იმერეთის მაცნოვრებლებისთვისაც იყო განკუთვნილი: „მეფე სრულიად იმერთა სოლომონ უსაღმრთოესს მარჯვენეს სასათებით ამბოროს ყოფას მოგახსენებთ, მეტეუ როდესაც გადაწყვეტილ გული დავაჯერე, რომ რუსეთს მისტუმრებდნენ, თქვენის მომთრებისა და იმერეთის საუკუნოდ დატოვების ცეცხლი ჩემს გულს მოეგზნა; ცას ქვეშეთს დიდებას– თქვენთან ყოფნა, თქვენთან სინარული, თქვენთან სიცოცხლე და სიკვდილი ვაჩრჩიე, აწ თქვენგან და მთელად იმერეთისაგან ჩემი საწადლი ეს არის, მე თუ სხვა სამსახური რამ დამიკლია იმერეთისათვის, ეს კი ყველამ იცით, რომ თქვენის პატივისცემისა და სიყვარულისაგან არათდეს ჩემი გული არ გამძღარა, არ კიდევ სიკვდილისა და განსაცდელისათვის თავი გადავსდევ თქვენთან სიცოცხლისათვის“ (ხუსკივაძე. 1902:22). წერილში ნათლად ჩანს სოლომონის განსაკუთრებული პატივისცემა ქუთათელი მღვდელმთავრისადმი და ის დიდი გულისტკივილი რაც მეფეს იმერეთის დატოვებით მოელოდა. „ამაზედაც ფიცით გერწმუნებით, თუ იმერეთს ჩემის დეკარგვით ბედნიერება და თავისუფლება მიეცემოდეს, როგორც თქვენის მოუმთრებლობისათვის თავი გამოვიმეტე, ისე თქვენთვის დეკარგვას სასინარულიოდ მივიღებდი, საქართველო, ფიცითა და



თქმითი მთაგყუეს და დღეს აღარც სიმდიდრე უნაზია კაცსა, აღარც თავისი სახლი. ნუ დაიღუპებით ქართლსაგით, რომელნიც სულიერად დიდ პაზასკეეს ხორცს სჭამენ და ხორციელად გატან-ჯუღნი სიკვდილს ნატრულობენ“. თუკი იმერეთი სოლომონ მეფის სიკვდილით ბედნიერი იქნება, იგი მზადაა სამშობლოს გულისთვის სიცოცხლეც გასწიროს, ქართლის სულიერ მდგომარეობას კი იგი მეტად მძიმედ აფასებს.

მასის თვე სოლომონ მეფემ ახალციხეში გაატარა, სადაც აჯანყებისათვის ემზადებოდა. „აჯანყებამ თრგანიზეული სახე მი-ილო მას შემდეგ, რაც ახალციხიდან 1810 წლის ივნისის დასაწყისში დაბრუნდა სოლომონ II-სთან ერთად იქ გაქცეული ზემო იმერეთის საზღვარი ქაინოსრო წერეთელი“ (მჭედლიძე, 2013: 284). უთანასწორო ბრძოლები თითქმის ოთხი თვის მანძილზე მომდინარებდა გარდამავალი უპირატესობით. თავდაპირველად წარმატება აჯანყებულებმა მოახერგეს და მტერს დიდი ზიანი მიადანეს ლომისათხევზე მდინარე ჭიშურის ვიწრო ხეობაში, აჯანყებულთა მეორე დაჯგუფება, რომელიც სოფელ მარელისში (ხარაგაულის რაიონი) იყო დაბანაკებული რუსულ ნაწილებს ბრძოლა გაუძღოთ სოფელ კორტოხთან და ისინი დროებით შეაჩერეს. ამის გამო 22 ივლისს რუსეთის მთავრობამ გადააყენა რუსული ჯარების ხელმძღვანელი დიმიტრი თრბელიანი და მის მავივრად დაინიშნა ბარონი როზენი, რომელმაც პირველი გამარჯვება მდინარე ჩხერიმელას გადასასვლელთან მოახერგა, სადაც რუსულმა რეგულარულმა არმიამ არტილერიის დახმარებით წარმატებას მიაღწია, შემდეგ კი სოფელ სიმონეთს მიაღწა სადაც მეფე სოლომონი იყო გამაგრებული. „ქუთაისის მისასვლელებს მისი მომხრეების 7000-იანი ლაშქარი იცავდა ქაინოსრო წერეთლისა და სხვა თავადების ხელმძღვანელობით. მათ მდინარე ჭიშურასთან გაუძღოთ ბრძოლა მომხდურებს. ოთხი საათი გაუძლეს მათ გადფორმებულ შემოტევას, შედეგ კი იძულებულნი გახდნენ პოზიციები მიეტოვე-

ბინათ“ (გონიკიშვილი.1979:189). იმერეთის მოსახლეობას არ ჰქონდა ბრძოლის გამოცდილება, ამიტომ მათ უჭირდათ რუსეთის ბრძოლისუნარიან და კარგად შეიარაღებულ ნაწილებთან ბრძოლა. მიუხედავად აჯანყებულთა სიმრავლისა, ისინი რუსულ სამხედრო ნაწილებთან მაინც მარცხდებოდნენ. 22 ივლისს გენერალმა თბელიანმა აჯანყებულები დაამარცხა ჩხერის ციხესთან, ხოლო 25 ივლისის შეტაკების დროს დაიღუპა ქაინსრო აბაშიძე, დარეჯან ბატონიშვილის მეუღლე. გადაჩენილმა აჯანყებულებმა ქაინსრო წერეთლის წინამძღოლობით თავი შეაფარეს მალღაკს, სადაც სოლომონ მეფეც მისულა. პოლკოვნიკ სიმონოვიჩის ჯარების მიხლოებისას კი სოლომონს მალღაკი დაუტოვებია და სოფელ რიონთან გადასულა (ხახანაშვილი. 1911:72). 29 ივლისს რუსულმა ნაწილებმა ქუთაისი დაიკავეს. 4 აგვისტოს ბრძოლა გაიმართა სოფელ რიონთან, რომელსაც თვით სოლომონ მეფე ხელმძღვანელობდა, ვაფთხებულნი შეტაკება მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მებრძოლი მხარეები მხოლოდ სიბნელემ გააჩერა. 10 აგვისტოს გელათის ახლოს, ნაგარეგში სიმონოვიჩმა ვერ შეძლო მეფის შეპყრობა (ჩეხვიანი.1989:382). უკანასკნელი მიზონცხებული მონარქი საბოლოოდ ეთხოვებოდა მშობლიურ ადგილებს, ეთხოვებოდა გელათის წმინდა მონასტერს, სადაც თავისი სახელოვანი წინაპრები განისვენებდნენ, იგი როგორც დევნილი ისე გადადიოდა სოფელ-სოფელ, ტყე-ტყე და ასე ტოვებდა თავის სამშობლოს. 26 აგვისტოს მეფის მომხრეები სოფელ საქარაში ხუთსათიანი ბრძოლის შემდეგ დამარცხდნენ. ამ დღეს დაიღუპა ქაინსრო აბაშიძის „უფროსი შვილი ხანულა, ცოტა უფრო ადრე 20 ივნისს საქარასთან ახლოს კაპიტან ტიტოვის რაზმთან ბრძოლას შეეწინა ქაინსროს ვაჟები, რომელთა სახელები ჩვენთვის უცნობია“(სასელია.1973:206). ქაინსრო აბაშიძე იყო სოლომონ პიჩველის ქალიშვილის დარეჯან ბატონიშვილის მეუღლე. ქაინსროს თჯანი მთლიანად ამოწყდა რუსებთან ბრძოლაში, მისი ერთი

ცოცხლად დაჩრეხილი ვაჟი ივანე 1819-1820 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო და იგი რუსებმა ახალციხეში მთაკვლევიანს. დაჩეჯან ბატონიშვილი კი რუსეთში გადაასახლეს.

ერთი ცნობით სოლომონ მეფემ 25 სექტემბერს სიმონთვირთან შეტაკების შემდეგ დატოვა საქართველო და ახალციხეში გადავიდა, მეორე ცნობით, რაც უფრო ნაკლებსარწმუნოა: „მეფე 1810 წლის 24 თქტომბერს თსმალთა ჯარის დახმარებით გადავიდა ახალციხეში. ადგილობრივ გარემოსა და ხშირ ტყეებს სამუალება არ მიუცია სიმონთვირისათვის რათა კვალდაკვალ გაჰყოლოდა მეფეს, რომელსაც გაჰყოლია 17 თავადი, თავიანთი თჯახებით, 8 აზნაური და მღვდელი ნიკოლოზი, ერთ-ერთი მთავარი ბუნტოვშიკი და 150 გლეხი“ (ЧУДИНОВ. 1895:273). რუსის ჯარს მძიმე დღე რომ დასდგომია კარგად ჩანს სიმონთვირის გაგზავნილი შეტყობინებიდან ტორმისათვისადმი: „სოლომონ მეფის ვერც მოკვლა მოვახერხეთ და ვერც დატყვევებათ. ცდა არ დაგვიკლია, განუწყვეტელი ბრძოლებითა და შიმშილით განაწამები ჯარისკაცები ჩინჩებს დაემსგავსნენ, მაგრამ მთავარი ამოცანა ვერ შევასრულეთ“ (საქართველოს ისტორია. IV.2012:20). ეს ის სიმონთვირია, რომელმაც ჯვარზე და სახარებაზე დაფიცებით აღუთქვა სოლომონ მეფეს უვნებლობა და სამეფოს დაბრუნება, თუმცა მათთვის ფიცის დარღვევა არავითარ პირობებშიც არ წარმოადგენდა, პირიქით იგი დამწუხრებულია, მეფის მკვლელს რომ ვერ მიაკვლია და სამშობლოს გადაჩრეხისათვის მებრძოლი მეფე, რომ ვერ შეიპყრო. აღ. ხახანაშვილის ცნობით თბთვიანი ბრძოლების დროს რუსებს იმერეთში 20 თფიცერი და 392 ჯარისკაცი დაუკარგავთ, უცნობია აჯანყებულთა მხარეს რა რაოდენობის ადამიანი დაიღუპა, ჩვენი აზრით სამშობლოს დამცველთა რიგებში მსხვერპლი ბევრად უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, რადგან მდინარე ყვირილასთან ქაინოსრო წერეთლის რაზმსა და გენერალ რიზენის სამხედრო ნაწილების შეტაკების დროს იმერლებს 200

კაცო დაუკარგავთ. ამის მიხედვით შესაძლოა, ქართველთა მხარეს დაღუპულთა რაოდენობა 1000 კაცს აღემატებოდეს\*. აღნიშნული ბრძოლების დროს დაიღუპა ასევე თსმალთა ჯარის ნაწილი და

\*აჯანყებულ ქართველთა შეიარაღებულ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ერთი ძველი ნაამბობი, რომელიც მღვდელ დავით ღამბაშიძეს ჩაუწერია 1883 წელს: „მეფე სოლომონ დვთის მოყვარე კაცო იყო და ღმერთმან იმდენი მოთენებინა, რომ გამოიპარა და ახალციხეში ამოყო თავი. იმერეთის სახლოთუხუცესის მიმდგომმა კაცებმა დაყარეს ხმა სოლომონ მეფეს თათრის საწმუნთება მიუღიათ, დაუტყვეთა და ახლა იმერეთში მიდის თათრის საწმუნთება უნდა მიაღებინოს ყველას, მაგრამ ეს არავინ დაიჯერა იმერეთის მეფე ამას არ იზამსო. იმერელ ხალხს რა ჰქონდა? ჩვენი სათამაზი იარაღი წალდი და ტული იყო და თოფი ნაკლებად გვექონდა, სადაც აღმართი იქნებოდა იქ ქვებს დავაგორებდით და იმითაც ბევრი წყდებოდა“ (დროება.1883.№62). აღბათ ძნელი წარმოსადგენია, ამგვარად შეიარაღებულმა იმერლებმა როგორ შეძლეს და ძლიერ მტერს რამდენიმეთვიანი ბრძოლა გაუმართეს. ბუნებრივია, რომ სამშობლოს დამცველებს შორისაც მრავლად იყო მსხვერპლი, თუმცა დღემდე არ ვიცით დაახლოებით რა რაოდენობის ვაჟკაცი შეეწინა ანტირუსულ გამოსვლებსა და აჯანყებებს აღნიშნულ პერიოდში. ზებირი ვადმოცემები ჩაუწერია ვითრე წერეთელსაც, რომლებიც ძალზე საინტერესოა. ამ ვადმოცემებში საუბარია იმ პერიოდის როგორც თავდადებულ ასევე სამშობლოს გამცემ ადამიანებზე, ისტორიამ ყველა მათგანს სათანადო ადგილი მიუჩინა. ერთ-ერთ ვადგვარებულ ქართველს მამისთვალა ყიფიანს მტრის მეზღურობა უკისრია და სიმონთფიის ჯარს ხლებია. „იგი გამოტყდადებია ბერ წერეთელს და თითქოს ქაინსრო წერეთელის დანაბარები ვადაუცია-ქაინსრო წერეთელმა ვიბრძანათ მე მეფესთან მივდივარ და თქვენ ღორემასკენ დაიწიეთ, თქვენი კაცებით, რომ უღეფე ვარსი არ გამოგვეპაროს. ბერ წერეთელს მართლაც აუყრია ჯარი ამ ცრუ შეტყობინებზე. მამისთვალა ყიფიანს კი ამ ხეჩინანობისათვის თრასი თქრო მიუღია“ (კვალი. 1896.№26). დასაზნანია, რომ თრგული ქართველები პირადი გამორჩენის მიზნით არაფერს თავილობდნენ, მტერი კი თანხებს არ იშურებდა, რადგან თრასი თქრო იმ დროისათვის საკმაოდ დიდი თანხა იყო. განსაკუთრებით საინტერესოა გარსია

მათი ხელმძღვანელი სულეიმან-ბეი, რომლებიც იმერთა მხარეს იბრძოდნენ.

სოლომონ მეფეს ახალციხეში გაჰყვა შემდეგი პირობები: სოლომონ ლიონიძე, გრიგოლ, დავით და გიორგი ერისთავები, დავით აბაშიძე, ქაინოსრო და დავით ავიშივილები, ქაინოსრო და სვიმონ ზურაბის ძე წერეთელი და სხვები, მათი უმრავლესობა მეფის გარდაცვალებაამდე იმყოფებოდა თსმალეთში. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდნენ. გიორგი ავალიშვილი 1820

დონდაძის ნაამბობი ქაინოსრო წერეთლის მეუღლე ქეთევან აბაშიძეზე. „ქეთევან აბაშიძე მოდინახეს ციხეს იცავდა, რომესაც ზურაბ წერეთლის ვაჟი გრიგოლი, რომელიც რუსების რაზმს ხელმძღვანელობდა გადასულა თოდაძის ციხეში და იქედან დაუშენია მოდინახეს ციხისთვის ზარბაზნები. ქაინოსროს მეუღლეს კი გალავანში წყალი გაუშვია ნახევარ აწმინზე და ნაბდები დაუსველებია, რათა გალავანში გადმოგდებულ ყუმბარის ჩლა წყალს გაექრო. ამ დროს თოდაძის ციხიდან გადმოეგდოთ ერთი ყუმბარა, რომელიც სარდლის მეუღლის მახლობლად დაცემულა და ჯერ აწ იყო გამსკდარი. ქეთევანს უცებ თვითონ აულია სველი ნაბადი და გადმოგდებული ყუმბარისათვის დაუფარებია. ამის შემდეგ ქეთევანს მისვლია გრიგოლ წერეთლის ბარათი, რომელშიც ის ეფიცებოდა წმინდა სამებას და სავანის წმინდა გიორგის, რომ მე შენი ერთგული და მოყვარული მახლისწული ვართ. ნება მიბოძე მოვიდე და დედათ აღვიართ და ძუძუზე კბილი დამადგევიანე, რომ უფრო დამერწმუნოვო. („ძუძუზე კბილის დადგმა“ ნიშნავდა შეილობილად მიღებას და შემდეგ ვინც ამ ჩვეულებას გატეხდა ის შეიქმნებოდა მკვიდრი დედის მკვლეელი). მეორე დღეს გრიგოლ წერეთელს აღუსრულებია წმინდა ხალხური ჩვეულება და გამხდარა მისი შეილობილი, რომლის შემდეგაც მას ნება მიუცია ბოლკოვნიკი სიმონთვიჩი, გრიგოლ წერეთელი და ჯარის გარკვეული ნაწილი ციხეში შეეშვა. ციხეში შესული გრიგოლი მივარდნილა ქეთევანთან, დაუბეგია ხელში მისი ნაწნავები და თრევით გამოუყვანია ციხის გარეთ და დაუტყვევებია. ქეთევანის თანამებრძოლი კაცები ზოგი მოუკლავთ, ზოგი დაუჭრიათ“ (იქვე-№26). ასეთი სამარცხვინო საქციელი ჩაუდენია ზურაბ წერეთლის ვაჟს გრიგოლს.

წელს კონსტანტინებოლში შეხვედრია ვიორჯი ეგგენის ძე აბაშიძეს, რომელიც ჯერ კიდევ ყრმა წაჰყოლია სოლომონ მეფეს ტრაპიზონში და „შემდგომად დათბლებისა ჩვენისა (სოლომონ მეფის სიკვდილის შემდეგ) ზაოდენნიცა ვახლდით მას, ვერ ვიქონიეთ ერთხმობით, ვიეთნიმე ზრახვიდნენ მამულისავე თვისისად მიქცევას, ვიეთნიმე ვერ ჰბედავდნენ შემდგომად რჩევათა მათთა შიშის გამო რუსთასა“ (ავალიშვილი.1967:1967: 95). სოლომონ მეფის ვარდაცვალების შემდეგ მის თანხმლებ პირთა შორის აზრთა სხვადასხვაობა ყოფილა და მათგან ზოგი საქართველოში დაბრუნდა, ნაწილი კი თსმალეთში დარჩა. ტომმასთემა ახალციხეშიც მოაწყო ლაშქრობა, თუშუცა იძულებული გახდა შავი ჭირის გამო ლაშქრობა შეეწყვიტა. ამ დროისთვის საერთაშორისო ვითარებაც ისეთი იყო, რომ სოლომონმა დახმარება ვერც თსმალეთიდან მიიღო, რადგან 1812 წელს დასრულდა რუსეთ-თსმალეთის ომი და ბუქარესტის ზავის მიხედვით რუსეთს დარჩა იმერეთი, სამეგრელო, გურია და აფხაზეთი. მეფემ დახმარება ირანის შაჰსაც სთხოვა, მაგრამ მისგანაც უარი მიიღო. სოლომონმა დახმარებისთვის 1810 წლის 20 თქტამბერს დახმარება ნაპოლეონ ბონაპარტესაც სთხოვა, რომელსაც იგი „უნივერსალურ აზბიტრს“ უწოდებს, 1811 წლის 6 იანვრით დათარიღებულ წერილში სოლომონ მეფე პირდაპირ მფარველობას სთხოვს ნაპოლეონს; „მაგრამ, დე, მან ინებოს განმათავისუფლოს მილიონ ქრისტიან სულთან ერთად მოსკოვის იმპერატორის შეუბრალებელი უღლისაგან; ან მისი მაღალი მფარველობით, ან მისი ყოვლისშემძლე მარჯვენის ძალით და მან მომათავსოს მფარველობაში მისი მეთაურობით აჩსებულ ჩრდილქვეშ“ (რენვიამშვილი. 1992:315). თუშუცა აჩს ამ საქმიდან გამოვიდა აზაფერი. დევნილი მეფე ახალციხიდან აზზრუმში, ხოლო იქედან ტრაპიზონში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ სოლომონმა დახმარება ვერაფერს ვერ მიიღო იგი სიცოცხლის ბოლომდე არ კარგავდა იმედს სამშობლოში დაბრუნებისა. ახალგაზრდა ტანჯული მეფეს ყოველგ-

ვან უბედურებასთან ერთად ჯანმრთელობაც ნაადრევად შეეწყა. შესაძლოა ახალგაზრდა მეფემ 1810 წლის ბრძოლების დროს მიიღო დაზიანება, ან რამდენიმეწლიანმა აზაადამიანურმა ცხოვრებამ, მუდმივმა დევნამ დაავადა მეფე, რასაც ემატებოდა საკუთარ ხალხსა და საყვარელ მეუღლესთან სამუდამო განშორება და მისგან გამორჩეული უდიდესი მწუხარება. მუდმივი ფიქრი იმაზე, რომ მას შემკვიდრე არ დაჩინებდა და მის შემდეგ იმერეთის სამეფოს გაუქმება ემუქრებოდა. იქნებ იმაზეც წუხდა ახალგაზრდა 37 წლის მეფე\*, რომ მას ერგო ხვედრად ათასწლოვანი სამეფო დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ყოფილიყო. მეფე, რომელსაც არ ელიზსა შობილი უნდოდა მიწაზე დაკრძალვა და თავისი ხალხის მიერ დატყვევება. იგი 1810 წლის სექტემბერში სამუდამოდ გამოეთხოვა მისგან ასე შეყვარებულ იმერეთს, რომელიც მან „სამთხეს“ შეადარა. დანადგლიანებული, განაწამები, ნაბრძოლი მეფე ტოვებდა სამშობლოს იმიდით, რომ კვლავ მოიკრებდა ძლებს და ახალი ენერგიით იბრძოლებდა საკუთარი ტახტის დასაბრუნებლად, თუმცა ახალგაზრდა გმირი მეფის თცნებებს აღსრულება არ ეწერა.

\* შევნიშნავთ, რომ ვერ გავიზიარებთ ისტორიკოს ნ. ჯავახიშვილის მისაზრებას, თითქოს საქართველოს უკანასკნელი ბაგრატიონი მეფე სოლომონ მეორე კი არა, არამედ ერეკლე მეფის შვილიშვილი გრიგოლ ბაგრატიონი იყო, რომელიც ქართლ-კახეთის 1812 წლის აჯანყებას მეთაურობდა და 20 თებერვლიდან 6 მარტამდე მეფობდა - „ამ ხანმოკლე პერიოდში იგი მეფედაც უკურთხებიათ. ეს სრულიად საკმარისია, რომ იგი უკანასკნელ ქართველ მონარქად მივიჩნიოთ“ (ჯავახიშვილი.2008:72). ჩვენი აზრით, გრიგოლი იყო ტახტის პრეტენდენტი, ისეთივე, როგორც იყვნენ ალექსანდრე ბატონიშვილი, ლევან ბატონიშვილი, ივანე აბაშიძე და სხვა. რაც შეეხება მის მეფედ კურთხევას, ეს სრული წესით ვერ მონდებოდა, რადგან ეს უნდა აღესრულებინა ყოვლისა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ანტონ მეორეს, რომელიც ამ დროისათვის რუსეთში იყო გადასახლებული. გრიგოლს არ ჰქონდა ასევე სამეფო რეგალიები და ა. შ.

## სოლომონ მეფის გარდაცვალება 1815 წ.

იმერეთის სამეფოს ბოლო მონარქმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები ოსმალეთში, ქალაქ ტრაპიზონში გაატარა. იგი ცდილობდა დახმარება მიეღო ოსმალეთიდან, საფრანგეთიდან ან ირანიდან, თუმცა იმ დროისათვის საერთაშორისო ვითარება რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ წარმობდა. ცნობილია, რომ ტრაპიზონში მეფემ მიიღო ოსმალეთის სულთან მაჰმუდის ბარათი, რომელშიც მას ატყობინებდა, რომ „რუსეთის მეფე გარდაეკიდა იმისთანა მოწინააღმდეგეს ნაპალეონ ბონაპარტეს, რომლისგანაც საჩუკია, რომ თავი იხსნას და მას (სოლომონს), შავიზღვისპირეთში ფოთის ციხეში წასვლას ურჩევდა, სადაც მივიდოდა ტრაპიზონის და არზუმის ფაშები ჯარებით“ (მწყემსი.1890. №15-16).

სავთნებელში ჩავარდნილი მეფისთვის, სამწუხარო იყო ასეთი მოკითხვა, რადგან სავარაუდოდ იგი გულის სიღრმეში მაინც ეჭვობდა საქმის დაღებითად გადაწყვეტას, რის გამოც იგი სასოწრკვეთილებამდე ყოფილა მისული: „რისთვის ჩავესახე მუცელში ჩემს დედას, თუ კი რომ ჩემთვის უნდა მოხდეს ამგვარი უბედურებანი და შემთხვევანი საქრისტიანთ ქვეყანაზედათ“. მეფეს ოსმალეთის სულთნისათვის მადლობა შეუთვლია და ამ საქმის სამი თვით გადადება უთხოვია ავადმყოფობის გამო. როგორც ცნობილია სოლომონ მეფე ფოთში ჩასულა 1813 წლის 29 თქტამბერს, ე.ი. გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე იგი უკვე ავადმყოფობდა. მეფის ავადმყოფობისა და მისი გარდაცვალების შესახებ ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის მისი სულიერი მოძღვრის იესე ყანჩაველის წერილი მარიაშვილ დედოფლისადმი, რომელიც მას 1817 წელს გაუგზავნია რუსეთში. გაგზავნობთ წერილის სრულ ვერსიას, რომელიც ძალზე საინტერესოა. „მათს უმადლესობას სრულიად იმერთა დედოფალს დადიანის ასულს მარიაშვილს, მოწყალე ხელმწიფეს. ქრისტეს მიერ ღოცვას და კურთხევას და თქვენის უმად-



ლესობის ტახტს კოტნას მოვასხენებ. შ-დ ვინადგან ბატონი ჩემი მეფე სოლომონ გარდაიცვალა და ჩემის აურაცხელი ცოდვისაგან დაბნელებული შევიქენი და უნუგემო ყოვლითურთ: მერმეთ თქვენ წიგნი მოგართვით და ყოველივე ამბავი გამოვაცხადე და მოგართვი ერთი ტრაპიზონიდაჲ. მოგართვით წიგნი და ერთი იმერეთიდაჲ ანთდეს პასუნი ან მეტოძა თქუენ მიერ არც ვიცი მოგერთუართ და ახლა მოვასხენებ ამბავს ჩვენი ცოდვის კითხვისას. მათის უმაღლესობის, კურთხეულის და ნეტარსენებულის მეფე სოლომონის მიცუალებას, თდეს თქუენი წერილი მთერთვა ბატონს ფთოს ბრძანდებოდა და ავად იმყოფებოდა თდეს თქვენი წერილი მთერთვა აპრილის იბ, რომ ყოვლად მოწყალეს ხელმწიფეს გაუზიგდით, აქ გირჩევენია ისევე თათარში ყოფნასათ ბევრთათ, მაგრამ მაშინ ავათ ბრძანდებოდა და ტრაპიზონს წაბრძანდა. იქ აქიმი ვახლდათ, მაგრამ ვერ ქნა რა იმ წყეულის ჭირისაგან რაც ერთი ბზუკვა იყო მარჯვენა ძუძუს ქუეით“ (კაკაბაძე, 1914:99).

მეფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ძალზე ინტერესს იწვევს სოლომონ მეფის უკანასკნელი წერილი იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი: „რომ გენერალ-მაიორმა სიმონთვიჩმა და მოვილევსკიმ მას წმინდა სახარებასა და ჯვარზე შეფიცეს ქუთაისში დაბრუნება და სამეფოს დაბრუნება“, თუმცა იგი გამოაცხადეს სარწმუნოების მტრად და მრავალ ადამიანს დაჰპირდნენ უამრავი ჯილდოსა და წყალობას თუკი მეფეს მოკლავდა ვინმე და სწორედ ამ დროს, 1811 წელს სოლომონს სასიკვდილო საწამლავი დააღვეინეს, „რომლისგანაც დამიფარა უფალმა, წერილი ესე და სასიკვდილო შხამი, რისი თვითმნილველებიც იყვნენ და დამოწმებაც შეუძლიათ ჯვრის მამის ტაძრის არქიმანდრიტ ბენედიქტეს და ვიცე-პოლკოვნიკ ათანასე იურის ძე ბოლეცოვს“ (კაკაბაძე, 1956:507). წერილი თარიღდება 1811 წლის 20 თქტომბრით, სოლომონ მეფესთან სწორედ ეს თრი პიროვნება არქიმანდრიტი ბენედიქტე და ვიცე-პოლკოვნიკი ბოლეცოვი იმყოფებოდნენ ახალციხეში 1811 წლის აგვისტოში, რათა მოლაპარაკებოდნენ

სოლომონ მეფეს. აღნიშნული წერილით ვგებულობთ, რომ დაგეგმილი იყო სოლომონ მეფის მოწამელა და როგორც ჩანს სოლომონ მეფემ საწამლავე დალია, თუმცა სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. გამოიწვია თუ არა საწამლავეს მიღებამ სოლომონ მეფის ჯანმრთელობის შეზღუდვა და შემდგომი დაავადება ჩვენთვის უცნობია, თუმცა ამ ფაქტით დასტურდება, რომ რუსეთის აღრე დასახული გეგმა სოლომონის მოკვლის შესახებ ჯერ კიდევ დღის წესრიგში იდგა და რუსეთისთვის კვლავ საფრთხეს წარმოადგენდა სამშობლოდან გადახვეწილი მეფე.

ესე ყანჩაველის წერილიდან ვგებულობთ, რომ იგი ფრიად უნუგეშო მღვთმარებობაში იყო სოლომონ მეფის გარდაცვალების გამო. მას მარია დედოფლისათვის თრი წერილი გაუგზავნია, ერთი ტრაპიზონიდან და ერთი იმერეთიდან, თუმცა დედოფლისაგან არანაირი პასუხი არ მიუღია. ესე ყანჩაველი საუბრობს მარია დედოფლის წერილზე, რომელიც ფთოში მყოფ სოლომონ მეფისათვის მიუზრთმევიათ. 1813 წლის 12 აპრილს, რა დროსაც სოლომონი ავად იყო მარია დედოფალი მეუღლეს სთხოვდა, რომ რუსეთის ხელმწიფეს გარიგებოდა და რუსეთში ჩასულიყო, თუმცა ავადმყოფობის გამო მეფე ტრაპიზონს წაბძანებულიყო, სადაც მას იქაური ექიმი მკურნალობდა, თუმცა მკურნალობას შედეგი ვერ გამოუღია, მეფეს მარჯვენა მხარეს მკერდის ქვემოთ წამონაზარდი ჰქონია, რომელსაც მამა ესე „წყეულ ჭიბს“ უწოდებს. სავარაუდოდ მას სიმსივნე ჰქონდა, რამაც იგი ძალზე რთულ მღვთმარებობაში ჩააგდო. სოლომონ მეფე ბრძანებდა „არ მომარჩენსო და მოახსენებდნენ თავადნი – ნუ ბრძანებო, კარგათ ბრძანებო, ცხენზე ვაღომა შეგიძლია და აგრე რათ ბრძანებო, მომაკვდავმა რაღა უნდა სთქუასო, მაგრამ მე ასე ვგონებ, რომ საღმთო მადლით იცოდა, ნახევარი წლით მიზუნდა თავის განსაცდელს, მიბრძანებდა ნიადავ, რომ მე არ მოვრჩებო და შენ იციო, შენს მეტი მომხსენებელი არ მეყოლება. საკუთარი დაანაწერი მიბოძა, თუ რამ იქნა ქონდა, ათი ქესა თეთრი იყო და ათი ქესიც თუ რამ

საქონელიც იყო, თუცა ქესა ყურუმის ქესა, რაც შეიძლებოდა ღვთის მადლი და მეფის მადლი შეემწია და გავარზივე. ის თუცა ქესა ასე გარზიდა, რომ ასი ქესა თეთრი ვერ იქმნოდა, ღვთის მადლით ისე ვიცოდელივე ასობრძედათ მონასტერზე. მეორეთ მოსულამდე მოსახსენებელი დავსდევნი. ბერძნულად ქარუსია ქვია იმ დასდებულს თავის საფლაგზე, ერთი სახარება მოვაჭედინე, სინათელი თსტატი მოვიყვანე, რომ იქ იმისთანა თსტატი არ იბოვება არსად, თერთმეტი ას მარჩილად ისეთი გაკეთდა, რომ ზ ქესად აფასებენ. ერთი ხელი შესამოსელი დავსდევნი ბატონის საფლაგზე და სამასი მარჩილი სამთავნთ იმ წმინდის გრიგოლის ეკლესიაზედ, რომელზედაც ბატონი მარჩია, ასე რომ მისმა სარგებელმა წინვა არ უნდა გაუსხლიტოს იმ საფლაგზედ იმ ეკლესიაში, ქუანზე მიწერილი არის. მღვდელმთავარი დვას იმ ეკლესიაზედ და დიას სასთებით მიღებული აქუსთ ბატონი ასე, რომ ხატის მსგავსად ემთხვევიან ბატონის საფლაგს. ქრისტიანები თუცდათი ათასი ქრისტიანი არის იმ ეკლესიის შთამომავალი მიტროპოლიტის სამწყსო სულეერთობით ბატონის მომხსენებელი და მლოტველი“ (კაკაბაძე.1914:99).

მამა იესეს სიტყვით სოლომონ მეფემ საღვთო მადლით წინასწარვე იცოდა ამ ქვეყნიდან წასვლის შესახებ, ამიტომ იგი სასთებას მხოლოდ საკუთარ მოძღვარზე ამყარებდა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ გარდაცვალების შემდეგ მამა იესე მას მოიხსენიებდა. მეფე სოლომონს რაც გააჩნდა, ყოველივე მოძღვარს გადასცა, რომელმაც ღვთისა და მეფის მადლით თუცა ქესა ფულით ასობრძედათ მონასტერში მეორედ მოსვლამდე მოსახსენიებელი დაუწესა. ტრაპიზონის წმიდა გრიგოლის სახელობის ეკლესიაში მღვდელმთავარი სწირავდა და მეფეს ყოველდღე მოიხსენებდნენ, ამასთანავე აღნიშნული ეკლესიის მრევლი, ხატის მსგავსად ემთხვეოდნენ სოლომონის საფლაგს, რაც სოლომონ მეფის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას მეტყველებს. იმ პერიოდში ტრაპიზონის ქრისტიანი მოსახლეობა სულ 30 ათასი სული მეფის მომხსენებელი და მლოტველი ყოფილა. „რაც ვხუდა იმ თუცა ქესიდან

იმ საკვირველ ღარიბებს მივართვი ყუ სხვა ვერ შევიძელი. და იმ ბერძნებისაგან საწირავათ მიცემული და თუ ან ულუფას გამოვრჩი რასმე თრას სამოცი ყურუში მქონდა და ისიც ღარიბებს მივეცი რომ მწუნარება მომაყენეს ღარიბებმა ღუთის მოწყალებით ასე დამარჩნა, რომ როგორც ეკადრებოდა. სხვა მეფე ისე არ დამარჩნულა მე ასე მგონია იმ კაი ქრისტიანებისაგან. ქუეყანის განწესება არის თუარამ გაცემა, რაღათ ეჭირვებოდა ნეჭაი თქუენ მლოცველი შეიქმნა რომ საკვირველი არ დაცხრებოდა ლოცვისაგან. ხაჭი უდაბნოს შესაწირვათ მინდოდა, ბატონმა ანაწერში ჩამიწერა გასაცემად, მაგრამ მერე შევიტყუე დედოფლის არის, მე არ ვიციოდი და ვთქვი რომ დედოფალს მივართმევ და რაღაც ინებოს მეთქი. ახლა სხვა იმიტომ არ ვაძლეე, რომ ეგებ მატყუებდნენ და დედოფალს არ მიართუან-თქუა, თორემ ბევრმა მითხრა იმერეთს მე გაუგზავნი დედოფალსათ, მაგრამ მე არავის თუ თქუენი წერილი არ მომივიდა და ნიშნულობა არ მენიშა არავის მივსცემ როდესაც თქუენი წერილი და ნიშნულობა მომივა მამინ მივსცემ და მომიტანს იმას მივსცემ და მოგართმევს თუ არა ის კი აღარ ვიცი, იმერეთში სიცრუე გამჩაველებულა დიად ძალიანს და ველარავის გენდვე თუ არა მაქამდის წერილი გამომიცხადებს (ისე) ვიქ. აქამდის მინდოდა უდაბნოში შესულა, მაგრამ მეგონა მიხმობდით და თქუენს ამბავს უყურე, ახლა ნათლისმცემლის უდაბნოში უნდა ვიანლო მეფის სულის სალოცავად. რადგანაც კურთხეული ბატონი ჩემი მეფე სოლომონ გარდაიცვალა იმ სოფლიერად არასფერი კეთილი და არასფერი დიდება არ მინდა და ღმერთმა ნურც მომცეს, ბატონო. ქრისტეს წინ მსურვალის გულით თქუენი მლოცველი და მომხსენებელი მეფის მოძლუარბი, ყანჩამეილი მღვდელი იესე წელთა ჩყიზ აბრილს კვ.“ (იქვე-100-101).

წერილიდან ვგებულობთ, რომ სოლომონ მეფე სიცოცხლის ბოლო დღეებში განსაკუთრებულად მლოცველი და მმარჩველი გახდა, ამასთან ერთად მისი სულიერი მოძღვარი მეფის სიწმინდესა და კეთილ გონებაზე საუბრობს, რაც სოლომონ მეფეს წარმოგვიჩენს, როგორც ღვთისმომი და კეთილ-ხნეობრივ მონარქს,

რომელიც სიკვდილის წინ განსაკუთრებულ სასთებას ღმერთზე ამყარებდა. ამასთანავე, მისი გარდაცვალების შემდეგ, მის სული-ერ მოძღვარს აღარაფერი დაზრუნოდა ამ წუთისთველში და მას გადაწყვეტილი ჰქონდა ითანე ნათლისმცემლის (დავით გარეჯის) უდაბნოში დამკვიდრებულიყო და სოლომონ მეფის სულისათვის ელოცა. ე. ი. 1817 წლის 26 აპრილს იესე დეკანოზი უკვე იმ-ერთშია და ნათლისმცემლის უდაბნოში აბიბებდა დამკვიდრებას, თუმცა დედოფალ მარიაძის თხოვნის საფუძველზე მისი გეგმები შეიცვალა.

ღირსეულ დაკრძალვასთან ერთად იესე დეკანოზს მეფის სულის სათხად, ტრაპიზონის წმიდა გრიგოლ ნოსელის ტაძრისათვის თქრთი მოჭედული ბერძნული სახარება შეუწირავს, რომელსაც შემდეგი წარწერა ჰქონია: „შეიწირე წმიდათ გრიგოლ, აქა მღებარე სრულიად იმერთა მეფე ძე ანჩილისა მეორე სოლომონისა მიერ წმინდა ესე სახარება“, მეორე გვერდზე: „მოიხსენე უფალო სრულიად იმერთა ანჩილის ძე მეფე სოლომონ, რომელ ანს მღებარე წმიდა გრიგორის საყდაზრედ ტრაპიზონდს. მიიცუალა წელს ჩყიე თებერვალს ზ და შესწირა ესე წმინდა სახარება წმინდისა გრიგოლის ეკლესიას სულის სათხად, რათა შენდობა უბრძანოთ ქრისტეს მოყვარემან მხილველმან სახარებისა ამისმან. მოიხსენე უფალო, მშრთმელი სახარებისა ამისა მეფის მოძღვარი მღვდელი ყანჩაველი იესე. ვითარც მეცა ყოველთა ქრისტეს მოყვარეთაგან შენდობას. მონა და მოსამსახურე მეფისა ამის მადლითა ღვთისათა მოექმენ შეძლებისამებრ ჩემისა“.

მეფის დაკრძალვა მისი გარდაცვალებიდან მე-3 ან მე-4 დღეს უნდა შემდგარიყო და მას ადგილობრივ ბერძენ მართლმადიდებლებთან და თურქეთის ქართველობასთან ერთად მეფის ამალის წევრები 60 კაცის ოდენობით დაესწრებიან. სოლომონ მეფისაგან ამალის თითო წევრს, 500 ყურუში (115 მანეთი) ეძლეოდათ. მეფის გარდაცვალების შემდეგ, მათი უმრავლესობა სამშობლოში დაბრუნდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეფის საფლავს, რომელიც

ტრავმატის წმინდა გრიგოლის სახელობის ტაძრის ეზოში თვალსაჩინო ადგილზე მდებარეობდა, შემდეგი წარწერა ამშვენებდა: „საფლავსა ამას შინა მდებარე არს იმერთა მეფე სოლომონ, წელი ჩეიე (1815)“. ქვემოთ კი მისი სახელოვანი წინაპრის დავით აღმაშენებლის მსგავსად ფსალმუნის სიტყვები ეწერა: „ჰსაჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა“

„მომიხსენეთ, მე, ძმანო საფლავსა ამას მდებარე მეფე სოლომონ“.

მეორე მხარეს შემდეგი წარწერა იყო: „განმეძარცვა მე პირველქმნილი სიკეთე და შშენება და მდებარე ვარ შიშველ და კდემული საფლავსა ამას შინა, ტომისაგან დავითისა, შთამოსრული ბავრატონი ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ,

რომლისათვისაც ვითხვე შენდობას“.

ღვთისმოშიშო მონარქი უფალს მიანდობს მის წინააღმდეგ მებრძოლთა და მავნებელთა განსჯა-გასამართლებას, რომელთა შორის მეფე ალბათ რუსებსა და იმ ვაი ქართველებს გულისხმობდა, რომლებმაც უღალატეს მას და სამშობლოს დაცვის საქმეს. განსაჯე უფალო ჩემი მავნებლები და ებრძოლე ჩემ წინააღმდეგ მებრძოლთ! წინასწარმეტყველი სწორად მისადაგებული მართლის ლოცვით მიანდობს და შესთხვეს უფალს, რომ მან სწორად განსაჯოს, განბრჭოს და ასე გამოიჭანოს სწორი გადაწყვეტილება. და უპირველეს ყოვლისა ამას ითხოვს მისი მოწინააღმდეგეების სასიკეთოდ, რათა მათ თავი დაანებონ ბრძოლასა და მტრობას. (ფსალმუნთა განმარტება. 1996:177). 1912 წელს, ტრავმატისში სოლომონ მეფის საფლავი მოინახულა და აღწერა პ. შუბინსკიმ, რის საფუძველზეც ჩვენ შეგვიძლია დაწვრილებითი წარმოდგენა შეგვექმნას მეფის საფლავზე. მან საგანგებოდ დაათვალიერა და დაწვრილებით აღწერა საფლავზე დადგმული ეკვდერი. საფლავი მდებარეობს ტრავმატისში, ქალაქის ბაღთან ახლოს მთავარი ქუჩიდან მარჯვნივ 200 საჟენის გავლის შემდეგ კვლავ მარჯვნივ, ბერძნული ტაძრის მთავარი კარის მოპირდაპირე მხარეს, საკმაოდ დიდი

თბილისის ფორმის ეკვლეტი ჩანდა. ძეგლის მონახულების დროს მასთან (შუბინსკისთან) მისულა ტაძრის წინამძღვარი ანტონ-მანდრიტი პონარეტი, ანტიკონი და ტაძრის აღმასრულებელი ევანგელის ანტონი, ორივე მათგანი ახალგაზრდები და სიმპატიურები ყოფილან. მათ მოკრძალებით დაათვალიერებინეს სტუმარს ტაძარი და აჩვენეს ბრწყინვალე ხის ლუსკუმა, რომელიც ყოფილა ჩაბრძანებული პატარა ვერცხლის ლუსკუმა, მასში ჩაბრძანებული წმინდა სამების ხატით, რომელიც ტაძრისათვის მეფე სოლომონს შეუწირავს (Шубинский, 1913, 275-278).

ეკვლეტის გუმბათს შიგნით და გარეთ შერჩენილი ჰქონდა ლამაზი ფრესკული მხატვრობა, შიგნით თეთრი მარმარილოს ფილა; „ერთი შეხედვით სადა ბიზანტიური ნაგებობათა ტიპური ნიმუშის შთაბეჭდილებას ქმნიდა. საკმაოდ ამაღლებულ გზანიტის კვანძულბეჭე თონი ლამაზი სვეტია, რომელიც იმავე ქვის გუმბათითაა გადახურული, ნახევარწრიული ამონაკვეთებით, მონათული ორმაგი კანონით, რომელთა შუალედები ბიზანტიურ სტილითაა მონატული. გადახურულია კამბიტის სახურავით, რომლის ზემოთაც მთავსებულია პატარა თლილი ქვის კოშკურა, ლამაზი კანონით და დაგვირგვინებულია ლითონის ზვავითაა ჯვრით. ამ კოშკურის შიგნით, სოლომონ მეფის საფლავის თავზე მარად მანათობელი კანდელი ეკიდა (ამჟამად კანდელი არ არის). ძეგლის სიმაღლე ჯვრით დაახლოებით 10, სიგანე კი 5 არმინია, ძეგლი, როგორც ჩანს ახლანახს გაუანლებია გაუწაფავ ხელს, რის შედეგადაც დიდი ნაწილი წარწერებისა და მხატვრობისა წაშლილია, რომლითაც ძეგლი იყო დაფარული“ (გონიკიშვილი. 1974:68).

სოლომონ მეფის გარდაცვალებიდან, თითქმის ასი წლის შემდეგ მის საფლავზე კანდელი აღარ ენთო, თუმცა საფლავს, როგორც ჩანს მზრუნველობა მაინც არ აკლდა. საფლავის აღწერილობიდან ვიწმინდებით, რომ იესე დეკანოზმა იმ დროისათვის მართლაც გამოტრეული უკანასკნელი განსასვენებელი მოუწყო მეფეს. 1912 წლისათვის მხატვრობა მხოლოდ გუმბათის შიდა

მხარეს ყოფილა კარგად შემორჩენილი. „აქ ჯერ კიდევ ჩანს ბაგრატიონთა ლერძი, რომელშიც გამონახულია დავით მეფის შურდული, მისი ქნარი, უფლის კვართი, სამეფო სფერა და სასწორო-მეფური სიბრძნის ემბლემა. ეს ლერძი ეყრდნობა ორ ლომს, მის ზემოთ კი გამონახულია სამეფო გვირგვინი, სამეფოს ქვეშ, ლერძს ზემოთ გამოსახულია ვადაჯვარედინებული მახვილი და სკიპტრა, გვერდებზე ორი ფრთოსანი სერაფიმით... სოლომონ მეფის საფლავის მარმარილოს ფილაზე, ძველი ქართული ნუჯურით გაკეთებულია, დღეისათვის ნახევრად წაშლილი შემდეგი წარწერები „განმეძარძეა მე პირველქმნილი სიკეთე...“ (იქვე:69-70).

საქართველოს უკანასკნელი მონარქის საფლავზე ბაგრატიონთა გერბი და თავისი სიმბოლოები იყო გამონახული, რითაც ხანგას-მული იყო, რომ ბიბლიური დავით მეფის შთამომავალი ქართველი მეფე უცხოეთის მიწაზე აღესრულა. ბიბლიური დავითის სიმბოლიკასთან ერთად საფლავის წარწერაც დავით მეფესალმუნის 34 ფსალმუნის სიტყვები იყო.

საფლავის ფილის ქვედა ნაწილებზე სავსე დიდი ლაზნაკი ყოფილა, რომლის გვერდებზეც ორი კვიპაროსი იყო გამოსახული. ქართულ და ბერძნულ ენებზე შესრულებული წარწერები და მხატვრობა, რომლითაც დაფარული იყო ძეგლის გარე ნაწილები, რომლებიც დროთა განმავლობაში ჩამოცვენილა, სამწუხაროდ ჩვენ ბერძნული წარწერების შინაგანზე წარმოდგენა არ გვაქვს. პ. შუბინსკი ტაძრის დათვალიერების შემდეგ ყავაზე დაუბატიყვებიათ, სადაც მასთან მისულა ამავე ტაძრის მრევლი ბერძენი ეროვნების, სანდომიანი ვარეგნობის მამაკაცი და მისთვის სოლომონ მეფის შესახებ მოუყვლიდა. „სოლომონს აქ ჩამოჰყვა რამდენიმე ქართული თჯახი, რომლებიც მისი ვარდაცვალების შემდეგ დარჩნენ ტრაპიზონში საცხოვრებლად, ივერბულოს გვარით, მე ვკითხე მას თუ, რატომ დაკრძალეს ტრაპიზონელმა ბერძნებმა სოლომონი ასეთ საპატიო ადგილზე? რაზეც მან მიპასუხა: სოლომონი იყო ქრისტიანული სახელმწიფოს მეფე, ამასთანავე ის იყო ბიბლიური მეფე



დავითის შთამომავალი, რომელსაც მთელი ქრისტიანული სამყარო განადიდებს, ამის გამო მე ვფიქრობ, რომ ქვეყანაზე არცერთი ქრისტიანული ტაძარი არ აღმოჩნდებოდა, რომ არ მიეცათ ადგილი სოლომონ მეფის დასაკრძალად“ (ШУБИНСКИЙ. 1913:278).

ვფიქრობთ, ბერძენი ებრაელების მამაკაცის მსოფლმხედველობა სუფთა ქრისტიანული იყო, მისთვის სოლომონ მეფის ტრაპიზონის ქრისტიანულ ტაძარში დაკრძალვა სასიამოვნო ფაქტია. რუსი პ. შუბინსკი კი სოლომონ მეფეს უარყოფითად ახასიათებდა და შეუზღუდავად ტონით იხსენიებდა, როცა მას „მეფე ავანტიურისტად იხსენიებდა, რადგან მან არ შეაფასა საქმის გარემოება და სასტიკად შეეწინააღმდეგა დამთრჩილებოდა ბედს, რის გამოც მან დაკარგა ტახტი, თჯვანი, სამშობლო და აღესრულა დევნილებაში, ის შეეცადა თავისი სუსტი ხელებით შეეჩერებინა მსოფლიო ისტორიის ბორბალი და მკაცრად გადაიხადა ამის გამო“ (იქვე:285). მართალია სოლომონ მეფემ ვერ შეაჩერა ისტორიის ბორბალი, მაგრამ მან თავისი ვალი აღასრულა სამშობლოსა და ღვთის წინაშე და ამისათვის მან უდიდესი პატივისცემა და სიყვარული მიიღო თავისი (და არამარტო) ერისაგან. ამის დასტურია ერმილ ეფენდის სტატია, რომელიც გამოქვეყნდა 1909 წელს გაზეთ ღრთებაში. იმერეთის მეფე სოლომონ II-ის საფლავის ადგილი იცის ყველა ბერძენმა, დიდიან-პატარამდე, იკითხავ თუ არა მაშინვე მოგცემენ: „თ ბაზილევს სოლომონ“ (მეფე სოლომონით). ეს ადგილი ასვე იცის ყველა მაჰმადიანმა ქართველმა, საფლავი არის წმ. გრიგოლის სამიტროპოლიტო ეკლესიის გალავანში (ღღისათვის ეს ეკლესია აქ პირველია). სამხრეთს მხარეს, გამოჩენილ ადგილზე. დიდ პატივშია თურქი, როგორც დამაწმუნეს და კიდევაც ეტყობა, ყოველ საუფლო დღესასწაულზე სანთელს უნთებენ. გალავანში მეტი არავინ მარნია (ღრთება.1909,5თებ.). აღნიშნული ცნობით ვგებულობთ, რომ XX საუკუნის დამდეგს ბერძნები კვლავ პატივს მიაგებენ სოლომონ მეფის საფლავს, მაჰმადიანმა ქართველებმა კი საფლავის არსებობა იცინან.

1910 წელს სოლომონ მეფის საფლავი ინახულა დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა, იგი წერდა: „საფლავი აზ აზის კარგად შენახული და ზედ-წარწერაც ისე ცნოველია, თითქოს გუშინ გაუწერიათ. ფიქრებმა გამიჭაცეს. გამახსენდა იმერეთის ამ უკანასკნელი მეფის შავი დღეები. მისი დაპატიმრება, მისი გაქცევა და სათათრეთში თავის შეფარება. აბა ამანუა ნათქვამი „სადღური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესათ“, კიდევ კარგი, რომ ასე დაუძინავთ მაინც. მაშინ ამ გადაფარდნილ მეფეს თან გაჰყვა თრი სვიმონ წერეთელი და ალბათ იმათი მეტნებითაა ეს. დაუძინავთ და როცა დაბრუნებულან სამშობლოში, ისე მიუტოვებიათ, ასე სხეულის ამარად. საფლავის ქვაზე წარწერაც ალბათ მისი მოძღვრის, ყანჩაველის ხელითაა, იმ წმინდა მამის ხელით, რომელიც სამშობლოში აღაზ დაბრუნებულა, შევიდა ათონის მონასტერში და იქ იხსენიებდა წირვა-ლოცვის დროს“ (განათლება.1910.N7).

ასეთი იყო დიდი ქართველის გულისტკივილი სოლომონ მეფის საფლავის ხილვის შემდეგ, ხაზგასმით უნდა შევნიშნოთ, რომ აკაკის, მამა იესე წმინდანად მიიჩნდა, ჯერ კიდევ ასი წლის წინ, ვიდრე იგი წმინდანთა დასში შეირატყნებოდა.

ტრაპიზონის XIII საუკუნის წმიდა გზივალ ნოსელის სახელობის საკათედრო ტაძარი 1875 წელს გადაკეთებულა, ხოლო 1922 წელს თურქმა ფანატოკოსებმა ტაძარი და სოლომონ II-ის საფლავის ძეგლი ერთად დაანგრიეს. უცნობია თუ რა ბედი ეწია ტრაპიზონის ეკლესიის სიწმინდეებს და მათ შორის მოთქროვილ სახარებასა და წმინდა სამების ხატს, რომელიც სოლომონ მეფემ შესწირა ტაძარს. ამ შემთხვევიდან 68 წლის შემდეგ, სამშობლო-სათვის თავდადებული მეფის ნეშტი სამშობლოში გადმოასვენეს.

## იმერეთის უკანასკნელი დედოფალი მარია დედინო

მარიამ კაციას ასული დადიანი იყო იმერეთის სამეფოს უკანასკნელი დედოფალი. იგი თავის მეუღლე სოლომონ მეორესთან ერთად ღიზსეულად ასრულებდა თავის მისიას, ვიდრე იძულებით არ დაატოვებინეს საქართველო. თუკი თვალს გადავავლებთ სოლომონ მეორის შესახებ არსებულ გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ დოკუმენტებს, სიგელებს, წყალობის წიგნებსა და ა. შ. დავძწმუნდებით, რომ მარიამ დადიანი მთელი თავისი არსებით გვერდით უდგას თავის მეუღლეს საერთო თუ საეკლესიო საქმეების გადაწყვეტისას, მან უამრავი შესაწირი გაიღო ეკლესია-მონასტრების სასარგებლოდ. მარიამ დედოფლის ცნობებზე რადიკალურად შეიცვალა რუსეთში გადასახლების შემდეგ, სადაც მან სამ ათეულ წელზე მეტი დაყო და მისი ყოფა განსაკუთრებით დამძიმდა მან შემდეგ, რაც მან თავისი მეუღლის ტრაპიზონში ვარდაცვალების ამბავი შეიტყო, ამის შემდეგ მისი ერთადერთი საზრუნავი ტრაპიზონში ჩასვლა და სოლომონ მეფის გელათში გადასვენება იყო. გამწარებულმა დედოფალმა აზაქეთის ითხოვა ნებათავე რუსეთის ხელისუფლებისაგან, თუმცა ყოველთვის უარით უპასუხეს, რუსეთის გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა „მოღალატედ“ შერაცხილი, იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი უკანასკნელი მეფის გადასვენება მეფეთა საძეგლეში. საკუთარ მეუღლესა და სამშობლოზე ფიქრში დალია სული 1841 წელს უცხო მიწაზე იმერეთის უკანასკნელმა დედოფალმა. არსებობს მამა ალექსანდრეს ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს მარიამ დედოფალს რუსეთში ყოფნის დროს გაუჩინა საყვარელი, თუმცა ჩვენ ხელთ არსებული მასალები და თვით დედოფლის ქრისტიანული ცნობებზე და თავმდაბლობა აღნიშნულ ცნობას ერთობ საეჭვოდ ხდის. იმერეთის მომავალი დედოფალი აღიზარდა სამეგრელოში, იგი იყო სამეგრელოს მთავრის-კაცია დადიანის ასული. მარიამი იყო იმერეთის სახელოვანი მეფის

– სოლომონ პირველის ნათლული, იგი სოლომონს 1780 წლის ახლო ხანებში მოუნათლავს სამეგრელოში, სალხინოს მონასტერში, და „შემდგომად მზავლის ლხინისა და მზავლის საჩუქრისა მოვიდა მეფე კვალად ქუთაისს“ (დადიანი.1962:180). მარიაში ისედაც ენათესავებოდა სოლომონ პირველს, რადგან სოლომონის I-ის მეუღლე მარიაჲ დადიანი იყო მისი მამიდა. მისე ჯგანაშვილის ცნობით, მარიაში თავის მეუღლეზე ერთი წლით უმცროსი ყოფილა, აქედან გამომდინარე, მარიაში, სავაზაუდოდ, 1773 წელს უნდა დაბადებულიყო, ხოლო დავით არჩილის ძესთან ქორწინების შემდეგ მან სამეგრელო დატოვა დაახლოებით 1789 წელს.

1795 წელს სოლომონ მეფე ძლიერ დასნეულებულა, როგორც ამას გვაუწყებს მარიაჲ დედოფალი: „ჩემი მეფე იმერეთის ახალი სოლომონ სიცხისა მიერ სნეულებისა შეწუხებული სიკვდილიწვენიული განდილა... მივმართე ჩვენსა ღვთისმშობელსა მარიაჲს და ცრემლით შევთხოვე სავედრებელი სიტყვა და აღუთქვა მსახურება ღვთისმშობელსა გელათისასა და ისმინა მწუხარებით ვედრება ჩემი და მომცა რაცა ვთხოვე და განთავისუფლდა ხელმწიფე ჩემი მეფე“ (კაკაბაძე.1921:106). როგორც ამ სიგელიდან ვგებულობთ, სოლომონ მეფე სიცხის გამო კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რის გამოც მარიაჲ დედოფალს დახმარება გელათის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატისათვის უთხოვია და მისი თხოვნა აღსრულებულა და სოლომონ მეფე გადაარჩენილა. ჩვენთვის უცნობია, რამ გამოიწვია ავადმყოფობა და რამდენ ხანს იავადმყოფა მეფემ, თუმცა ფაქტია, რომ მისმა ღრმადმორწმუნე მეუღლემ, მარიაჲ დედოფალმა მსახურება აღუთქვა გელათის ღვთისმშობელს და ერთი კომლი შესწირა. არსებობს არაერთი შეწირულობის სიგელი, რომლებშიც დედოფალი მარიაში თავის მეუღლესთან ერთად შესაწირს არ იშურებს ეკლესია მონასტრებისადმი. 1795 წელსვე მარიაჲ დადიანი გოგნის მონასტერს სწირავს სახნავ-სათეს მიწებს, ღელესა და შავ წყალს შორის, ტყიბულის

წყალს ზევით (სცსა.ფ1451ს.16ზ.ფ.233). შემდეგ მარიამ დედოფალი გელათის მონასტერს სწირავს სოფელ შუამთას სახასო სამეფო მიწას, შუამთას დაბლა შაშვის ქელსა და ა. შ. (იქვე.ფ.171). მარიამ დადიანმა მეფის ნებაართვით ყოველგვარი გადასახადებისაგან გაათავისუფლა თბოლი ხოსია ღოღობერძიძე, რადგან ისინი ძალიან ღარიბები ყოფილან (Пурцеладзе. 1881:55). 1792 წელს მარიამ დედოფალი ქუთაისის სობოროს სწირავს ზაქარია თევდორაძეს ცალმეფილითა და ქონებით, ხოლო 1796 წელს ქუთაისში მცხოვრებებზე ებრაელ მარდანა შინაშვილს ცალ-მეფილითა და ქონებით (სცსა.ფ1451ს.16ფ.8-9). 1803 წელს დედოფალი მთწამეთის მონასტერს სწირავს ებრაელ შამიელაშვილს თავისი თჯვანით, ზემოთჩამოთვლილი ფაქტები ალბათ დედოფლის რეალურ სახეს გვიჩვენებს, ღრმადმოწმუნე დედოფალი ეკლესია-მონასტრების გაძლიერებისათვის, ქვრივ-თბოლითა დახმარებისათვის და სამეფოს გადაჭრენა-სიძლიერისათვის ყველაფერს აკეთებდა. ვიდრე იგი იძულებით არ გადასახლეს საკუთარი სამშობლოდან. 1810 წელს სოლომონ მეფის მეუღლე მარიამ დადიანი, სოლომონის და მარია (მაია), მეუღლე მალხაზ ანდრთნიკაშვილისა რუსეთში გადასახლეს. ამ დროიდან დედოფლის ღირსებიან, მუდამ გულკეთილ და მშვიდ სახეზე კაცი იშვიათად დაინახავდა ღიმილს, იგი ყოველთვის მწუნარებით იფონებდა თავის წაწსულს და თსმალეთში გადახვეწილ ბედშავ მეუღლეს (ჯეჯელი.1900:77).

მარიამ დედოფლის მდგომარეობა განსაკუთრებით გაუსაძლისი გახდა 1815 წლის შემდეგ, როცა მან შეიტყო სოლომონ მეფის გარდაცვალება. დედოფალი თავდაპირველად ქალაქ ვორონეჟში გადასახლებათ, შემდეგ კი პეტერბურგში, იქ დედოფლის მოღვაწეობის შესახებ ცნობებს გვაწვდის კოტონელი ბოროზდინის მოთხრობა „იმერეთის დედოფალი მარიამი“, რომელიც უთარგმნია ს. დავითიანს (ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე). პეტერბურგში, განმარტებულ ხის სახლში, ცხოვრობდა მოხუცი ქალი – იმ-

ერეთის დედოფალი მარიაში. თავის ცხოვრებას ის მშვიდად, სა-  
დად ატარებდა, სწავებან ძვირად დადიოდა, ტანთ იცვამდა თავის  
ერთგულ ტანისამოსს და უკვე მთხუცის სახეზე, კარგად ჩან-  
და უწინდელი მისი გასათუარი სილამაზის კვალი. დედოფლის  
შტატს შეადგენდა ზამდენიმე მასთან დაახლოებული ქალ-ვაჟი,  
მთხუცი და ახალგაზრდა. ყოველ კვირას დედოფალი სასახლის  
კარის კარტით მიდიოდა მანლობელ ეკლესიაში ნეველის ლავრაში  
ხოლო საუფლო დღესასწაულებსა და უქმე დღეებში ესწრებოდა  
სამეფო გამოსვლას და მეჯლისებს. სადღესასწაულო ტანისამოსი  
მისი ყოველთვის ერთნაირი იყო: თეთრი ატლასის კაბა, ასეთივე  
თქრომკედით ნაკერი ქათიბი, რომლის ქვეშ მოჩანდა წმ. ეკატ-  
ერინეს ორდენის ლენტი და ვარსკვლავი. ხოლო თავზე გაკეთე-  
ბული ჰქონდა თავსაკრავი ძვირფასი ქვებით შემკული და გრძელი  
ლენჩაქით დაფარული. მთხუც დედოფალს ძლიერ ეალერსებოდა  
თრივე იმპერატრიცა. ხელმწიფეც განსაკუთრებული მოწყალებით  
ეპყრობოდა, მაგრამ მის ღირსებით, სიკეთითა და სიმშვიდით სავსე  
სახეზე ძვირად თუ გაიზებნდა ღიმილი (ივერია.1903.№189). აღნი-  
ხულ შენვედრებზე დედოფლის გონება შთრეულ სამშობლოსა და  
საკუთარ ტანჯულ მეუღლეს დასტრიალებდა და შესაბამისად მას  
იმპერიის დედაქალაქ პეტერბურგში აზაფერი ახარებდა, რასაც  
მოწმობს მისი პირადი მოკრძალებული ცხოვრება. მარიაშ დადი-  
ანს ქმრის-სოლომონის გარდაცვალების ამბავი იმავე 1815 წლის  
16 მაისს შეუტყვია მთავარმარტოებელ რტიშივეისაგან, რომელიც  
აუწყებდა, რომ მისი დიდი ხნის თხოვნა პეტერბურგში გადასახ-  
ლების შესახებ დაკმაყოფილებული იქნებოდა, ვინაიდან მან ამ  
ხუთი წლის განმარტოებული ცხოვრებით, თავმდაბლობითა და  
სამაგალითო მითმინებით დიდი ნდობა დაიმსახურა. ამ საშინელ-  
მა ამბავმა ისეთი თავზარი დასცა დედოფალს, რომ ზამდენიმე  
ხანს ექიმებს კიდევ ემინოდათ, ვაი თუ, ჭკუაზე შეიშალოსთ. მა-  
გრამ, როცა მარიაში გონს მოვიდა და დამშვიდდა, საკვირველი

სიცნობელოთ წარმოუდგა თვალწინ თავისი ბედნიერი წარსული, მთავონდა ცოლ-ქმრობის პირველი უმფთოველნი წელნი. ქმარი, რომელიც გამმაგებით უყვარდა და შეუძლებელიც კი იყო ისეთი გულითადი, უვერბო, უკიდურესობამდე მიმნდობი და თუმცა ფიცნი, მაგრამ განუსაზღვრელად კეთილი კაცია არ ჰყვარებოდა, რომელიც იყო სოლომონი, მათდა სამწუნაროდ, თნი შეილი სიყმმეშივე მოუკვდათ, ხოლო შემდეგ კი დედოფალი უნაყოფოდ დარჩა (ივერია.1903:190). დედოფალმა მარიაამა ამის შემდეგ წერილი მისწერა ქუთაისში გენერალ სვიმონთვიჩს: „თ, რა თავზარდამცემი ამბავი მეუწყა: რისხვის ანგელოსი დაუცნობელის შურის ძიებით ჩემი მდევნელი და ბასრი მანვილით ჩემი გულის მჭრელი-ასე მოულოდნელად მისპობს ყოველ ბედნიერებას და უბედურს სულს ჩემსას აღაფებს განუწყვეტლივ თხვნითა და გოდებითა, როცა მე თვითონ უნდა აღვიარო დაკარგვა ჩემის მეფისა და ბატონისა. ან, რა გავუნარსა და უცნობ რამეს წარმოსთქვამს ჩემი ბაგე დღეს, რა გვარად იცვალა გონება ჩემი, რომელიც ამაცობდა თვისის ბედით, რადგან იხარებდა სოცოტხლით ჩემის ბატონის მეფისა და მთელთდა მის ხელში სულის დაღვევასა. ეხლა კი ყოველს სინარულს მოკლებული, სასთწარკვეთილობის მორევს მიცემული, და სასიკვდილოთ უკუნით მოცული, ასე დამსაჯა შეუბრალებელის მრისხანებით შემოქმედმა, რომელიმაც მიმიღო სინათლე ჩემის ყოფისა და მომაკლო უძვირფასესი განძი ისე, რომ არ დამიჯოვა ქვეყნად სინალისე, რადგან დამთენილი ვარ უმეკვიდროდ... გონება დაკარგული და უმწეთ მივცემივარ ცრემლთა ტალღებს, რომელნიც სწვავენ ჩემს არსებას... პორფირისა და გვირგვინის ნაცვლად, შემოსილ ვარ ძონძებით და მწუნარების ბასრი ისრები ჩხვლეტენ ჩემს გულს და უღმობელი მანვილი ჰკოდაფს ჩემს არსებას ... ამ მრავალ გვარ ჩემს მწუნარებას უფრო აღემატება და ყველაზე უფრო შეაძწუნებს სულს ის, რომ არ ვუწყვი სად და რა გვარად განისვენებს მისი უმაღლესი მეფური კეთილშობილებით შემკული

ცხედარი, უპატრონოდ უცხო ტომის სახლში, შეუფერებლად მისი მაღალი ღირსებისა და მე ველარ მოვესწარ იმ ბედნიერებას, რომ ვემსახურო მას: რის გამო ძნელა შემიძებნება და ვაფთხებულ-მა მინდა სული ჩემი ხორცთა გავეყარო, რათა ველიძსო მასთან შეერთებასა“.....

ამის შემდეგ დედოფალი მიმართავს სვიმონთვიჩს თხოვნით იშუადღომლოს მთავარმართებლის წინაშე, რათა აღუსრულონ მას ერთი და უკანასკნელი სათხოვაობი: მას სწადია „დასაფლავებისათვის საყვარელ ქმრის და ბატონის ცხედრისა, იმ მეფისა, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, რომელიც მხოლოდ თავისი ქვეყნის სიყვარულისათვის აღესრულა და დაშთენილ იქმნა აგრე უპატრონოდ, აი, ამ ძვირფასის ნეშთის, ჩემის საკუთარის ხარჯით გადმოსვენებისათვის გელათში დასაკრძალავად, დამტონ ნება, ჩავიდე ჩემს სამშობლოში, ამის გარეშე მე დღეს არაფერი მწადიან, არც თუ სახელი, არც დიდება და არც პატივი, და იქამდე თვით სიცოცხლეც კი არა. დამერწმუნეთ, რომ არა სამშობლოს ნახვისათვის და მისი სიყვარულისათვის დაარც სხვა რაიმე მოსაზრებით ვთხოვ მე ამას, რადგან მთელი ჩემი სიცოცხლე მიმაჩნია უკვე მარტოთდენ უქმად და აჩრდილად..... ვთხოვთ შემიწყნაროთ და დამენმაროთ ამ ჩემის ვედრების აღსრულებისთვის. გარეშე ამისა არ არსებობს ჩემთვის რაიმე ნუგეში და არ ძალუქს ადამიანის მანუგემოს მე რითიმე; გარეშე ამ წადილის აღსრულებისა – ამ ერთადერთ წადილისა, რათა ვაფხდე ღირსი შევეხო მის ძვირფას ცხედარს და ვემსახურო მას ბოლომდე, რაიც ჩემი უმაღლესი მოვალეობა არის. შეიწყალეთ სისხლის ცრემლების დამთხვევი და მუხლმთყობით მავედრებელი, რომელიც აქამდე მითხოვდა პატივის, ვითარცა გვირგვინთსანი დედოფალი, ენლა კი დამყარგველი საყვარელი ბატონისა თვისისა, რომლის გულისთვისცა სინაზულად მივიღებდი ყოველსა სასჯელსა, ხოლო ენლა ეს ყოველივე ჩემთვის ფუჭი გამხდარა.... ენლა თქვენის წიბილიდან ვტყობილობ, რომ



ნება მომეცემა გადავსახლდე საცხოვრებლად პეტერბურგში; თქვენ ეს გსურთ სთხოვთ მრავალმართებელს, მაგრამ ეს დღეს ჩემთვის აზარაა, თუ წინასწარ არ მომეცემა ნებათვა ჩემის სათხოვარის შესრულებისა. შემდეგ ჩემთვის სულ ერთია, სადაც ენობის ხელმწიფეს, იქ მიბრძანოს ცხოვრება... ამავე თხოვით მივმართე, მაშინ ჩემის საცოდავობით აღვავსებ მთელი რუსეთის საზოგადოებას, მოვისპობ რა საკუთარი ხელით ჩემს სიცოცხლეს“ (პაპავა1990:311). უდიდეს მწუხარებაში ჩავარდნილი დედოფალი სასაწარმოო მუშაობაში იყო მისული, მისი თხოვნა არ იქნა გათვალისწინებული და მას არ მიეცა შესაძლებლობა საქართველოში დაბრუნებისა, რათა თავისი მეუღლე გადმოესვენებინა ტრავმებიდან და ღირსეულად დაეცინებინა. არსებობს ცნობა, თითქოს დედოფალს ხელმწიფისთვის უთხოვია ივანე სალარიძის შეწყალება, რომელიც სოლომონს დაეხმარა გაქცევაში და ათი წელი იყო გასული მისი ციხიდან გადასახლებაიდან. საბოლოოდ ივანეს თავი დაუღწევია ციხიდან ტყვეობისათვის და მარიამ დედოფალს შეხვედრია, რომლისთვისაც მთელი მისი გასაჭირი მოუყოლია. სამწუხაროდ რამდენიმე ხნის შემდეგ, ივანე ავად გამხდარა და გარდაცვლილა, რის გამოც დედოფალი ძლიერ დამწუხრებულია (ჯეჯელი.1900:77).

რუსეთში მყოფ დედოფალს ურთიერთობა ჰქონია, სოლომონ მეფის მოძღვარ ილარიონ ყანჩაველთან, რომელმაც 1817 წლის 23 აპრილს მარიამ დედოფალს წერილი გაუგზავნა, რომელშიც იგი სოლომონ მეფის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ამბავს აცხობინებდა. ამავე წერილში მეფის მოძღვარი დედოფალს თავის კუთვნილი ხატის პირდაპირ რუსეთში ჩატანის შესახებ აუწყებდა. ხელნაწერთა ერთგულ ცენტრში დაცულია მარიამ დედოფლის გრიგოლ წერეთლისადმი გამოგზავნილი წერილები, რომლებიც 1810-1815 წლებშია გამოგზავნილი რუსეთიდან, ყველა წერილი ძალზე შთაბეჭდავია. „ქ. სახლთნუცვისს ძე გრიგოლ! რატომ არ გიკვირს ჩემი სიცოცხლე, რომ მეფე გადავარდნილი მეგულებოდეს

და მე ვცოცხლობდე... მეჩქმუნე გრიგოლ. რომ ალექსანდრე მაკედონელსაგით ცასქვემეთი დაიპყრას, მაშინაც ზურაბ სახუცისა და მისი ცოლისა და შვილისათვის ფუჭი არის უმეფოდ... მეფე რომ წახდეს, სიკვდილი გეზრინთ, თორემ დიდება ზაღათ გინდათ... მზავალი სიტყვა მაქვს, მაგრამ წიგნათ არ შემოითვლება და პირათ ვერ გზახე და ზა ვქნა. შესხელა კაცს ჭკუა უმართებს. მეფის თრგულთბამი ნუ შენვალთ, გამობრუნებას ეცადეთ მეფისას და თორემ საუკუნოდ წახდებით“ (ისტ. დოკ. და არქ. II. 1953:120). ზოგორც ჩანს ეს წერილი დედოფალს ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას აქვს გაზგზანილი და გრიგოლ წერეთელს მეფის ერთგულებისაკენ მოუწოდებს, ზოცა სოლომონი ჯერ კიდევ არ იყო განდევნილი იმერეთიდან. ერთ-ერთი წერილი ზუსეთიდან არის გაზგზანილი, რომელშიც დედოფალი თითქოს შეგუებულია თავის ბედს, ამ დროს სოლომონ მეფე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო: „ის კი ვიცი იმერეთს ჩემი მიყვანა არავის შეუძლია და არც არავის შევარყენ თავს. ვილოცავ და ვეგდები, სულით მაინც ვცხონდები და ვმადლობ დემეტოს ლოცვა და წირვა თუ ზა ყოველივე კეთილი ზუსეთშიდ ყოფილა. დემეტოს თურბე ვებზალებთდი და აქ ამისთვის მომავდო. მე აღარავის შევარყენ ჩემის შევლისთვის თავს. ქმრისგანაც მოძაგებული ვარ და ყოველს კეთილისმყოფელისგან. დედისჩემის თუ ჩემის ძმების და დების წიგნს გიბთებდე“ (იქვე:119). მართლაც ზოთული იყო მარია დედოფლის ყოფა, იგი იძულებით წაიყვანეს სამშობლოდან და წავრთვა მას დედასთან, დებთან და ძმებთან ურთიერთობის შესაძლებლობა. თუმცა ფაქტია, რომ თავის ახლობლებთან ურთიერთობაში დედოფალს გრიგოლ წერეთელი ეხმარებოდა. დედოფალი ვანსაკუთრებით მკაცრია ერთ-ერთ წერილში გრიგოლ წერეთლის მიმართ: „თუკი ნამუსი გაქვს და ან კაცი ხარ, თავიც უნდა მოიყლა. სხვა ბჭობათ თქვეს რომ სახუცესმა... მეფე ვასაჭიწშიდ არის და შენ სად ხარ, არ იცი, თუ დასტურ მამაშენმა ზუსს შეფიცა. შენ ახლავ ბატონს წიგნი ახელი და

იახელი, მასთან მიიკალი თავი, როგორც მან გიბრძანოს, თორემ მეტწმუნე სიკვდილი გიბრძენია სიციცხლეს. ეს წიგნი აზავის აჩვენოთ დასწვი თუ გიყვარდე“ (იქვე:117-118). მიუხედავად დედოფლის ასეთი შეგონებისა, გრიგოლ წერეთელმა ვერ უერთგულა საკუთარ მეფეს და სამშობლოს სამსახურს პირადი კეთილდღეობა აჩიოა, გრიგოლმა იმერეთის უკანასკნელ დედოფალს ატყა ის ბოლო თონა შეუსრულა, როცა იგი წერილის დაწვას სთხოვდა.

ჩვენამდე მთაწვია ასევე მანამ დედოფლის უთარილო წერილმა, რომელიც მას გაუგზავნია ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითესისადმი. წერილი სოლომონ მეფის გაზდაცვალების შემდეგაა გაზავნილი და მეტად საინტერესოა. იმერეთის უკანასკნელი დედოფალი საკუთარ მძიმე ხედვასა და ღრმა ტკივილზე საუბრობს: „თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ ქუთათელ მიტროპოლიტო დოსითესო! მამათ საყვარელო ძმაო და მანლო ჩემო, თდეს განხენეს რისხვით საქანელნი ცისანი წარღვნად და აღსაწყვეტელად ყოვლისა ქვეყნისა, და ეპა ვაი მყის მსგავსი მოიწია ჩემდამთ და შთავარდი მე უქვეითურსა ფსკერსა უფსკრულისასა და დამოთმილ ვიქმენ მძაფრსა მზავალ დეღვასა ზღვისა მიერ, რომლისა აზავინ მატქეს მოხვანამნე და ატყა მოველი კბოდესა მის დეღვისასა და ვიმყოფები საუკუნთდ დაუსრულეებელსა ბნელსა უკუნსა და დავიფარა ქუთათითა და შავითა ბრწყინვალეობაი ჩემი“ (ივერია.1879:139)\*.

წერილი ზუსტად გადმოგვცემს დედოფლის განწყობას და იმ უმძიმეს განცდებს, რომელსაც იგი გრძობდა რუსეთში ყოფნისას,

\*როგორც ჩანს რუსეთში გადასახლებული ქართველი დედოფლები ფინანსურად უზრუნველყოფილნი იყვნენ. საქართველოს თთხ დედოფალს: ერეკლე II-ის მეუღლეს დარბიას, გიორგი XII-ის მეუღლეს მარბიამს, იმერეთის დედოფლებს – დავითის მეუღლეს – ანას, სოლომონ II-ის მეუღლეს მარბიამს და ბოლოს, სამეგრელოს მმართველს ნინას საკმაოდ კარგი პირობები ჰქონდათ შექმნილი რუსეთის მთავრობის მიერ (გონიკიშვილი.1986: 262).

იგი დასატირის ტახტის დაკარგვასა და თავისი საყვარელი მეუღლის უცნობ მიწაზე გარდაცვალებას: „შეიძუსრა ამალღებული ტახტი ჩემი, დაეცნეს განბრწყინებული პალატი ჩემი, და ბინდოვან იქმნეს შარავანდენი გვირგვინისა ჩემისანი, განიპო პოტფირი მეფობისა ჩემისა და დაშობიტეს თრნივე სახედველნი ჩემნი, და დაიბღვეს ყოველნი ალაგნი ჩემნი, და იავარ იქმნეს ჩემთვის სამეფონი ჩემნი და ნაცვლად სინარულისა ჩემისა მწუნარებაი, ნაცვლად განცხრობისა ჩემისა და შვებისა ჩემისა ტირილი საუკუნთ, ნაცვლად დიდებისა სიმდაბლე, ნაცვლად თავისუფლებისა ტყვეობა, ნაცვლად სიმდიდრისა სიგლახაკე და ყოველი ძვირი ხილულება, რომლისა ენა კაცობრივი ვერ შემძლებელ არს აღწერად“...

მაგრამ დედოფლისთვის ყველაზე რთული მისი მეუღლის უძეოდ გარდაცვალება იყო. ამასთანავე მარიაში დოსითეოს მიტროპოლიტისა და სოლომონ მეფის განსაკუთრებულ სიყვარულზეც საუბრობს, რასაც ადასტურებს სოლომონ მეფის წერილი, რომელიც მან მიტროპოლიტ დოსითეოსს მისწერა ახალციხიდან 1810 წელს.

შემდგომ მარია დედოფალი კვლავ აგრძელებს საკუთარი გულისტკივილის გამოხატვას: „ესევითარი და უძვირესნი და უსასტიკესნი და უწინარესნი ნადვლისა და უმკვეთლესი მანვილისა თრპირისა მოიწია ჩემდამთ ზეწოლით ჩემის ხელმწიფის მეფე სოლომონის უჟამოდ უცხობებასა შინა გარდაცვალება... ვაი ყოვლადუსამღველოესო, სად არს შენ მიერ შეყვარებული მეფე სოლომონ? ველარ შეამკობ დღესასწაულსა ბრწყინვალესა მის აღდგომისასა, აღარ ინებებ სასახლესა მისსა წირვასა ქალაქსა შინა ქუთაისს, არღარა მიეგებები მეფე სოლომონს ჯვარითა და ლაშქრითა და ჩვეულებისამებრ არა ამბოტს გიყოფს და არა მიულოცავთ დღესასწაულსა. შემოგჩივი და შემოგტირი ჩემის ხელმწიფის მეფე სოლომონის გამიწებასა და მის უძეთთ აღმოფხვრასა. ვაი რადღან გელაპარაკები, ვითარ იტირის ქვეყანა ესე უნდოსა და მწუნარებისა ჩემისა, რომელ მეფე იგი მშვიდი და მდაბალი და

მართალი და ესრეთ განქარდა და აზავინ დამთა თვინიერ ჩემსა და უბედურისა დისა მისისა მაიასასა, რომელიცა ვართ ერთი-აზს სისხლის ცრემლით შემტირაზნი და მწარის გოდებითა მყოფნი“ (იქვე:140). დედოფალი სიყვარულით იფონებდა იმ დღოს, როცა მღვდელმთავარი ლიჭურგიას აღასრულებდა ქუთაისის სასახლის ეკლესიაში და სოლომონ მეფეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ულტავდა. მარიაში ანასიათებს საკუთარ მეუღლეს და მას „მშვიდს, მდაბალსა და მართალს“ უწოდებს. დედოფალი გამხნეებას ითხოვდა მღვდელმთავრისაგან, რომელიც რამდენიმე წელიწადში სოლომონ მეფისა და მარიაშის ბედს გაიზიარებდა და პატარა იმერეთს იძულებით დატოვებდა. მარიამ დადიანი აწ გარდაცვლილ მეუღლეს უკვე წმინდანთა დასში მოიპოვებდა, ხოლო საკუთარ თავს მკვდართა თანა შეტაცხილად თვლიდა: „ვამ ყოვლადუსამღვდელოესთ, მშვენიერი მეფე სოლომონის თავი შავი მიწითა იფარვის ყოველი შვება და სიხარული! მივლოვდით ცანი და ქვეყანა და ყოველნი ნათესავნი და მხილველნი ჩემნი და მეფე სოლომონისა. მე და მეფე სოლომონს, ვინაითგან ვიქმნენით თნივე უცხობესა შინ მღებარე, მაგრამ იგი განისვენებს ზეცისა სამყოფსა და წიაღთა შინა აბრამისათა დავით მამისა თავისისთანა მსგავსად აბელისა და მოიღებს მჩობლისა მოსვლასა ქრისტესა, რომელიცა დაკლებულ იქმნა მისადმი სოფელსა ამას შინა და მე საუკუნოდ ვიწეები აღითა და მაქვს მე საუკუნოდ სიკვდილი და გოდება დაუცხრომლად უსამღვდელოესობისა. მწუნარების მოწადე უბედური, მკვდართა თანა შეტაცხილი იმერეთის დედოფალი, დადიანის კაცისა ასული მარია“.

ასეთია საქართველოს უკანასკნელი დედოფლის მარია დადიანის წერილი, მისთვის ერთ-ერთი უახლოესი მღვდელმთავრისადმი. წერილი, რომელშიც დედოფალი თავის დიდ ტკივილს- სამშობლოსა და საყვარელი მეუღლის დაკარგვას ასე მისტირის, სავსეა სულიერი განცდებით, სახეზე გვაქვს მისი ღრმა საწმუნოებრივი

თვალთახედვად იმ პერიოდის მოვლენებზე. წერილი კიდევ ერთხელ გვაძლევს საშუალებას, მართებული აზრი შეგვექმნას სამშობლოზე ასე უზომოდ შეყვარებულ პიროვნებაზე, რომელიც საკუთარ ყოფას ტყვეობას ადარებს და მასზე გლოვას ცასა და ქვეყანას სთხოვს. აზრები იცის, რა როლი ითამაშა აღნიშნულმა წერილმა 1819-1820 წლის აჯანყების საქმეში, თუმცა ფაქტია, რომ დღესაც კი სულით-ხორცამდე შეძრავს ნებისმიერ ქართველს უკანასკნელი დედოფლის ტკივილიანი წერილი. დვარდნილის დედოფალი 1841 წლის 19 მარტს აღესრულა რუსეთში (Думин, Гревелски.1996:91). დასაფლავებულია რუსეთშივე, მარი ბროსის ცნობით დედოფალი მარიამი დაკრძალეს პეტერბურგში, ნევის საკრებულო ტაძარში. სამწუხაროდ, დედოფლის სასუკვარი ოცნება სამშობლოში დაბრუნებისა ოცნებად დარჩა. ვ. პეტროვის 1850 წლის ცნობით, რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ქართლ-კახეთის დედოფალი უნდა დასაფლავებულიყო ისევე, როგორც დასაფლავდა იმერეთის დედოფალი მარიამი 1841 წელს. დედოფალი ველარ მოესწრო ვერც სამშობლოს ხილვასა და ვერც საყვარელი ქმრის გადმოსვენებას, ისე დალია შორეულ პეტერბურგში სული. მისი ცნებარა პეტერბურგში დაიკრძალა და მას არც ის წადილი ასრულებია, რომ სამშობლოში წავსვენებინათ, როგორც ეს ქართლ-კახეთის დედოფალს ხვდა წილად (ბაბაია1990:321). სოლომონ მეფის ერთგულ მეუღლეს მარიამ დედოფალსა და სოლომონის დას მარიამს, სიცოცხლის ბოლომდე ან შეუწყვეტიათ ფიქრი საკუთარ სამშობლოსა და პატარა იმერეთის სახელოვან მეფე სოლომონზე, ასეთი მძიმე ცნობრება განვლო სამმა ღირსეულმა ადამიანმა: სოლომონ მეფემ, მისმა დამ მარიამმა და სოლომონის მეუღლე მარიამ დედოფალმა.

## სოლომონ მეფის ნაშტის ჩამოსვენება ტრავაზონიონი

ტრავაზონიონში გარდაცვლილი საქართველოს უკანასკნელი მეფის სოლომონის საქართველოში გადმოსვენება, რუსეთში მყოფ მისი მეუღლის მარია დადიანის უდიდესი სურვილი იყო, თუმცა რუსეთის ხელისუფლების უმაღლესმა წარმომადგენლებმა მას ამის უფლება არ მისცეს. სოლომონ მეფის საფლავზე მისვლისა და პატივისცემის შესაძლებლობა 1815 წლიდან 1922 წლამდე იყო შესაძლებელი. როგორც აღვნიშნეთ, 1922 წელს თურქმა ფანატოკოსებმა დაანგზიეს ტრავაზონის წმინდა გრიგოლ ნოსელის სახელობის ეკლესია და მასთან ერთად სოლომონ მეორის ეკვედრიც.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქის რეკონსტრუქცია განხორციელდა, თუმცა აღნიშნულ ადგილზე ნაგებობა არ აგებულა. 1990 წლის ზაფხულში ქუთაისის სამეცნიერო წრეებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირეს, საქართველოს მინისტრისტული პარტიის თათნობით წამოყენებულ იდეას, რომ „ვიდრე საბოლოოდ არ დაკარგულა სოლომონ მეფის საფლავის მიგნების იმედი, ეთნოგოს თურქეთის მთავრობას სოლომონ მეორის ნეშტის საქართველოში გადმოსვენების ნებათვა“. იმავე წლის 8 აგვისტოს, საქალაქო საბჭოს აღმასკომმა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში დახმარების თხოვნით, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა. ამის შემდეგ შეიქმნა თურქეთიდან გადმოსვენების და დაკრძალვის სათრგანიზაციო კომიტეტი.

გზით ქუთაისის ფურცლებზე, ამ პერიოდის მოვლენები თითქმის დეტალურადაა გადმოცემული. სოლომონ მეფის ნეშტის გადმოსვენების ინიციატორები მინისტრისტული პარტიის წევრები ვიოტო ნულოია და თემურ გედენიძე იყვნენ. მეფის ნეშტის ადგილსამყოფელის დასადგენად და გადმოსვენების რესპუბლიკური ჯგუფის მოწამბაში მისაღებად თურქეთში გამგზავრებისთვის საქალაქო აღმასკომმა რეკომენდაცია მისცა კომიტეტის წევრს მეუფე კალ-

ისტრატეს (მარგალიტაშვილი), აკაკი წერეთლის სახელობის უნი-  
ვერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეს პეტრე  
ვაჭრიძეს, მონარქისტული პარტიის წევრს ვიქტორი წულაიას და  
სტუდენტ დიმიტრი კობალიანს (ქუთაისი.1990:31 თქტ.).

დელეგაცია, რომელიც თურქეთში გამგზავნა სარგებლობ-  
და გერმანელი არქიტექტორის და არქეოლოგის რუკით, სადაც  
მონიშნული იყო საფლავის სავარაუდო ადგილი 60 კვადრატული  
მეტრის ადგილი. 1990 წლის 10 ნოემბერს გამოქვეყნდა სოლო-  
მონ მეორის ნეშტის თურქეთიდან გადმოსვენების და გელათში  
დაკრძალვის საქალაქო საორგანიზაციო კომიტეტის წევრ ვია ბან-  
ტაძის განცხადება: „ტრაპიზონში სოლომონ მეორის ნეშტთან  
ერთად აღმოჩნდა ოთხი სხვა ნეშტი, ისინი ინახებოდა ტრაპიზონის  
სასტუმროს იმავე ნომერში, სადაც იმყოფებოდა საქართველო-  
დან წარგზავნილი ჯგუფი“. ქალაქ ტრაპიზონის გუბერნატორმა,  
პოლიციის წარმომადგენლების თანხლებით ჩვენ ჯგუფს ხუთივე  
ნეშტი ჩამოაბრთვა, შემდეგ ოთხი ნეშტი წაიღეს და საკმაოდ პატივ-  
ით დაკრძალეს, მერუთე თავად სოლომონ მეორისა კი გადაიტანეს  
ტრაპიზონის აია-სოფიას ეკლესიაში, რომელიც მუზეუმი იყო ამ  
დროისათვის. ამასთანავე დადგინდა ჩამოსვენების მანქანა: „გამოს-  
ვლა ტრაპიზონიდან, ქართველების დახვედრა გონივრით, ბათუმში  
მეფის ნეშტს დაასვენებენ ღვთისმშობლის ეკლესიაში, იმავე დილ-  
ით შეეუღლებინით ვადასვლა ანალოცხეში, ანალოცხიდან კი თბი-  
ლისში თავისუფლების მოედნის გავლით სინის ტაძარში, სადაც  
მეორე დღეს უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს  
კათალიკოს-პატრიარქი ილია II აღაფლენდა ლოცვას. ამის შემდეგ  
მცხეთაში, გორში და ზესტაფონში შეჩერდებოდნენ თითო-თითო  
დღე, ქუთაისში მეფის ნეშტი უნდა ჩაესვენებინათ ბაღდათის გზით,  
საიდანაც 180 წლის წინ მან საბოლოოდ დატოვა თავისი საყვა-  
რელი სამშობლო. ქუთაისში მეფის ნეშტს დაასვენებდნენ ანლად-  
ნაკურთხ სამეფო რეზიდენციაში თქრის ჩარდახში, შემდეგ კი დაი-  
კრძალებოდა გელათის სამეფო მონასტერში (იქვე.1990.10ნომბ.).

ძალზე შთაბეჭდავია 1990 წლის 21 ნოემბრის მამუკა ჭონიშ-  
ვილის სტატია „დაბრუნება: „საქართველოს დელეგაცია მეფის



ნემსითურთ საზღვარს მთაღვა, ფორმალთებმა საათნანგვარს გასტანა, აი გამოჩინდნენ ქართველები, რომლებიც უჩვეულო ვიზიტი იყვნენ ტრაპიზონში, წინ მეუფე კალისტრატე მოუძღვება საზღვარზე. პირველი სიტყვა გვითხრობს მონარქისტული პარტიის თავმჯდომარემ თემურ ჟორჯოლიანმა, „გაქცეული, გაძევებული და მიტოვებული მეფე დაუბრუნდა საქართველოს. იგი ბრუნდება, როგორც ტრიუმფატორი და ეს იქნება საქართველოს თავისუფლების და გამარჯვების მასწავლებელი, კვირის თავზე მთელი საქართველო იქნება ქუთაისში, გელათში“.

პროფესორი გუჩამ შარაძე: „ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენის წინაშე ვდგავართ. საქართველოს უკანასკნელი მონარქი სოლომონ II ბაგრატიონი დაუბრუნდა თავის ქრისტიანულ სამშობლოს და რამდენიმე დღეში გელათში დავკრძალავთ კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. ტრაპიზონში ცერემონიალი იყო შესანიშნავად ორგანიზებული. მას ესწრებოდა საბჭოთა კავშირის ელჩი თურქეთში ჩერნიშოვი, მისი პირველი მთადგოველი ქართველი კაცი ვალტერ შონია, ანკარიდან სპეციალურად კულტურის მინისტრი, დაესწრნენ ტრაპიზონის გუბერნატორი, ქალაქის მერი, თურქეთის პარლამენტის დეპუტატები, რაც მთავარია ჩვენ მოვანერხეთ ქრისტიანული წესით პანამედიის გადახდა, რომელიც ჩაატარა მეუფე კალისტრატემ. ქართველ ცნენოსანთა რაზმი შეეგება მიზონცხებულ მეფის ნემსს. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართველი ვაჟკაცები კუბოს წაღებაში, ასე ფეხით ცნენოსანთა თანხლებით მისვლენს მეფე გონიოს ცხენმდე... ღვთისმშობლის ტაძარმა ვერ დაიჭია მომსვლელები, იმისდა მიუხედავად, რომ ნამუადღევი იყო“ (ქუთაისი.1990.21 ნოემბ.).

1990 წლის 22 ნოემბერს იმერეთის სახელგვანი მეფე სოლომონი თავის მშობლიურ ქალაქ ქუთაისს მთაღვა. „ამაღლებული იყო ვარცხენი მეფის შემობრძანება ქართული დროშების ფრიალით, საწვიმთ მღუმარებით ჩაუქროლა მანქანების კორტეჟმა იმ სანახებს, სადაც მრავალი ათეული წლების წინათ თონი ათასი ქართველი მეომრით იცავდა იმერთა თავის მრავალტანჯულ კუთხეს. ქუთაისს შემოსასვლელში ჩიხოსანი მხედრების ამაღლა შემთევება სასიქადუ-

ლო მამულიშვილს. სასახლე საგანგებო ბაღდაძინზე დადგეს და თონბა საუცხთო ცხენმა ნელა განაგრძო სვლა. სოლომონ II თქმის ჩარდახში შეაბრძანეს. მეუფე კალისტრატემ პანაშვიდი აღასრულა, სანთლებით ხელში მიეხალა მეფის ნეშტს ათასობით ქართველი. 23 ნოემბრის თქმის ჩარდახიდან მეფის ნეშტი გადასვენებულ იქნა საქართველოს მეფეთა ტრადიციულ საძვალეში გელათის მთავარ ტაძარში. პანაშვიდი აღასრულა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ“ (ქუთაისი, 1990: 22 ნოემბ.).

რამდენიმე დღით ადრე სოლომონ მეფის ჩამოსვენების დღეს, კათალიკოს-პატრიარქმა სიონის საკათედრო ტაძარში ქადაგება წაბრძანა: „ზოგიერთს ღმერთი ერის ჯვარს აძლევს, ამგვარ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა დიდი მეფე სოლომონ II, ვინც მრავალი ათეული წლის განმტკიცების შემდეგ კვლავ დაბრუნდა საქართველოში, უფლის ნებით დღეს იგი დიდებით შემთავიჯებს ჩვენს დედაქალაქში. სოლომონ მეორეს უჭირდა ერის მძიმე ჯვრის ტარება, მწუხარებით, გოდებით, მაგრამ მაინც მიიჭანა ბოლომდე და დღეს თავისი ჯვრით დაბრუნდა საქართველოში, რათა საბოლოოდ დამკვიდრდეს მამა-პაპათა საგანში, გელათის ტაძარში. მართლაც მეტად მძიმე იყო მისი ჯვარი, რაღა არ დაატყდა თავს: დევნა, ღალატი, იმყოფებოდა ექსორიასა შინა, შიშს მამულიდან, მაგრამ თვით უმძიმეს ჟამსაც კი არ დაუკარგეს რწმენა და სიყვარული. და აი დღეს უკვე საქართველოშია მისი ნეშტი. გუშინ ღვთის მადლით იგი ბათუმში ჩამოსვენეს, დღეს კი ანალოცის გამთვლით თბილისში ჩამობრძანდება. ხალხი მას შეწვდება ვაკეში, საიდანაც ხელით წამოსვენებენ სიონში, იქ შესრულდება დიდი პანაშვიდი, ხოლო შემდეგ გადავასვენებთ სვეტიცხოველში, საიდანაც უკვე გაემზავრება ქუთაისისკენ და დააკრძალება გელათში. მეფე სოლომონ II-ის ნეშტის გადმოსვენება არ არის უბრალო ფაქტი, მე ვფიქრობ, რომ მას ღვთისაგან ბოძებული დიდი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. საქართველოს უკანასკნელი მეფის დაბრუნებით, ჩვენ ქვეყანასაც დაუბრუნდება ღვთის მადლი. ამინ“.

24 ნოემბრის დღის თრ საათზე სოლომონ მეფის ნეშტი დაკრძალეს გელათის მთავარ ტაძარში, ღვთისმშობლის შობის სახელო-

ბის ტაძრის სამხრეთ დასავლეთ მხარეს გაჭრილ სამარეში, მისი სახელოვანი ბიძის სოლომონ I-ის საფლავის მოპირდაპირე მხარეს. საფლავის ქვად გამოიყენეს ეკლარის ქვა, რომელზეც ამოკვეთეს ფსალმუნის სიტყვები.

175 წლის შემდეგ მრავალტანჯული გმირი მეფე დაუბრუნდა თავის სავანეს, რომელსაც მან მიწიერი სამთხვე უწოდა. სამშობლოში დაბრუნდა, როგორც ერთგული გმირი და საქართველოს აზაერო ქალაქში მას მადლიერმა ქართველობამ ღირსეული პატივი მიაგო თავდადებულ მეფეს. სოლომონ მეფის უთანასწორო ბრძოლას მტრის წინააღმდეგ უკვალოდ აზ ჩაუვლია. საოცარია, რომ მისი ჩამოსვენების მომდევნო წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, რაზეც ისაუბრა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, როცა მან აღნიშნა, რომ ამ ფაქტს „ღვთისგან ბოძებული დიდი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს“.

2005 წლის 25 ივნისს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანთა დასში შერაცხა იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე და მას თავისი დიდი ღვაწლის გამო სამშობლოსათვის თავდადებული ეწოდა. დაწესდა მეფის მოსახსენიებელი დღე 20 თებერვალი ანალი და ძველი სტილით 7 თებერვალი, დაიწვა ნატი, ხოლო შემდგომში ქუთაისში აიგო სოლომონ მეფის სახელობის ეკლესია\*.

\* შევნიშნავთ, რომ ქალაქ ქუთაისში 2008 წლიდან მოქმედებს წმინდა მღვდელმთავარ დოსითეოს წერეთლის სახელობის ეკლესია, 2010 წლიდან სოლომონ მეფის სახელობის ეკლესია, ხოლო 2011 წლიდან წმინდა მღვდელმთავარ ექვთიმე გაენათელის სახელობის ეკლესია. სამივე ეკლესია ბაზილიკური ტიპის ნაგებობებია და ყველა მათგანი ავტოქაზნის დასახლებებში მდებარეობს. ქუთაისში საფიჩხიის ტერიტორიაზე აწესებებს სოლომონ მეფის ქუჩა. სოლომონ მეფისა და მღვდელმთავრების ნატების ავტორია ნატმწერი რობინონ რევიმეილი.

## ბრძოლა იმერეთის სამეფოს აღდგენისათვის, 1819-1820 წლის აჯანყება

ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა თვითმყოფადობის აღსადგენად არ შეწყვეტილა სოლომონ მეტრის გარდაცვალების შემდეგაც. იმერეთის განთავისუფლებასზე ფიქრი სოლომონის ერთგულ მამულიშვილებს არასოდეს შეუწყვეტიათ, ამასზე ზრუნვა გააქტიურდა მას შემდეგ, რაც იმერეთში დაიწყო დაბრუნება მეფის ერთგულმა თანამებრძოლებმა და რუსულ მთავრობასთან შერიგება გადაწყვიტეს. ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორი სოლომონ მეფის სიძე მალხაზ ანდრთიკაშვილი ყოფილა, რომელიც ერევნის გავლით დაბრუნებულა სამშობლოში 1815 წელს, მასვე შეუდგენია განთავისუფლების ფარული გეგმა. ამ ღრთისათვის მალხაზ ანდრთიკაშვილის მეუღლე მათა რუსეთში ქალაქ ეთრთნეში იმყოფებოდა. მართალია 1819 წელს აჯანყება საეკლესიო საკითხის გამწვავების გამო დაიწყო, თუმცა იგი სოლომონ მეფის მიერ დაწყებული ბრძოლის გაგრძელება იყო, რადგან აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში იმერეთში მეფობა უნდა აღდგენილიყო. მთავრების დადიანისა და გურიელის, ასევე იმერეთის უძლიერესი თავადის სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის არასწორმა პოლიტიკამ, რომელიც საკუთარი კანონიერი მეფის წინააღმდეგ იყო მიმართული და პირად კეთილდღეობასა და თვითგანდიდებაზე იყო დაფუძნებული, შედეგი არ გამოიღო, რადგან მათ ძლევამოსილი იმპერიის დაკრულზე ითამაშეს და ხაზბად დაეწაფნენ რუსულ ოქროსა და ჩინ-მედელებს. მათი დახმარებით რუსეთმა აისრულა თავისი მიზანი, რომლის შემდეგაც დამორჩილების პოლიტიკა მის მოკავშირეებთანაც ბუნებრივად განახორციელა. ამას აღსაჭურებს 1819-1820 წლის აჯანყების მსგელოლობა, როგორც სამეგრელოს, ასევე გურიის დედოფლები დიდებულებთან ერთად დაწმუნდნენ იმ არასწორ პოლიტიკაში, რომელიც 1809-1810 წლებში აწარმოეს სამეგრელოსა და გურიის მიმართველებმა, რომლებმაც გაუიოლეს რუსებს იმერეთის დაპყრობა.

ავჯანყება დაიწყო 1819 წელს, როდესაც იმერეთში საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე ჩავიდა და ეკლესია-მონასტრების ქონების აღწერა დაიწყო იმერეთში, სამეგრელოსა და გურიამი. რეფორმის დროს მღვდლების ნაწილი ხელფასზე გადაიყვანეს, ხოლო დიდი ნაწილი კი შეამცირეს. ქუთაისის ეპარქიაში 72 ტაძრიდან და 105 ღვთისმსახურისგან 37 ტაძარი და 39 ღვთისმსახური დატოვეს, ხონში 42 ტაძრიდან და 59 ღვთისმსახურიდან 25 ტაძარი და 23 ღვთისმსახური დარჩა (Махарадзе.1942:57). ღვთისმსახურთა უმრავლესობა სახლში გაუშვეს, ასევე გაიზარდა გადასახადები, რამაც მოსახლეობა კიდევ უფრო მძიმე დღეში ჩააგდო და რუსული ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება უფრო განზარდა. ამას მოწმობს ერთ-ერთი წერილი, რომელიც გაუგზავნეს ხელისუფლებას ქუთაისისა და შორთხის მაცხოვრებლებმა: „მოსვლითა იმერეთსა შინა მღვდლთადად უსამღვდელოესობის თეოფილაქტესი მივეცენით დიდიდან მცირემდის შორთხისა და ქუთაისის მზრისანი თავადნი, აზნაურნი, გლეხნი, სამინელ მწუნაზრებასა ვიდრე ნათლისღებისგან და ქრისტეს ჯვარცმითგან მტკიცედ მპყრობელსა სარწმუნოებასა ჩვენსა შემაპატიებულ გვექმენ, რომელიც უბიძგისნი საქმენი ამათგანი დაწყობილნი ქართლსა შინა გვინახავს ცხადათ; ბირველ ესე, რომ მზავალნი წმიდანი ეკლესიანი დაიბრვევიან, და პატიოსანი და ქებულნი ხატნი და ჯვარნი მიღებულ გვექმნებიან, ჩვენგან აღზრდილნი საკუთარი მლოცველი მღვდლები მიგვიყვებიან და ჩვენ მოკლებული ვიქმნებით ბირველ ქრისტეს დიდებისაგან და მეორე ხორციელი სამსახურისაგან, მაკურთხეველისა ჩვენისა მღვდელმთავრებისა კურთხევისაგან სრულიად მოშორებული ვიქმნებით... თუკი არ ეხებიან ებრაელთა სარწმუნოებას, ასევე კათოლიკებსა და სომხებს, რატომ უნდა ვიყოთ ჩვენ გამონაკლისი მათ შორის მაშინ, როცა ჩვენ ვიყავით აგარიანების ხელში, არ ეხებოდნენ ჩვენს მტკიცე სარწმუნოებას, არ ჩავარდნილვართ ასეთ განსაცდელში“ (ტყეშელაშვილი.2005:24-25). საეკლესიო პოლიტიკა,

რომელიც გაატარა რუსულმა ხელისუფლებამ ძლიერ აღმშფოთა ხალხი, ქართველ ხალხს უსპობდნენ ყველაზე მთავარს ღვთისმსახურებასა და ლოცვას ქართულ ენაზე, რაც ბუნებრივია, ყველაზე მთავარი ფასეულობაა ქართველი კაცისთვის. წერილი 1819 წლის 24 ივნისითაა დათარიღებული, სწორედ ამ პერიოდში დაიწყო აჯანყება იმერეთში. აჯანყებულები მდინარე რიონთან შეკრებილან და ამ შეკრებაზე გადაწყვიტეს აერჩიათ თავიანთი მეფე. ეს ყველაფერი დაწერეს ქალაქდზე, დაადასტურეს ხელმოწერითა და ჯვარსა და სხნარებაზე დაფიცებით. შემდეგ კი აიძრეს ხელმძღვანელები (Джавахишвили.1906:23). აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ სოლომონ მეფის უახლოესი მღვდელმთავარი, აფხაზეთის საკათალიკოსოს გამგებელი ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი (წერეთელი) და გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე (შაზგაშიძე). აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო ასევე სოლომონ პირველის შვილიშვილი, ღარეჯან ბატონიშვილის ვაჟი ივანე აბაშიძე, რომელიც ცოცხალი გადაჩრა 1810 წელს, მისი მამა და თბი ძმა კი გმირულად შეეწინნენ მტერთან ბრძოლას, როგორც თამარ პაპავა ბრძანებდა „მოხუცმა დედამ იგი იმერეთს მომავალი ბრძოლებისათვის შემოუნახა“ (პაპავა.1990:216). და ეს დროც დადგა, მას უნდა ეძია შური მისი მამისა და ძმების გამო. ივანე აბაშიძე სამეფო კანდიდატად მოიზრებოდა, რადგან იგი ბაგრატიონთა სამეფო გვარის შთამომავალი იყო დედის ხაზით, ამასთანავე სოლომონ მეფეს შემკვიდრე აზ დარჩენია და ივანეს გამორჩევა ლოგიკური იყო.

მეფობის კანდიდატად მოიზრებოდა ასევე სპარსეთში მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი, რომლის კარზეც აჯანყებულთა ღესპანებმა ერთმანეთის მიყოლებით იწყეს ღენა. ისინი ბატონიშვილს იმერეთში იწვევდნენ და გამარჯვების შემთხვევაში იმერეთის ტახტს სთავაზობდნენ. მან საბოლოოდ გადაწყვიტა საქმეში ჩართვა თუძცა აჯანყებაში უშუალო მონაწილეობის მიღება ვეღარ

მთასწრო (თრჯონიკიძე, 2013: 83-84). საბოლოოდ გადაწყდა აჯანყებულ მეთაურთა შეპყრობა და რუსეთში გადასახლება, რისთვისაც რუსეთის მთავრობამ ჯარების საკმაოდ ჩათღწობას მოუყარა თავი იმერეთში და შედგა მიტროპოლიტების შეპყრობის გეგმა. 1820 წლის 4 მარტს მღვდელმთავრები შეიპყრეს დიდმარხვის პერიოდში – „შეიპყრნა ესე ტიტველნი ღამე, ქუთათელს, გაენათელს და არქიმანდრიტ გრიგოლს თავს ჩამოაცვეს წელამდინ ტომრები და შეუკრეს ზევიდამ ხელები და ჰგვემეს ფრიად ქუთათელს და თავისის სახლიდამ თრევით ძირს ჩამოიჭანეს, დასტანჯეს ესე ბერები უწყალოდ თვინიერ ყოვლისა მიზნისა“. ფიზიკურად ძლიერი აღნაგობის მღვდელმთავარმა წინააღმდეგობა გაუწია სამხედროებს, რისთვისაც მონუცი მიტროპოლიტი სამინლად უტყემიათ, შემდეგ კი ხიმტებით დაუჩხვლეტიათ. ნაწამები მღვდელმთავარი არქიმანდრიტ გრიგოლ ცქიტიმვილს უზიარებია, თუმიტა სისწლისგან დაცლილი სურამიდან გოტს შორის გზაზე გარდაცვლილა (ტყემელაშვილი, 2005: 32). ნაცემი და შეურაცხყოფილი მიტროპოლიტი ექვთიმე კი რუსეთში გადაასახლეს. რუსმა ჯარისკაცებმა ივანე აბაშიძის შეპყრობა ვერ მოახერხეს, მან გურიაში მთასწრო გაქცევა. სადაც მას დაედევნა პოლკოვნიკი პუზირევსკი, რომელიც აჯანყებულებმა შემოქმედის ცინესთან შეიპყრეს და „პოლკოვნიკი იგი პუზირევსკი, ქაიხოსრომ და აბაშიძემ ივანემ და ფინენაშვილმა ნიკოლოზ წარკვეთეს თავი, რომელსაც ღმერთმან მართლმსაჯულმან ავთ შური იმ სახედ მოპყრობისათვის და ტანჯვისათვის მღვდელმთავართა“ – გვაუწყებს დავით ბატონიშვილი. მუდმივი დაზვერვის ქვეშ ჰყოლიათ ივანე აბაშიძის დედა დარეჯან ბატონიშვილი, რომელიც საბოლოოდ შეიპყრეს და რუსეთში გადაასახლეს. ივანე აბაშიძე საბოლოოდ იძულებული გახდა ახალციხეში გადასულიყო. ეს ამბავი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნზე მიუწერიათ: „ჩუკ (1820) ამამი გადაგარდა ახალციხეს ივანე და ნიკოლოზ აბაშიძე“ (ხელნაწერთა აღწერილობა. II.1964:26). ივანე აბაშიძის გაქცევასთან

ერთად დასრულდა ის მოძრაობა, რომელიც სოლომონ მეფემ დაიწყო ათიოდე წლის წინ და საბოლოოდ დასამარდა სოლომონ ბიწველის შვილიშვილის ივანე აბაშიძის მკვლელობით. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დეკანოზ დავით ღამბაშიძეს, ივანე აბაშიძის შესახებ შემდეგი მოგონება ჩაუწერია იმერეთში: „ღმერთმა დალოცოს ამისთანა დიდებული თავადი, იყო შრთშელი აბაშიძე ივანე, კაი შეძლებული კაცია იყო და ძლიერ გულადიც. ბოლო ღრთს ისე მოუნდინეს საქმე, რომ მოკლეს და მისი ქონება სულ ააოხრეს. ბიწველ ხანებში სოფელში ავიდა, შემდეგ ხანში. რამდენი მოციქული მიუგზავნეს ხანელებს, რამდენი საჩუქარიც აძლიეს, მაგრამ ერთი სიტყვით ყველა სოფელი საჩხუბრად იყო გამზადებული. ბოლოს ახალციხეში გადავიდა. მას თან გაჰყვა თრი თავადიშვილი და სხვა მსლებელი კაცები. ერთი ფინეიშვილი იყო ვგონებ და მეორე ბატონიშვილი. ივანე აბაშიძე ხონიქარს თხოვდა დახმარებას, რომ უკანვე დაბრუნებულიყო\*. მაგრამ ღმერთმა უღალატოს იმ თრ კაცს, რომელიც მათ გაჰყვა იმათ რაღაც მიწერ-მოწერა ქონდათ სახლთურუჯეს ზურაბ წერეთელთან. ამ თრმა კაცმა უღალატა

\* ივანე აბაშიძისთან ერთად ახალციხეში გადავიდნენ არაერთი მამულიშვილი, რომლებიც იმერეთის მმართველმა ვოჩხაკოვმა პრეტორიუმით განდევნა რუსეთის იმპერიიდან: თავადნი; მამუკა ბაგრატიონი, ბეჟან მხეიძე, გოგია მხეიძე, ივანე ქაინოსროს ძე აბაშიძე, ნიკოლოზ როსტომის ძე ბინეზი, ქაინოსრო ამაღლობლიშვილი, ზურაბ ამაღლობლიშვილი, ალმასხან და ჯავახ იაშვილი, ხოსია მერაბის ძე იაშვილი, ივანე წულუკიძე თტის შვილი, სვიმონა ვითრგის შვილი წულუკიძე, მეფის დავითის ყმანი: ვახტანგ ბაგრატიონი, ძმა მისი ტარიელი. სახელმწიფო აზნაური სესიკა იაშვილი, გლეხნი: გლახუნა ბაკურაძე, ვახტანგელა სვანიძე, ვრიგოლ ჯაფარიშვილი, ზურაბ ჯაფარიშვილი, ევანტე კაკროშვილი, შოშიტა ტყეშელაშვილი, დავით მღვდელი ბუაძე. 1821 წლის 12 მარტი (მოამბე 1904 №10). როგორც 1810 წელს სამშობლოდან გადახვეწილი მამულიშვილები, ასევე 1819-1820 წლის აჯანყების გმირთა ნაწილიც დაბრუნდა საქართველოში.



საწყაღს და თავის ყმას ჭუმბურიძეს მთაკველევის. საწყაღი როდესაჲ სეიზანზე მთადგა, ამ ჭუმბურიძემ ესროლა ფიშით და წაქცია კაცო. ეს ბიჭი ჭუმბურიძე და სხვებიც თუმბე მოსყიდულები იყვნენ კიდევ სწვისგანაც და ნამეტურ სანლოთუნუცესისაგან. ივანე აბაშიძე ახალციხეში არის დასაფლავებული“ (დროება.1883:3). ეს ნაამბობი სარწმუნო უნდა იყოს, რადგან ერთ-ერთი მოხრობელი სწორედ ხანდაზნ იყო. რათღენ დასახანია, რომ ამ ცუდ საქმეშიც ზურაბ წერეთლის ხელი ურევია, მან კიდევ ერთხელ უღალატა ქართულ საქმეს და დარეჯან ბატონიშვილის ერთადერთი იმედი, სიცოცხლეს გამოასაღმა, რუსულმა თქრომ კიდევ ერთი ღირსეული ქართველი გამოასაღმა სიცოცხლეს და რაც ყველანზე სამწუხაროა ივანე აბაშიძე მასთან დაახლოებულმა აღამიანმა გაწირა. 1821 წლის 5 თქტომბრის ცნობით თავად ივანე აბაშიძის ქონება სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, ეკლესიისთვის შეწირული მისი ნივთები კი სასულიერო ხელისუფლებას უნდა გადასცემოდა (ქცა.ფ.21 ს.9).

ივანე აბაშიძის ძველელობით, რუსეთის იმპერიამ ჩვეული ხერხით მოზიგი პრობლემა მოაგვარა, სამშობლოს თავისუფლები-სათვის მებრძოლი კიდევ ერთი გმირი გამოასაღმა წუთისთფელს, ამ საქმეში იმპერიის მოხელეებმა თავისი ძველი მოკავშირე ზურაბ წერეთელი გამოიყენა, ვისთვისაც ღალატი უცხბ არ იყო. როგორც აღვნიშნეთ, ივანე აბაშიძის ქონება სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, ხოლო მისი თჯახნი რუსეთში გადასახლეს, რომ არა მამია გურიელის ჩარევა, რომელიც გამოესაჩჩლა საკუთარ დას და დისწულებს და მისი თხოვნა გაითვალისწინა მოავრობამ და ივანე აბაშიძის უფროსი ვაჟის გიორგის და დედის დარეჯანის ბატონიშვილის გარდა გადასახლებულები ჳიდან დააბრუნეს. ამ ფაქტს იხსენებს დიდი ქართველი მგოსანი აკაკი წერეთელი, რადგან ივანე აბაშიძე მისი ბაბუა, ხოლო ივანეს ასული ეკატერინე მისი დედა იყო, რომელიც მამინ 12 წლისა ყოფილა. საზარელი ხვედრი ერგო ივანე აბაშიძის დედას დარეჯან ბატონიშვილს, რომელიც

რუსეთში გადასახლეს და სწორედ იქ გაიგო გამწარებულმა დედამ თავისი უკანასკნელი იმედის ივანე აბაშიძის გარდაცვალების ამბავი და ზომიერად თამარ პაპავა თავის შესანიშნავ წიგნში ძალზე მაღალფარდოვნად გადმოგვცემს. ასეთი ბედი ეწვეოთ წილად იმერეთის ყველაზე სახელოვანი მეფის სოლომონ ბიბრეელის ოჯახის წევრებს.

ასეთივე ბედი გაიზიარეს აჯანყების სხვა მოთავეებმა, ქუთათელმა მიტრობოლიტმა დოსითეოს წერეთელმა და გაენათელმა მიტრობოლიტმა ექვთიმე შანგავიძემ\*. მათგან ერთი დოსითეოს წერეთელი სამინლად ნაცემი და ხიშტებისაგან მიყენებული ჭრილობებისაგან სურამსა და გოჭს შორის გზაზე გარდაიცვალა, წამებული მღვდელმთავარი ანანურის ეკლესიაში დაკრძალეს ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, ხოლო გაენათელი მიტრობოლიტი ექვთიმე, ზომიერად რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე ბიბრეელი (1801-1825) ამხილა ბეჭეტიზმის სასახლეში და მას „ახალი ნებონი“ უწოდა იმ საქციელისთვის, როგორც მან გამოიჩინა ქართველ ბაგრატიონთა და მამულიშვილთა მიმართ. იგი ამის გამო გადასახლეს ალექსანდრე სვირელის სახელობის მონასტერში და იქვე გარდაიცვალა 1822 წლის 21 აპრილს. მისი დაკრძალვის დღეს კი სასწაული განცხადდა. ამის შესახებ იხილეთ (ლ. ტყეშელაშვილი – დასახელებული ნაშრომი). ღირსეული მღვდელმთავრის ნეშტი 2005 წლის აპრილში საქართველოში ჩამოსვენეს და გელათის მთავარ ტაძარში დაკრძალეს, იქ სადაც თხუთმეტიოდე წლის წინ დევნილი მეფე სოლომონის ნეშტი დაკრძალეს. სამშობლოსათვის წამებულმა გმირებმა უწმინდეს ნავთსაყუდელში დაიდეს ბინა, სა-

\*თ. ეფრემიძის ცნობით მიტრობოლიტ დოსითეოს ქუთათელთან და ექვთიმე გაენათელთან ერთად აჯანყებაში მონაწილეობას ლეზულთბდა ხონის მთავარეპისკოპოსი ანტონი, რომელიც 1822 წელს გარდაიცვალა. იმდენად მონუცი ყოფილა, რომ ხელისუფლებას მისთვის გადასახლება არ მიუხვია. (ეფრემიძე, 2014:8).

მომავლთდ თუკი საქართველოს ეკლესიის უმაღლესი იერარქები გადაწყვეტენ, მიტროპოლიტი დოსითეოს წერეთელის ნაწილებიც უნდა დაბზუნდეს ახლად აღდგენილ ბაგრატის ტაძარში, იქ სადაც მიტროპოლიტი დოსითეოსის რეზიდენცია იყო. ვინაიდან იგი იძულებით, შეურაცხყოფილი, ნაცემ-ნაგვემი წაიყვანეს თავისი სამწყსოდან და სისხლისგან დაცლილი მღვდელმთავარი მალულად დაკრძალეს ანანურის ტაძარში. მისი გადმოსვენება კი იქნება ერთგვარი კანონზომიერების აღდგენა და პატივის მიგება წამებული მღვდელმთავრის მიმართ. ამ ღირსეული აღამიანების პატივისგება ვფიქრობთ, ყველას ვაღიარებულებათ, ვინც საკუთარი სამშობლოს ღირსეულ მომავალზე ფიქრობს. ერმა და ბერმა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლა, იმ ფასეულობებისათვის, რომლისთვისაც ბრძოლა ყველა ღრმში მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. სოლთმონ მეფემ თავის თანამებრძოლებთან ერთად კი კარგი მაგალითი გვიჩვენეს სამშობლოს დაცვისა, სიყვარულისა და თავგანწირვისა, მათ ამ გმირობის ერთი დიდი ეპოქა შექმნეს და ამ ეპოქის მიმართ ყურადღება და ინტერესი დღესაც არ განელებულა.

## SOLOMON II – A DEVOTED KING OF IMERETI

In 1815 the last Bagrationi King of Imereti – Solomon II died in Ottoman Empire in the city of Trabzon. In 1990, his remains were taken to Georgia and buried in Gelati Monastery. The documents about the king were kept in the works of Russian authors, but most of them were tendentious as they showed Solomon as dangerous, unfaithful person and a traitor. In fact, Solomon was the one, who understood the evil intentions of Russian authorities. Even though he made many concessions, Russia still demanded his expell from the reign. King Solomon honorably served his debt before the country. In 1810 he said to the people of Imereti: “I will devote my life to Imereti”. Young Bagrationi fulfilled his promise. Being deeply in love with his homeland, he did a lot for the country.

Solomon was a true believer, the monarch who was really successful in his management. Moreover, he particularly cared about the people as he mentioned: “My heart is full of your honor and love”. We think, that King Solomon deserves to be highly appreciated by Georgians. People should definitely know about his merit and special devotion, which is not properly mentioned in previous studies. However, we do not have the ambition of perfection and the research should be continued. Also, it should be mentioned that, in the twentieth century, the studies in terms of national and religious

issues were limited and there is a lot to be done nowadays.

King Solomon`s contribution to the nation is properly set out by Al. Khakhanshvili in 1911 “Trust and love of the king proves that he was not an ordinary king with his private interests. He devoted his entire life to the wealth of Imereti. He wanted to establish a strong Kingdom of Western Georgia that would be the basis of influence on East Iveria.” That was the goal of King Solomon. He wanted to maintain Georgian state in Western Georgia and only after that take care of its eastern part. However, his plans had many enemies in and out of the country. King Solomon united the whole society of Georgia including his uncles, the heirs of King Erekle, Clergymen and ordinary patriots. He used diplomatic ways to establish relationships with the Persian, Ottoman and French officials, but in vain. However, he did not give up and continued his struggle for fairness.

King Solomon died very young in refugee of Ottoman Empire. His life is a real example of love and devotion to the homeland. We think that, the abovementioned era gives as much to think about. It means, we should properly appreciate the events nowadays for the future of our country.



ოქროს ჩარღასი (სოლომონ მეფის რაზიღანცია ქუთაისში)



ტრავიზონის წმ. გრიგოლ ნოსელის სახელობის ტაძარი



ტრაპიზონი, სოლომონ II-ის საფლავის ეკვდარი XX საუკუნის დასაწყისი



სოლომონ II-ის გერბი



1990 წელი, სოლომონ გიფის ჩამოსვენება, თბილისი



1990 წ. ნოემბერი, სიონის საკათედრო ტაძარი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II კანაშვილს აღასრულებს







სიონის ტაძარი, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ქუთათელ-განათელი  
მიტროპოლიტი კალისტრატა




ტრაპიზონის წმინდა ანა-სოფიას სახელობის ტაძარი, ტაძარში დასვენებული იყო სოლომონ მეფის ნეშტი



სოლომონ მეფის მინაწერი სიგალზე (ძიგ.706)



მიტროპოლიტ დოსითეოზის მინაწერი სიბაღზე (ქიზ.138)



მიტროპოლიტ ექვთიმეს მინაწერი სიბაღზე (ქიზ.138)

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ავალიშვილი გ. მზნაგრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ.1967.
2. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნ. II, თბ.1965.
3. ბორძინი კორნელი. იმერეთის დედოფალი მარიაში. გზ. ივერია. 1903, № 189, 190.
4. ბუბულაშვილი ე. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ანტონ II (1788-1811) თბ.2011.
5. ბუბულაშვილი ე. ახალი მასალები წმ. ილარიონ ქართველი ახლის მოღვაწეობის შესახებ. გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. I. თბ. 2014.
6. ბურჯანაძე შ. თავადი ზურაბ წერეთელი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XX-B თბ.1959.
7. გონიკიშვილი მ. ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში. თბ.1986.
8. გონიკიშვილი მ. იმერეთის სამეფოს გაუქმების საკითხისათვის. თბ.1970.
9. გონიკიშვილი მ. იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II-ის ეკვდერი ტრაპიზონში. კრებ. ძეგლის მეგობარი, თბ. 1974წ. № 36.
10. გონიკიშვილი მ. იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე. თბ.1979.
11. დადიანი ნ. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ.1962.
12. დავით ბატონიშვილი ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი ახალი მოთხრობა.თბ.1941.
13. დუმბაძე მ. დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში.თბ.1957.

14. ედილი ზ. უკანასკნელი დღენი იმერეთის სამეფოსი. „დროება“, 1910, №67.
15. ერმილ ეფენდი. სოლომონ მეფეზე. „დროება“ 1909წ. 5 თებერვალი.
16. ეფრემიძე თ. ხონის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის ანტონ ჩიჯღავაძე. ქუთ.2014.
17. იმერეთის მეფის სოლომონის უკანასკნელი დღენი. საქართველოს ისტორიული მასალები. „კრებული“ ტფ. 1872, № X –XII.
18. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტომი მეორე. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით. თბ.1948.
19. იოსელიანი პლ. ცნობებზე გიორგი მეცამეტისა. 1936.
20. ისტორიული ამბავი. ჟურნ. „მწყემსი“1884 № 12.
21. ისტორიული დოკუმენტები. ჟურნ. „მოამბე“. 1904 წ. № 10.
22. ისტორიული მასალები. ვაზ. „შრომა“, 1882წ. №45, 49.
23. ისტორიული მასალა მღვდელ დავით ღამბაშიძის მიერ ჩაწერილი. „დროება“ 1883, № 62.
24. კაკაბაძე ს. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები წიგნ. II. ტფ. 1921
25. კაკაბაძე ს. იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები). საისტორიო მოამბე, 1956.
26. კაკაბაძე ს. საქართველოს მოკლე ისტორია–ახალი საუკუნეების ეპოქა. ტფ. 1920.
27. კაკაბაძე ს. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. წიგნი I. ტფ.1914.
28. კეზევაძე მ. ქუთაისის ტაბოგრაფია და ქუჩების პოზიციები XIX საუკუნის 30–იან წლებში. წგ. ქუთაისის XIII საუკუნის 60–იანი წლებიდან XX საუკუნის 20–იან წლებამდე. შედგენილი და რედაქტირებული გ. მჭედლიძის მიერ, ქუთ. 2013.
29. მჭედლიძე გ. რუსეთის მიერ ანექსიის მომზადება და იმერეთის სამეფოს გაუქმება. წიგ. ქუთაისის XIII საუკუნის 60–იანი წლებიდან XX საუკუნის 20–იან წლებამდე. შედგენილი და რედაქტირებული გ. მჭედლიძის მიერ, ქუთ. 2013.

30. თბილისი ე. ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. წიგნ. ალექსანდრე ბატონიშვილი. თბ.2013.
31. თბილისი ე. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში. თბ.1992.
32. პაპავა თ. დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. თბ.1990.
33. რენეაშვილი მ. იმერთა მეფენი – სოლომონ პინჯელი და სოლომონ მეორე, ქუთ. 1992.
34. რენეაშვილი მ. იმერეთის სამეფო 1462-1810 წწ. თბ. 1989.
35. საისტორიო მასალა. გლოვის წიგნი იმერეთის მეფის სოლომონის მეუღლისა მარიაშისა მიწერილი ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოსთან. ივერია. 1879 № 9-10 (სექტემბერ-ოქტომბერი).
36. საქართველოს ისტორია. ტომი მეოთხე. საქართველო XIX-XX საუკუნეებში. რედაქტორი პროფესორი მაცყვალა ნათელიძე.თბ.2012.
37. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XII-XIX სს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. იოსელიანმა. თბ.1980.
38. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ისტორიული დოკუმენტები II. თბ.1953.
39. სოლომონ მეორე სამშობლოს ელის. გაზ. ქუთაისი. 1990 წ. 19, 27, 31 ოქტომბერი, 6,10, 21,22,24 ნოემბერი.
40. სოსელია თ. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, (სათავადობები), I. თბ. 1973
41. სოსელია თ. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადობები), II. თბ.1981.
42. ტყეშელაშვილი ლ. საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი დოსითეოსი და ეფთვიმე.1820წ... თბ.2005.
43. ტყეშელაშვილი ლ. ზოგიერთი საკითხი წმინდა მეფე სოლომონ II-ის (1789-1815) მოღვაწეობიდან. გელათის სასული-

- ერთ აკადემიისა და სემინარიის შრომები. I ქუთ.2015.
44. ფსალმუნთა განმარტება, I. უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსატყემად მოამზადა ნინო დობოჯგვინიძემ. თბ. 1996.
  45. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II. თბ. 1964.
  46. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VI. თბ. 1969.
  47. იოანე ქართველიმწიფის შემუშავება. ავთანდილ იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციით და შენიშვნებით. თბ.1952.
  48. ყიფიანი მ. მეფე სოლომონ მეორეზე. ჟურნ. „ცისკარი“, 1859. № 12.
  49. ყიფიანი მ. მეფე სოლომონ მეორეზე. ჟურნ. „ცისკარი“, 1860. № 1
  50. ხანანაშვილი ალ. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე. ტფ.1911.
  51. ხაჭაპურიძე გასაქართველო XIX საუკუნის ბიზველ ნახევარში. II თბ.1958.
  52. ხელაია ამბროსი. მწიგნობრობა ქართული, თბ.2011
  53. ხომერტიკი მ. სოლომონ II. „და უკეთუ დაიცვეს წმინდად“. თბ.2010.
  54. ხუსკივაძე თ. იმერეთის მეფე სოლომონ II. ქუთ. 1902.
  55. ჭეიშვილი ნ. რუსეთის პოლიტიკა და იმერეთის მეფე სოლომონ II, ქუთ. 1919.
  56. „ჩვენი მეფეების დროინდელი ტაქსა“. ვაზ. „დროება“ 1876, წ.№ 132.
  57. წერეთელი აკ. სოლომონ მეფის საფლავის შესახებ. ჟურნ. განათლება. 1910 წ.№7.
  58. წმინდა ილარიონ ქართველი. წიგ. საქართველოს იმედი. 19. შემდგენელი კახაბერ კენკიშვილი. თბ.2013.
  59. ჟორდანიას თ. სოლომონ II იმერთა მეფე. „მოამბე“, 1899, წ.№2.
  60. ჟორდანიას თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, თბ.1967.
  61. ჯავახიშვილი ნ. გრიგოლ I. უკანასკნელი ქართველი მეფე. თბ. 2008.

62. Акти Кавказский Археографической Комисий Т.IV. 1870.
63. Акти Кавказский Археографической Комисий Т, VI.1873.
64. Гниლოსаров Р. о царе Соломон II. Кавказский Календар, 1859.
65. Думин С.Гревелский П. Дворянские роды Росиской империй, Москва, 1996.
66. Изъ Жизни Митрополита Давида. Кавкасский Календар, Тиф. 1854.
67. Махарадзе Н. Востание Имерети, მსკო“, თბ. 1942, ნაკ.1.
68. Шубинский П. Гробница Имеретинского царя Соломона въ Трапезунде, Исторический вестник. Т. XXXII.Спб.1913
69. Пирцхалаишвили А.Имеретия и Гурия период 1804-1840. г. „მსკო“.1942 ნაკ.1.
70. Пурцеладзе Д. Грузинские Дворянская (Грамоти). Тиф. 1881.
71. Пурцеладзе Д.Грузинские церковные (Грамоти) Тиф. 1881.
72. Чудиновъ В. Имеретинская неурядница 1809-1810годах Кавказский сборник Т.XVI, Тиф. 1895.

ქუთაისის ისტორიული მუზეუმი. ხელნაწერთა ფონდი №104, 106, 132, 137, 138, 140, 706, 978, 986, 1451.

ქუთაისის ცენტრალური საისტორიო არქივი ფონდი ფონდი21 საქმე № 9.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1448 საქმე №.2246, 1464, 3161, 4438.

ფონდი 1450 საქმე № 38. ფონდი 1451 საქმე № 16, 162.  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ფონდი Hd 3159.



კატეგორია: ჯონდი ქართველიშვილი

ფოტოების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით  
**ირაკლი ლორთქიფანიძეს**

ყდაზე წარმოდგენილია სოლომონ მეფის ნახატი სურათი,  
სადაც სოლომონს აცვია ქართული ჩოხა, სამთავის წაღები  
და წელზე ატყვია ხმამალი, მეფეს აცვია სამეფო მანტია.  
მარჯვნივ შეინიშნება ასევე მეფის გვირგვინი.

